Kalaxidze

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76; მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80.

ოთხშაბათი, 19 მაისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 111 (1 566)

დ ღ ი უ რ ი

— გუშინ ჟენევაში გაიხსნა განიარაღების წინასწარი კონფერენცია.
— 20 ივნისისათვის გერმანიაში დანიშნულია [illegible] ვილჰელმის ქონების დაბრუნების გამოსარკვევად.
— რუმინეთის სასამართლომ 10 წლის ციხე მიუსაჯა 89 კომკავშირელს.
— ბულგარეთის მთავრობის შედგენა მიენდო კათოლიკური პარტიის წევრს—ჟასპარს.
— ესპანეთ—საფრანგეთის არმია განაგრძობს რიფებზე შეტევას.
— საფრანგეთში და იტალიაში ყინვებია.

მუშაობა ღარიბ გლეხობას შორის

ბ.-კ. უკანასკნელ პარტთათბირზე, სხვათა შორის, გამოირკვა ღარიბ გლეხობასა და მოჯამაგირეთა შორის პარტმუშაობის სუსტი მხარეები. თურმე ყოფილან ისეთი პარტუჯრედები თუ ცალკე ამხანაგები, რომელნიც უარყოფდენ სოფლის მოსახლეობის სოციალურ ფენებად დაყოფის ფაქტს და ამიტომ მათ წინაშე არც კი მდგარა ღარიბ გლეხებსა და მოჯამაგირეებში სპეციალური მუშაობის, მათი ჯგუფების მოწყობის, საშუალო გლეხობასთან მათი დაკავშირების ამოცანა!

და ეს მას შემდეგ, რაც მე-14-ე პარტკონფერენციის ძირითად საკითხს სწორედ ღარიბ გლეხთა ორგანიზაცია და მათთვის ყოველმხრივ დახმარების აღმოჩენა შეადგენდა. მე-14-ე პარტყრილობის მუშაობაც ხომ უმთავრესად ისევ გლეხობის გარშემო ტრიალებდა. ერთი სიტყვით, ამ დარგში ჩვენ გვაქვს უმაღლეს პარტორგანოების კატეგორიული და ფრიად გარკვეული დირექტივები. მაგრამ, როგორც ეტყობა, პარტიის აზრს დღემდე ვერ მიუღწევია ზოგიერთ მიყრუებულ სოფლებში მომუშავე ამხანაგებამდე, ხოლო რაც შეეხება პარტდადგენილებათა განხორციელებას ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, ამ მხრივ ხომ უფრო ცუდათაა საქმე ბევრ ალაგას.

ამგვარად, ზოგიერთ სოფლელ კომუნისტის შემეცნებაში დაჩრდილულა კულაკობის საფრთხე, რომლის შესახებ ამდენი ითქვა და დაიწერა. განა მტკიცება უნდა, რომ სოფლად არსებობს კულაკური ელემენტი, რომელიც ცდილობს გლეხობის დანარჩენი ფენების ეკონომიურ დამონებას და მათ თავის პოლიტიკურ გავლენის ქვეშ მოქცევასაც კი. ეს ნათლად გამოაშკარავდა კერძოთ უკვე ჩატარებულ საბჭოთა არჩევნების დროს, როცა შეძლებულმა გლეხობამ მოიწადინა მოჯამაგირეების და ღარიბ გლეხობის ბრმა იარაღად გამოყენება, რომ მათი ხმებით თავისი წარმომადგენლები გაეყვანა ახალ საბჭოებში. იშვიათ ცალკე შემთხვევებში კიდეც მიაღწია მიზანს.

ეს გარემოება ერთხელ კიდევ აყენებს საკითხს კულაკურ საშიშროების აღმოსაფხვრელად გადამჭრელი ზომების მიღების აუცილებლობაზე. როგორ უნდა სწარმოებდეს ეს ბრძოლა? ცხადია, არა ძველი, „სამხედრო კომუნიზმის“ მეთოდებით. ამ მეთოდების უვარგისობა ეხლანდელ პირობებში საერთოდ კიდეც აქვს შეგნებული ადგილობრივ პარტიულ მასსას. აქ პირველ რიგში დგას ამოცანა ღარიბ და მოჯამაგირე გლეხობის ორგანიზაციის შესახებ, რათა ის განთავისუფლებულ იქნას კულაკობის ბრჭყალებიდან.

ზოგიერთი ადგილობრივი მუშაკები გაურბიან ღარიბთა ჯგუფების მოწყობას,—ეს საშუალო გლეხობას დააფრთხობს და კულაკებისაკენ გადახრისო. ეს შიში სრულიად უსაფუძვლოა, თუ სწორ მუშაობას ვაწარმოებთ ამ მხრივ.

ჩვენი მთავარი ამოცანა მდგომარეობს საშუალო გლეხობის დაკავშირებაში ღარიბ და მოჯამაგირე გლეხობასთან. ამიტომ უკანასკნელთა ორგანიზაცია ისე უნდა მოვაწყოთ, რომ მოწინავე საშუალო გლეხობაც მივიზიდოთ მასში. ღარიბთა ჯგუფების კრებებზე უნდა ვიწვევდეთ საშუალო გლეხობის ელემენტებს. აგრეთვე სოფლის ორგანიზაციებში ღარიბთა ჯგუფები უნდა მუშაობდენ საშუალო გლეხობის წარმომადგენლებთან კონტაქტით, ყველაფრიდან უნდა სჩანდეს, რომ ღარიბ გლეხთა ორგანიზაცია საშუალო გლეხობის ინტერესების წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, არამედ ის მიზნად ისახავს ღარიბთა მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად საშუალო გლეხობის საჭიროებების დაკმაყოფილებასაც, მათ ერთიანი ფრონტის განხორციელებას საერთო მტრის—კულაკობის წინააღმდეგ.

თავის თავად ცხადია, რომ ღარიბ გლეხობამ არ უნდა დაკარგოს თავისი სახე სოფლის საშუალო ელემენტებთან დაკავშირებით, არ გაითქვიფოს მათში. მან უნდა შესძლოს ხელმძღვანელ როლის თამაში სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამისათვის საჭიროა ღარიბ გლეხობაში დიდი პოლიტიკურ-კულტურულ მუშაობის წარმოება, მათი თვითმოქმედების განვითარება. ღარიბი გლეხობა უნდა ილებდეს აქტიურ მონაწილეობას სასოფლო საკითხების განხილვა-გადაჭრაში და აქ ის უნდა გამოდიოდეს წინასწარ მომზადებული და დარაზმული. კერძოთ დიდი მნიშვნელობა აქვს ღარიბ გლეხობიდან მოწინავე პირების წამოყენებას საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, სოფლის სახელმწიფოებრივ - საზოგადოებრივ ორგანოებში.

ღარიბ და მოჯამაგირე გლეხობის ჩაბმა საზოგადოებრივ მუშაობაში თავის თავად დიდ ნაყოფს ვერ მოგვცემს, თუ ჩვენ ამისათვის ვერ შევქმენით მკვიდრი მატერიალური ბაზა, ე. ი. თუ მათი მეურნეობა, ნივთიერი მდგომარეობა არ გავაუმჯობესეთ. საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობაც აქეთკენაა მიმართული. სახელმწიფო საგადასახადო და მრავალ სხვა მნიშვნელოვან შეღავათს აძლევს ღარიბ გლეხობას, უწევს მას მრავალნაირ მატერიალურ და ორგანიზაციულ დახმარებას. კოოპერაციასაც თავისი წვლილი შეაქვს ამ საქმეში.

ოღონდ ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ეს შეღავათები და დახმარება დროზე და მთლიანად იქნეს გამოყენებული ღარიბ გლეხობის მიერ. უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ამ დახმარების მიზანშეწონილ მოხმარებას. პირველ ყოვლისა აუცილებელია, რომ ღარიბ გლეხობაში აღმოიფხვრეს საქველმოქმედო პსიქოლოგია. გაცემულ დახმარებას უნდა მიეცეს საწარმოო დანიშნულება და უშუალო სამომხმარებლო საჭიროებისათვის არ იქნეს იგი დახარჯული. დახმარების მიზანია ღარიბ გლეხობის მეურნეობის ფეხზე წამოყენება. ეს კი ყველაზე უფრო შესაძლებელია მისი კოოპერატიული შეკავშირების გზით. უნდა მოეწყოს მიწის საზიაროდ და საერთო ინვენტარით დამუშავების ამხანაგობები და სხვადასხვა სახის გაერთიანებანი ადგილობრივი პირობების მიხედვით. ამნაირად შეიქმნება გლეხობაში კოლექტიური სული და ის ნივთიერად მოღონიერდება.

ყველა ამას ესაჭიროება სწორი პარტიული ხელმძღვანელობა. საჭიროა ადგილობრივი პარტმუშაობის შემოწმება კერძოთ იმ მხრივ, თუ რა მიღწევები და ნაკლულევანებანი აქვთ მათ ღარიბ გლეხების ორგანიზაციის საქმეში. უნდა გაძლიერდეს ზევითმდგომ პარტორგანოების მხრით კონტროლი და ხელმძღვანელობა ჩვენი სასოფლო ორგანიზაციებზე. შეუძლებელი უნდა გახდეს ისეთი მოვლენა, სულ მივარდნილ კუთხეშიც კი, როცა პარტიის თუნდ ერთ წევრს არ ესმის ღარიბ გლეხთა ორგანიზაციის საკითხის მთელი შინაარსი და მნიშვნელობა.

◆

მომჭირნეობა და შტატების შემცირება

ზოგიერთ შემთხვევაში მომჭირნეობის რეჟიმი უპირველეს ყოვლისა წარმოდგენილია, როგორც შტატების შემცირების საკითხი ჩვენს დაწესებულება-წარმოებებში. ცხადია, ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანის, როგორიცაა მომჭირნეობის რეჟიმი, ასეთი ჩარჩოებით შემოფარგვლა იქნებოდა საკითხის დაკნინება და იმ მთავარ მიზნის დაჩრდილვა, რომელსაც სინამდვილეში ისახავს პარტია და ხელისუფლება ამ ლოზუნგის ცხოვრებაში გატარებით.

მაგრამ ამით ჩვენ იმის თქმა სრულიადაც არ გვინდა, რომ საბჭოთა სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის პირადი შემადგენლობა სავსებით დაკმაყოფილებელი იყოს. გაბერილი შტატები, მუშაკთა შეუფერებელი შერჩევა, ეგრედწოდებული ცრუსპეცობა, ბიუროკრატიზმი და აპარატის მოუქნელობა,—აი ის სენი, რომელსაც ხშირათ შევხვდებით ჩვენს დაწესებულება-წარმოებებში.

ამიტომ შტატების გადასინჯვა-შემცირების საკითხი თავისთავად ყოველთვის დროული და მიზანშეწონილი იყო, რასაც ჩვენ დროგამოშვებით მართლაც ვატარებდით ცხოვრებაში. მით უფრო დღეს უნდა მიექცეს მას განსაკუთრებული ყურადღება.

მაგრამ აქ დაუშვებელია ზედმეტი აჩქარება. ეკონომიის რეჟიმი, რომელიც ხარჯების შემცირების მიზნით, შეაფერხებს საქმის უმტკივნეულოთ წარმოებას, რასაკვირველია, დაუშვებელი და მიუღებელია. მთავარი ისაა, რომ ხარჯები [illegible] და ეს შემცირება არაფრით არ შეეხოს საქმის უმტკივნეულოდ წინმსვლელობას.

თუ ამ მოსაზრებიდან გამოვალთ, ჩვენ უნდა უარვყოთ შტატების შემცირების ხელაღებით და ერთი შეტევით ჩატარება. წარსულ შემცირებათა გამოცდილებით ვიცით, რომ შემცირებული შტატები, ერთი ან ორი თვის განმავლობაში ხელახლა იზრდებოდენ და ზოგჯერ სჭარბობდენ კიდეც ძველის რაოდენობას.

ეს მრავალნაირათ აზარალებდა დაწესებულება-წარმოებებს. შემცირებით დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეს ეძლეოდა სალიკვიდაციო. ხშირათ უმნიშვნელო ხნის განმავლობაში უკანვე ღებულობდენ მას ან სრულიად ახალ პირებს იწვევდენ სამუშაოთ.

ამნაირათ, ერთი მხრივ ფინანსიური ზარალი, რასაც იწვევდენ სალიკვიდაციო ხარჯები, მეორე მხრივ საქმის შეფერხება მუშა-მოსამსახურეთა ხშირი ცვალებადობით—ასეთი იყო ზოგჯერ შტატების შემცირებათა საბოლოო შედეგი წარსულ წლებში.

რა იწვევდა ასეთ არევ-დარევას და ორმაგ ზარალს? გადაჭარბებული სიჩქარე შტატების შემცირების დროს, საკითხის მექანიკურად გადაჭრა და საქმის მოთხოვნილებისადმი ანგარიშგაუწევლობა. ამიტომ, რომ ეხლანდელი შტატების გადასინჯვა-შემცირება დაზღვეულ იქნას ასეთივე შეცდომებისაგან, საჭიროა საკითხის ფრთხილად და წინდახედულად გადაჭრა.

უნდა შესწავლილ იქნას ყოველ ცალკე შემთხვევაში დაწესებულება-წარმოების მუშაობის პირობები, უნდა შემოწმდეს რამდენათ რაციონალური და თანხმოვანია თვითეულ ორგანოს მუშაობა, უნდა გადაისინჯოს აგრეთვე აპარატის პირადი შემადგენლობა ცალკე მუშაკთა საქმის ცოდნის მუყაითობის, კეთილსინდისიერობის და სოციალურ მდგომარეობის მიხედვით.

მხოლოდ მას შემდეგ, როცა გამორკვეულ იქნება ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებისათვის საჭირო მუშა-მოსამსახურეთა ნამდვილი რაოდენობა, როცა გათვალისწინებული იქნება დაბრკოლებანი, რომელიც კი შეიძლება წარმოიჭრეს შტატების შეკვეცასთან დაკავშირებით, როცა შესწავლილ იქნება აპარატის თვისობრივი შემადგენლობა, მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება გატარებულ იქნას ცხოვრებაში შტატების შემცირება.

მომჭირნეობის რეჟიმის ერთ მთავარ მოთხოვნილებას გეგმიანობა და მიზანშეწონილობა წარმოადგენს. წინდახედული და მიზანშეფარდებული მუშაობა ამ სიტყვის ფართო გაგებით, ერთი მთავარი პირობათაგანია სახალხო დოვლათის დაგროვების და ხელგაშლილობის, ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრის საქმეში.

ამას ვერ დავივიწყებთ ჩვენ აპარატის გადასინჯვა-გამარტივების საკითხშიაც, ვინაიდან ჩვენ ვიცით რა დიდი მნიშვნელობა აქვს აპარატის ნორმალურ მუშაობას ქვეყნის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ წარმატებისათვის.

ნ.

ინგლისი საყოველთაო გაფიცვის ჩაშლის შემდეგ

კუკი დახმარებას სთხოვს საბჭოთა კავშირის მუშებს

„დამარცხდა არა გაფიცვა, არამედ ერთი მუჭა ბელადები“

მუშები აცხადებენ, რომ ისინი უსინდისოთ გასცეს ბელადებმა

ზოგიერთ წარმოებებში გაფიცვა გრძელდება

კუკის დეპეშა

ლონდონი, 17 მაისი. ინგლისის სამთო-მადნო მუშების ფედერაციის გენერალურმა მდივანმა კუკმა დღეს სრულიად-რუსეთის სამთო-მადნო მუშების მეხუთე ყრილობას მოსკოვში შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „თქვენი დეპეშა მივიღეთ გუშინ. ულრმეს მადლობას უძღვნით საბჭოთა სამთო მადნო მუშებს, რომლებმაც საერთაშორისო სოლიდარობის თვალსაჩინო მაგალითი გვიჩვენეს.

ვინაიდან სამთო-მადნო მუშების გაჭირვება მეტად დიდია, გთხოვთ სასწრაფოდ გადმოგზავნოთ ფული ჩემს სახელზე „ინგლისის კოოპერატიულ საზოგადოების“ საშუალებით.

ფედერაციის მდივანი კუკი.

ბოლდუინის წინააღმდეგ ინის წინააღმდეგ

ლონდონი, 17 მაისი. „დეილი ნიუზი“-ს ცნობით, სამხრეთ უელსის მაღაროს პატრონები უარყოფით უყურებენ ბოლდუინის პროექტს ქვანახშირის მრეწველობის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ.

მუშაობა განახლდა

ლონდონი, 17 მაისი. ინგლისის ოფიციალური რადიო იუწყება:

„დღეს მთელ ინგლისში განახლდა მუშაობა თითქმის ნორმალურ დონემდე იმ გამონაკლისებით, რომლებიც ქვა-ნახშირის მრეწველობაში მომუშავეთა გაფიცვითაა გამოწვეული“.

გაზეთები

ლონდონი, 17 მაისი. მბეჭდავთა და მწარმოებელთა შორის მიღწეულ შეთანხმების გამო დღეს ლონდონის საღამოს გაზეთები ჩვეულებრივი ფორმატით გამოვიდნენ.

ამ შეთანხმების ძალით მბეჭდავები თანახმანი არიან, რომ მომავალში ისინი არ ჩაერევიან გაზეთების შინაარსის საკითხში.

ახალი შეთანხმებები

ლონდონი, 17 მაისი. მწარმოებლებსა და მბეჭდავთა კავშირებს შორის მიღწეულია შეთანხმება მუშაობის დროებით განახლების შესახებ. სამუშაო ხელფასი და შრომის სხვა პირობები ჯერ-ჯერობით უწინდელი რჩება.

ლონდონი, 17 მაისი. დღეს ღამით დოკების მუშათა პროფკავშირებს და მწარმოებლებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება. მუშაობა დაიწყება 18 მაისს ჩვეულებრივ დროზე.

ბოლდუინის წინადადება

ლონდონი, 17 მაისი. ინგლისის ოფიციალური რადიო იტყობინება: „მაღაროს პატრონების და აგრეთვე სამთო-მადნო მუშების ფედერაციამ ბოლდუინის წინადადება ქვა-ნახშირის მრეწველობაში მომხდარ კონფლიქტის შესახებ განასახილველად გადასცეს თავიანთ საოლქო ორგანიზაციებს“.

მოღალატის სიტყვა

ლონდონი, 17 მაისი. რკინისგზელთა კავშირის მდივანმა, შეთანხმებელმა კრემპმა, პლიმუტში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „გაფიცვა რკინისგზელთა კავშირს დაუჯდა 1 მილ. გირ. სტერლინგი, ხოლო რკინისგზის კომპანიებს 5½ მილ. გირ. სტერლინგი. ასეთი გაფიცვის განმეორებას აღარ უნდა ექნეს ადგილი, ვინაიდან თუ ჩვენ მას ლოღიკურ ბოლომდე მივიყვანთ, ჩვენ თვით დავიხოცებით სიმშილით“.

უსინდისო ღალატი

ლონდონი, 17 მაისი. სამთამადნო მუშების კავშირის აღმასკომის მემარჯვენე ფრთის წარმომადგენელმა, პარლამენტის წევრმა ვარლიმ გენერალურ საბჭოს გადაწყვეტილების გამო საყოველთაო გაფიცვის შეწყვეტის შესახებ განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება იყო უსინდისო ღალატი.

მაჯორი პოლიტი

ლონდონი, 17 მაისი. კომუნისტ პოლიტის მეუღლე მაჯორი პოლიტ, რომელიც დაპატიმრებული იყო რევოლიუციონურ ლიტერატურის გავრცელებისათვის, განთავისუფლებულ იქნა ციხიდან და წარსდგება სასამართლოს წინაშე 19 მაისს.

მოსჭრეს ხელები

ლონდონი, 17 მაისი. მწარმოებლებსა და მბეჭდავებს შორის დადებულ შეთანხმებაში ნათქვამია, რომ შტრეიკბრეხერებმა არ უნდა განიცადონ შევიწროება კავშირების მხრივ. მუშები არ უნდა იკრიბებოდენ სახელოსნოს შენობაში მიტინგზე სამუშაო დღის განმავლობაში.

პროფკავშირების ცნობილმა მოღვაწემ, მბეჭდავთა კავშირის წევრმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ ეს შეთანხმება ნიშნავს სერიოზულ ნაბიჯს უკან, რომელიც გადასდგა ინგლისის მუშების პრივილეგიურმა ნაწილმა.

„ეხლა, განაცხადა მან, ჩვენ მოგვჭრეს ხელები“.

კამპანია ამნისტიისათვის

ლონდონი, 17 მაისი. შოტლანდიის ტრედ-იუნიონების საბჭოს განზრახული აქვს დაიწყოს კამპანია დასჯილ გაფიცულთა ამნისტიისათვის.

საერთო აღშფოთება

ლონდონი, 17 მაისი. რკინისგზელთა ლონდონის ცენტრალურმა საგაფიცვო კომიტეტმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც აცხადებს, რომ მწარმოებლებთან შეთანხმება იწვევს ზიზღს.

რკინისგზელთა მთელი რიგი ადგილობრივი ორგანიზაციები და განყოფილებები მოითხოვენ რკინისგზელთა კავშირის მდივნის უოკდენის გადაყენებას იმისთვის, რომ მან ხელი მოაწერა მწარმოებლებთან შეთანხმებას.

„კვლავ ვიბრძოლებთ“

ლონდონი, 18 მაისი. მუშათა მოძრაობის რევოლიუციონური ფრთის ორგანო „სანდეი უორკერ“ ბეჭდავს მოწინავე წერილს შემდეგი სათაურით: „ჩვენ კვლავ ვიბრძოლებთ“. გაზეთი აყენებს ასეთ დებულებებს: „ინგლისის მუშებმა დაამტკიცეს, რომ მათ კვლავ შეუძლიათ იბრძოლონ ერთად, როგორც ერთიან კლასს; მთელი მსოფლიოს მუშებმა საძირკველი ჩაუყარეს საერთო ბრძოლას საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის; ინგლისის გაკვეთილმა დაანახვა მუშებს, რომ კაპიტალისტური სახელმწიფო მანქანა ეს არის იარაღი, რომელიც ხელში უჭირავს მუშების მოსისხლე მტრებს, სახელდობრ ინგლისელ კაპიტალისტებს“ მუშებმა პრაქტიკულად დაინახეს, რომ ყოველი ეკონომიური ბრძოლა აუცილებლად პოლიტიკურ ბრძოლად იქცევა; მუშებს თვითონ უხდებათ თავისი ბელადების გამოცხრილება; მუშათა მოძრაობის რევოლიუციონური ფრთის ამოცანაა იმის განმარტება, რომ პროფკავშირებმა უნდა ჰპოვონ ახალი ბელადები, რომელთაც სურთ ბრძოლა, რომელნიც არ გაურბიან ბრძოლას.

წერილი ასეთი სიტყვებით თავდება:

„დამარცხდა არა გაფიცვა, არამედ ერთი მუჭა ბელადები, არ უნდა დავეცეთ სულით, არ უნდა გავრბოდეთ კავშირებიდან. განამტკიცეთ კავშირები, გამოძებნეთ ახალი ბელადები და შეაკავშირეთ ახალი მუშები, რომელთაც სურთ ბრძოლა და რომელნიც გაიმარჯვებენ“.

გაფიცვა გრძელდება

ლონდონი, 17 მაისი. მანჩესტერში ისევ გაიფიცენ დოკების მუშები, რომელთაც უარი განაცხადეს შტრეიკბრეხერებთან ერთად მუშაობაზე.

რკინისგზის უმნიშვნელოვანეს ხაზზე უელსსა და კონტიპულს შორის რკინისგზელებს ჯერ არ განუახლებიათ მუშაობა. პორტსმუტში და კრიუში მემანქანეები განაგრძობენ გაფიცვას.

მადლობას იხდიან

ლონდონი, 18 მაისი. ლონდონის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ჯემს მარტინმა ბალდუინს მიმართა შემდეგი წერილით:

„ნორმალურ პირობების აღდგენის გამო, მე დავალებული მაქვს 60.000 საქმიან ფირმებისა და კამპანიებისაგან, რომლებიც შედიან ლონდონის სავაჭრო პალატის საბჭოში, თქვენ და მთავრობის ყველა წრეებს გამოუცხადო მადლობა და გამოვსთქვა გულწრფელი აღტაცება იმ მეთოდების გამო, რომელთაც მთავრობა ხმარობდა გაფიცვის დროს სურსათ-სანოვაგის მომარაგების და ქვეყნის სასიცოცხლო ფუნქციების აღდგენის საკითხში“.

ოტო ბაუერის განცხადება

ვენა, 17 მაისი. ვენის „არბეიტერ ცეიტუნგ“ ბეჭდავს ოტო ბაუერის წერილს—„ინგლისის ბრძოლის გაკვეთილები“,—რომელშიაც ბაუერი აცხადებს, რომ გაფიცვის ჩაშლა გამოიწვია მასიურმა შტრეიკბრეხერობამ იმ პროფკავშირების რიგებში, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ გაფიცვაში. შტრეიკბრეხერობას ადგილი ჰქონდა იმიტომ, რომ პროფკავშირების ბელადების და უბრალო წევრების საგრძნობმა ნაწილმა ვერ შეიგნო გაფიცვის პოლიტიკური მნიშვნელობა. [illegible] ნაკლები როლი ითამაშა აგრეთვე ფართო უმუშევრობამ. საყოველთაო გაფიცვა ვერ გაიმარჯვებს მხოლოდ ეკონომიური ზეგავლენის მოხდენის გზით. გამარჯვებას უზრუნველყოფს მხოლოდ ბრძოლა პოლიტიკური ძალა-უფლებისათვის. ყოველი ბრძოლა, მიუხედავათ მისი შედეგისა, ამდიდრებს პროლეტარიატის გამოცდილებას და ამიტომ სასარგებლოა, როგორც რევოლიუციონური ვარჯიშობა.

„ნორვეგია“

ამუნდსენი ჩრდილოეთ პოლიუსზე

ნიუ-იორკი. 16 მაისი. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ამუნდსენის გადაფრენის შესახებ შემდეგ ცნობებს გადმოგვცემს.

დირიჟაბლი „ნორვეგია“ მივიდა ტალლერში 71 საათის განმავლობაში კენიგსბეიდან გადაფრენის შემდეგ თავის მსვლელობაში ექსპედიციას არავითარი მიწა არ აღმოუჩენია. ყინულის ნამტვრევებმა გახეთქა დირიჟაბლის გარსი, რომელსაც მუდმივად შეკეთება სჭირდებ. შესაკეთებელ მასალის გამოლევის გამო მფრინავები იძულებული გახდენ ფრინვა დაემთავრებიათ და დაშვებულიყვნენ ტელლერში: ამუნდსენი გემით გაემგზავრა ნომში. კინგსბეიდან პოლიუსამდე 750 მილის მანძილი დირიჟაბლმა გაიარა 15 საათში. დირიჟაბლი ზედ დასტრიალებდა პოლიუსს 2 ნახ. საათის განმავლობაში და ათვალიერებდა.

გალერი პილსუდსკის წინააღმდეგ

გენ. გალერმა პოზნანში პილსუდსკის წინააღმდეგ შეაგროვა 25,000 ჯარი

პოზნანში შესდგა მთავრობა, რომელიც არ სცნობს პილსუდსკის

პილსუდსკის ხელშია თითქმის მთელი პოლონეთი

გალერი—პილსუდსკის წინააღმდეგ

ბერლინი, 18 მაისი. გენერალმა გალერმა პოზნანში შეადგინა თავისი მთავრობა და თავი მოუყარა 25.000 ჯარისკაცს პილსუდსკის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. პოლონეთის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა სკშინსკიმ, როგორც იუწყებიან, უარი უთხრა პილსუდსკის გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობის კვლავ დაჭერაზე.

პოზნანის ოპოზიცია

ბერლინი, 17 მაისი. 16 მაისს პოზნანში შესდგა სეიმის და სენატის იმ წევრთა კრება, რომელნიც ეკუთვნიან 5 მემარჯვენე პარტიებს. კრებამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც აღნიშნავს, რომ პოლონეთის რესპუბლიკის უფლებრივი საფუძველი განადგურებულია აშკარა ძალადობის აქტით. „ბრძანებები — ნათქვამია დეკლარაციაში — რომლებიც მოდის აჯანყებულების მიერ დაკავებულ დედა ქალაქიდან უკანონოა და მათი შესრულება არ არის სავალდებულო“.

საკონსტიტუციო მდგომარეობის დაუყოვნებლივ აღსადგენად პოზნანში შეკრებილნი თავიანთ მოვალეობად სთვლიან წესრიგის დამყარებას სახელმწიფოში.

ვარშავა, 17 მაისი. პოზნანში გაიმართა სეიმის 5 მემარჯვენე ფრაქციის 57 დეპუტატის თათბირი, რომელმაც დაადგინა გაეგზავნოს სეიმის თავმჯდომარეს **რატაის** დეპეშა, რომ ეხლანდელ პირობებში ნაციონალურ კრების (სეიმის და სენატის გაერთიანებული სხდომა, რომელიც უნდა გაიმართოს ახალი პრეზიდენტის ასარჩევათ) თავისუფალი მუშაობის შეუძლებლობის გამო, თათბირი წინააღმდეგია ნაციონალური კრების მოწვევისა ვარშავაში.

მსხვერპლთა დასაფლავება

ბერლინი, 17 მაისი. ვარშავის კომენდატი აცხადებს, რომ გადატრიალების მსხვერპლთა დაკრძალვა მოხდება 17 მაისს.

მოპირდაპირე ძალები

ბერლინი, 17 მაისი. პოზნანიდან მიღებული ცნობით, გენერალი **დოვბორ მუსნიცკი** ვიტოსის მომხრე ჯარებთან ერთად გამოვიდა პილსუდსკის წინააღმდეგ. გენერალი **შაპტიცკი** აგროვებს ჯარებს პილსუდსკის წინააღმდეგ. სანაპირო ჯარების კორპუსის უფროსი მინკევიჩი მხარს უჭერს პილსუდსკის. ტორნში გენერალ **ზუბიუტამ** დააპატიმრა პილსუდპუსის უფროსი მინკევიჩი მხარს

საელჩოების ზარალი

ვარშავა, 16 მაისი. ბრძოლის დროს ვარშავაში დიდათ დაზარალდენ საელჩოები, განსაკუთრებით ინგლისის, ბელგიის და საფრანგეთის.

დიპლომატიური კორპუსის უხუცესმა, პაპის წარმომადგენელმა **ლაურიმ** განცხადება შეიტანა გარეშე საქმეთა სამინისტროში საელჩოებისათვის მიყენებულ ზარალის ანაზღაურების შესახებ.

ნაციონალური ფრონტი

ვარშავა, 17 მაისი. გაზეთი „რაბოტნიცა“, რომელიც კატოვიცში გამოდის, იუწყება, რომ **გაიმართა ნაციონალური მუშათა პარტიის, სახალხო-ნაციონალურ კავშირის და ქრისტიან დემოკრატების საიდუმლო თათბირი მთლიანი ნაციონალური ფრონტის შექმნის შესახებ.**

პილსუდსკი განცვიფრებულია

ვარშავა, 18 მაისი. ამერიკელ ჟურნალისტებთან საუბრის დროს პილსუდსკიმ განაცხადა:

„ყველაფერი ეს ელვის სისწრაფით მოხდა. მე თვითონ განცვიფრებული ვარ, როგორ სწრაფად მოხდა ყოველივე ეს“.

ვარშავაში

ვარშავა, 18 მაისი. საგანგებო წესები ვარშავაში გაუქმებულია.

ვიტოსის ყოფილ მთავრობის დაპატიმრებული წევრები, რომლებიც პოლონეთის მეფეთა ყოფილ სასახლეში ჰყავდათ მოთავსებული, განთავისუფლებულნი არიან.

უკანასკნელი ლურსმანი

ლონდონი, 18 მაისი. „**მანჩესტერ გარდიენ**“ მოწინავე წერილში ეხება პოლონეთის ამბებს და სწერს:

„გადატრიალება, რომელიც პილსუდსკიმ მოახდინა, უკანასკნელ ლურსმანს ჩაუჭედს იმ კუბოს, რომელშიაც მარხია პოლონეთის პრეტენზიები ერთა ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის მიღებაზე“.

ვიტოსი „ისვენებს“

ვარშავა, 18 მაისი. ორშაბათს, **ვიტოსი** გაემგზავრა ვარშავიდან თავის სოფელში — ვერხოსლავიცაში, კრაკოვის მახლობლად.

ტელეგრაფი და ტელეფონი წესიერად მუშაობს. გაუქმებულია სამხედრო კონტროლი ტელეფონებით ლაპარაკის დროს.

პოზნანის პოლკები, რომლებიც ვარშავისაკენ მიიმართებოდენ, დაბრუნდენ თავის გარნიზონებში.

შინაგან საქმეთა ახალმა მინისტრმა მლოძიანოვსკიმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ვიტოსის მთავრობის წევრები განთავისუფლებულნი არიან. მათთვის საცხოვრებელი ადგილის იძულებითი დანიშვნა, ზედმეტია. რაც შეეხება საალყო წესებს, ამისათვის არავითარი კანონიერი მიზეზი არ არსებობს, ეხლანდელი მთავრობა კი სასტიკად იცავს კანონს.

დღეიდან უქმდება წინასწარი ცენზურა და წესიერი ურთიერთობა თანდათან მყარდება.

„სოციალისტები“

ვარშავა, 18 მაისი. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უარჰყო როგორც კომუნისტურ პარტიასთან, ისე დამოუკიდებელ სოციალისტებსა და გლეხთა დამოუკიდებელ პარტიასთან თანამშრომლობა.

ომი მაროკოში

ბერლინი, 18 მაისი. ვოლფის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის და ესპანეთის ჯარების შეტევის გამო რიფები უკან იხევენ.

ბერლინი, 18 მაისი. საფრანგეთ-ესპანეთის ჯარებმა დაიჭირეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ადგილებისა, რომლებიც აბდ-ელ-ქერიმის ხელში იყო. უკანასკნელი იძულებული გახდა გაქცეულიყო სამხრეთით. ფრანგებმა და ესპანელებმა ხელში ჩაიგდეს მნიშვნელოვანი სამხედრო მასალა.

◆

ამინდი ევროპაში

ლონდონი, 18 მაისი. **პარიზიდან იტყობინებიან, რომ ცენტრალურ და სამხრეთ საფრანგეთში დიდი თოვლი და ყინვებია. მრავალ ადგილას მიმოსვლა შეწყდარია, ზოგ ადგილას რკინის გზებზე აღარ სწარმოებს მიმოსვლა.**

რომის მახლობლად წყალმა წაიღო რამდენიმე ხიდი და სახლი.

ქალაქის ლუგანო ძალიან დიდათ დაზარალდა 4 დღის განუწყვეტლივი წვიმების გამო.

◆

ინგლისის რკინისგზელთა დელეგაცია

მოსკოვი, 18 მაისი. 17 მაისს მოსკოვში დაბრუნდა ინგლისის რკინისგზელთა დელეგაცია, რომელმაც მოიარა საბჭოთა კავშირი.

დელეგაციის თავმჯდომარემ ოლივერმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა:

„სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩვენ გაუზიარებთ ინგლისის მუშებს ჩვენს შთაბეჭდილებებს განსაკუთრებული დეკლარაციის გამოქვეყნების, ანგარიშების გამოშვების და მიტინგების მოწყობის გზით. ინგლისის მუშებმა უნდა იცოდენ სინამდვილე თქვენი ქვეყნის შესახებ და გავაგებიებთ კიდეც“.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

მუშათა მოძრაობა კანადაში

პროფესიული მოძრაობა კანადაში მთლიანად ამერიკის რეფორმისტული შრომის ფედერაციის გავლენის ქვეშ იმყოფება.

კანადის პროფკავშირების უმრავლესობა წარმოადგენს განყოფილებას ე. წ. „საერთაშორისო პროფკავშირებისა“, რომლებიც აერთიანებენ შტატებისა და კანადის მუშებს და შედიან ამერიკის შრომის ფედერაციაში. პროფკავშირების ბიუროკრატია კანადაში, ამერიკის შრომის ფედერაციის ხელმძღვანელების მაგალითის მიხედვით, ეწინააღმდეგება პროლეტარიატის დამოუკიდებელ კლასიურ პოლიტიკას. მაგრამ უკანასკნელ ხანებში მუშათა მასებში უფრო და უფრო იკიდებს ფეხს დამოუკიდებელი პოლიტიკის საჭიროების აზრი. იყო შემთხვევები, როცა რამდენიმე პროფკავშირების აღმასკომმა მოიწონა მუშათა (კომუნისტური) პარტიის პოლიტიკა. მემარცხენე მიმდინარეობა კანადის პროლეტარიატში თანდათანობით ძლიერდება.

შვეიცარიის სახელმწიფო მოსამსახურეთა მდგომარეობა

შვეიცარიის ნაციონალურ კრებაში განსახილველათ შეტანილია კანონპროექტი სახელმწიფო მოსამსახურეთა შესახებ. კანონპროექტის ავტორებმა, პროექტის იმ ნაწილში, რომელიც სახელმწიფო მოსამსახურეთა უფლებებს შეეხება შეიტანეს ახალი მუხლი. ამ მუხლის თანახმად, „სახელმწიფო მოსამსახურეებს ეკრძალებათ შესვლა კავშირებში, რომლებიც პროფესიონალური ბრძოლის საშუალებათ გაფიცვის გამოცხადებას თვლიან“.

როცა პარლამენტის ზოგიერთმა დეპუტატებმა გაილაშქრეს ამ მუხლის წინააღმდეგ და განაცხადეს, რომ სახელმწიფო მოსამსახურე ისეთივე უფლებებით უნდა სარგებლობდეს თავისი ინტერესების დასაცავად, როგორც სავაჭრო და საზოგადოებრივი დაწესებულებების მუშა - მოსამსახურენი, წამოდგა შვეიცარიის მთავრობის თავმჯდომარე და სახელმწიფო მოსამსახურეთა დამცველებს გრძელი „ნოტაცია“ წაუკითხა. მთავრობა ვერ დაუშვებს, რათა „სახელმწიფო მოსამსახურეებს, რომლებიც არიან უმაღლესი ხელისუფლების დადგენილებათა აღმსრულებელნი და გამტარებელნი, თუგინდ ერთი წუთით მიეცეს საშუალება უარი სთქვან მოვალეობის შესრულებაზე და თავისი ინტერესების დასაცავად გაფიცვას მიმართონ“.

ყველა ბურჟუაზიულმა პარტიებმა მხარი დაუჭირეს მთავრობის თავმჯდომარის ამ „ურყევ“ საბუთს.

სოციალ - დემოკრატებს არ ეყოთ გამბედაობა, რომ კანონპროექტის წინააღმდეგ გაელაშქრებიათ.

კანონპროექტი განსახილველად საპარლამენტო კომისიას გადაეცა და მისი მიღება პარლამენტის მიერ უზრუნველყოფილია.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

რკინისგზელების მიწვევა

მოსკოვი, 18 მაისი. **საფრანგეთის რკინისგზელების რევოლიუციონურმა პროფკავშირმა საბჭოთა კავშირის რკინისგზელთა ცეკა საფრანგეთის რკინისგზელთა მეცხრე კონგრესზე მიიწვია.**

რკინისგზელთა ცეკა ამ კონგრესზე გზავნის **ამოხოვს**.

მორზეს ახალი აპარატი

რიაზანი, 18 მაისი. რიაზანის ტელეგრაფის გამგემ **რუდნიცკიმ** გააკეთა მორზეს ახალი აპარატი, რომლითაც შეიძლება ერთ და იმავე დროს 12 მავთულზე გადაცემა და რომელიც მნიშვნელოვნად ამარტივებს ცირკულიარების და ინფორმაციის გადაცემას.

ტრამვაი ვორონეჟში

ვორონეჟი, 18 მაისი. **მოხდა ტრამვაის მოძრაობის საზეიმო გახსნა.** ხსნა.

ვოლგას ადიდება

სამარა, 18 მაისი. წყალი ვოლგაში ასცილდა 1919 წლის დონეს (ყველაზე უფრო მაღალი უკანასკნელ 40 წლის განმავლობაში). გადიდება კიდევ მოსალოდნელია. გუბერნიიდან მოდის ცნობები წყალდიდობისაგან მიყენებულ ზარალის შესახებ. წყლით დაფარულია რამდენიმე ათასი დესეტინა ნათესი.

უკრაინა

სავაჭრო საზოგადოება

ოდესა, 18 მაისი. იაპონიის კონსულების კონფერენციამ ახლო-აღმოსავლეთში დაადგინა მოაწყოს იაპონია-საბჭოთა კავშირის საექსპორტო-საიმპორტო ვაჭრობის შერეული საზოგადოება.

მეორე საგლეხო სესხი

მოსკოვი, 18 მაისი. რადგან მეორე საგლეხო სესხზე სოფლის მხრივ დიდი მოთხოვნილება არსებობს, საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატი უშვებს მეექვსე და მეათე სერიებს 20 მილ. მან. რაოდენობით.

რევოლიუციის არქივიდან.

კიევი, 18 მაისი. საისტორიო-სარევოლიუციო არქივმა კიევის ჟანდარმერიის საგუბერნიო განყოფილების არქივის განხილვის დროს აღმოაჩინა საინტერესო დოკუმენტები ულიანოვების ოჯახის შესახებ. დოკუმენტში ნახსენები არიან: დიმიტრი ილიას ძე, მარია და ანნა ილიას ასულნი. დოკუმენტები ეხება 1904 წელს, როცა აღნიშნული პირები მუშაობდენ რ. ს. დ. მუშათა პარტიის კიევის კომიტეტში.

აღმოჩენილია აგრეთვე მასალები ლუნაჩარსკის შესახებ. ძალიან საინტერესოა ცნობა ლუნაჩარსკის მიერ 1900 წელს იბსენზე წაკითხულ მოხსენების შესახებ. ჟანდარმერიის განყოფილება აღნიშნავს, რომ ლუნაჩარსკის იმდენი იბსენზე არაფერი უთქვამს, ის მხოლოდ „რევოლიუციონურ განწყობილებას აღვივებდა“.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

თევზის ჭერა

ბაქო, 18 მაისი. მარტის დასაწყისში თევზის ჭერა სუსტად მიმდინარეობდა. ამჟამად გარემოება შეიცვალა. თევზი აპრილში დაჭერილ იქნა 143.878 ფუთი, მარტის 68.191 ფუთის წინააღმდეგ, ხიზალალა დამზადებულ იქნა—5.392 ფუთი, მარტის 660 ფუთის წინააღმდეგ.

პროდუქციის ღირებულება აპრილში გაიზარდა 3.106 მანეთამდე, მარტის 31.546 მანეთის წინააღმდეგ. აპრილში მუშაობდა 4.970 მუშა, ხოლო მარტში 1.557.

სომხეთი

სომხეთის ცაკის სესიის გახსნა

ერევანი, 18 მაისი. 17 მაისს დილის 11 საათზე გაიხსნა სომხეთის ცაკის სესია. გახსნას დაესწრნენ ამხ. ორჯონიკიძე, ალამალი-ოღლი, ხანოიანი, სულთანოვი და სხვ.

სესია გახსნა სომხეთის ცაკის თავმჯდომარემ კარინიანმა. კარინიანის სიტყვის შემდეგ სომხეთის ბიუჯეტის შესახებ მოხსენება წაიკითხეს სომხეთის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამბარცუმიანმა და ფინანსთა სახ. კომისარმა პოლოსიანმა. მოხსენებებმა ცხოველი კამათი

სხვადასხვა

კომუნისტის დასჯა მექსიკაში. შტატ მიხოაკანის სასოფლო-სამეურნეო კომუნის ლიგის თავმჯდომარეს პრიმა ტაპიას მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა. განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი.

სამხედრო სამინისტრო უარს უცხადებს კომპარტიას რაიმე ცნობების მიცემის შესახებ.

სამინისტრო კრიზისი ბელგიაში. ბრიუსელიდან მიღებული ცნობებით, სოციალისტმა ბრიუნემ უარი სთქვა მთავრობის შედგენაზე. მთავრობის შედგენა მიენდო ჟასპარს (კათოლიკური პარტია).

რეფერენდუმი. საყოველთაო კენჭის ყრა ყოფილ მეფის საგვარეულოს ქონების კონფისკაციის შესახებ 20 ივნისისათვის არის დანიშნული.

რუმინელ კომკავშირელების საქმე. კლაუზენში დამთავრდა რუმინელ კომკავშირელების გასამართლება. 89 ბრალდებულს მიუსაჯეს დაპატიმრება სხვადასხვა ვადით ერთი წლიდან ათ წლამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

შინამრეწველ ხელოსნებს შორის პარტმუშაობის შესახებ.

რადგან უმთავრესი ყურადღება ექცეოდა მუშათა და გლეხთა შორის მუშაობას, ბუნებრივია, რომ ჯეროვანი ყურადღება არ ჰქონდა მიქცეული მთელ რიგ სხვა საზოგადოებრივ ფენებს, რომელთა შორის აუცილებლად უნდა სწარმოებდეს მუშაობა.

ერთ ასეთ დიდ სოციალ-ეკონომიურ ფენას წარმოადგენენ შინამრეწველი ხელოსნები, რომლებიც მუშაობენ, როგორც დაქირავებულნი. მათი რიცხვი მარტო ქ. თბილისშია არა ნაკლებ 2—3 ათასი და მთელ ამიერ-კავკასიაში კი რამოდენიმე ათი ათასს უდრის.

ამიერ-კავკასიის მეორე პარტთათბირმა თავის რეზოლიუციებში საორგანიზაციო საკითხების შესახებ აღნიშნა, რომ „ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები თავის მუშაობაში სრულიად არ აქცევენ ყურადღებას შინამრეწველ ხელოსანთა შორის მუშაობას და ამის გამო ეს დიდი სოციალ-ეკონომიური ფენა ქალაქად და სოფლად ჩათრეული არაა პარტიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში. ყრილობა აუცილებელ საჭიროებად სცნობს შეუდგეს შინამრეწველთა შორის მუშაობის პირობების შესწავლას ადგილობრივ და მათი შეკავშირების ფორმებისა და მეთოდების გამომუშავებას“.

ასეთი მუშაობის დაწყების პირველი ცდა თბილისში უნდა მოხდეს, სადაც არის შინამრეწველ ხელოსანთა კლუბი და ადვილია მუშაობის წარმოება იმ შინამრეწველთა შორის, რომლებიც ჯერ კიდევ არ გამხდარან კლუბის წევრებად.

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ შინამრეწველი ხელოსნები თუმცა არიან პროფკავშირის წევრები, მაგრამ დამქირავებელთა ძალ-დატანებით პროფკავშირთან არ არიან დაკავშირებულნი.

იშვიათი არაა ისეთი შემთხვევაც, რომ შინამრეწველი ხელოსნები ჰმალავენ პროფკავშირის წევრობას იმის გამო, რომ დამქირავებლები მათ სამუშაოზე არ მიიღებენ, თუ ისინი კავშირის წევრები არიან. ისინი პოლიტიკურ ცხოვრებაშიაც არ იღებენ მონაწილეობას.

ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნებოდა შემდეგის გამორკვევას: საარჩევნო ხმის უფლების მქონე შინამრეწველ ხელოსანთა რამდენმა პროცენტმა მიიღო მონაწილეობა აქის საბჭოს, კოოპერაციის და სხ. არჩევნებში; ასეთი ცნობები საშუალებას მოგვცემდა ზედმიწევნით სწორი შეხედულება გამოგვეტანა შინამრეწველ ხელოსანთა პოლიტიკურ აქტივობის შესახებ.

საბუთებიდან ნათლად სჩანს, თუ რა დიდ როლს თამაშობდნენ შინამრეწველები თბილისის ორგანიზაციების არალეგალური მუშაობის დროს, თვითმპყრობელობისა და მენშევიკების ხანაში მეტად მნიშვნელოვანი იყო შინამრეწველების რევოლიუციონური როლი. ეს გარემოება ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ ეხლაც, თუ კი რიგიანად შეუდგებით მუშაობას, ჩვენი პარტია მათ შორის მოიპოვებს განსაზღვრულ გავლენას და შესძლებს მათ ჩაბმას საზოგადოებრივ მუშაობაში.

ამ.-კავკასიის მეორე პარტთათბირის დადგენილებათა განხორციელებისათვის კონკრეტულ ღონისძიებად, ჩვენის აზრით, პირველ ხანებში აუცილებელია შემდეგი:

1) შინამრეწველთა შორის მომუშავე სპეციალურ კომისიის დაარსება პარტკომებთან.

2) იმ რაიონებში, სადაც შინამრეწველთა დიდი რიცხვია თავმოყრილი, კომუჯრედებმა უნდა გამოჰყონ ამ მუშაობისათვის მთელი რიგი ამხანაგებისა და მათ შორის გააწესრიგოს ნაწილება.

3) სადაც შესაძლოა, სისტემატიურად უნდა დაიწყოს ხელოსანთა შორის მუშაობა.

4) გამოყენებულ იქნას შინამრეწველთა კლუბი არა მარტო მისი წევრების, არამედ დანარჩენ ხელოსნების გაერთიანებისათვისაც.

პროფკავშირები თავის მხრივ უნდა შეუდგენ თავის წევრ შინამრეწველ ხელოსანთა შორის ჯეროვან მუშაობას. განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს შინამრეწველობის კოოპერაციაში ჩაბმას.

ყველაზე უფრო ცუდ პირობებში არიან მოზარდი შინამრეწველნი; კომკავშირიც არ აწარმოებდა მათ შორის მუშაობას ნაწილობრივ ძალების ნაკლებობის გამო.

კომკავშირს შეუძლია აწარმოოს თავისი მუშაობა პირველ რიგში ფიზკულტურის ორგანოების და სხ. საშუალებით. თუ პარტორგანიზაციები ზემოხსენებულ ღონისძიებათა ფარგლებში შეუდგებიან მუშაობას შინამრეწველთა შორის, მაშინ შეიძლება იმედი ვიქონიოთ რომ ზაფხულის დასასრულში გამომუშავებული იქნება ამ მუშაობის განსაზღვრული ფორმები და მეთოდები. საშუალებას მოგვცემს მიმდინარე ზამთარის განმავლობაში შევასრულოთ თათბირის გადაწყვეტილება.

პარტიული.

კომკავშირის ცეკას პლენუმის ამოცანები

დღეს, 19 მაისს, გაიხსნება საქართველოს ახალგ. ლენინ. კომკავშირის ცეკას მეორე პლენუმი. ამ პლენუმის წინაშე მრავალი საჭირბოროტო საკითხებია წამოჭრილი.

პირველ ყოვლისა, ის გაეცნობა სრულიად საკავშირო კომპარტიის ცეკას უკანასკნელ პლენუმის მუშაობას; ეს ფრიად საყურადღებო საკითხია. პარტიის ცეკას პლენუმმა, როგორც ვიცით, გაარჩია ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის საკითხები და დასახა მისი მომავალი განვითარების გზები. კომკავშირი უნდა გაეცნოს ცეკას დადგენილებებს ამ საკითხის შესახებ და, პარტორგანიზაციებთან ერთად, თავის წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესების, სოციალისტურ დაგროვებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გატარების საქმეში.

კომკავშირის მთელი მომავალი მუშაობა უნდა აეგოს ადგილობრივ გამოცდილების სისწორით აღნუსხვაზე. ამ მიზნით მოსმენილი იქნება მთელ რიგ დამახასიათებელ გლეხურ და მუშურ ორგანიზაციების მოხსენებანი. ეს ხელს შეუწყობს არსებულ ნაკლის გამოსწორებას და მომავალ მუშაობისათვის სწორი გზების გამონახვას.

წინათ ჩვენს ორგანიზაციას ზაფხულის პერიოდში ახასიათებდა მუშაობის შესუსტება. ეს ყოვლად დაუშვებელი მოვლენაა. მართალია, ზაფხულში იცვლება მუშაობის მეთოდები, ამის გამო უნდა შემცირდეს სხდომების რაოდენობა, შეწყდეს მეცადინეობა პარტსკოლებში და სხ., მაგრამ ეს ოდნავათაც არ ნიშნავს, თითქოს მუშაბა სრულიად უნდა შეწყდეს. ზაფხულის განმავლობაში უნდა გაძლიერებულ იქნეს ინდივიდუალური თვითგანვითარება, გაშინაარსიანდეს უჯრედის სხდომები — პარტიის ამოცანების შეთვისების და ადგილობრივ საკითხების განხილვის გზით, გაძლიერდეს აგროწრეები, მასიური სასოფლო - სამეურნეო პროპაგანდა და საზოგადოებრივ - პოლიტიკური მუშაობა, მოეწყოს მეცნიერული ხასიათის ექსკურსიები, გაფართოვდეს ფიზკულტურის მუშაობა და სხვა.

პლენუმის დღის წესრიგში სდგას ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი თემკომების სისტემის შესახებ. პრინციპიალურად მერვე ყრილობამ გადასწყვიტა სათემო სისტემაზე გადასვლა. ეს გადაწყვეტილება ცხოვრებაშია გატარებული და თითქმის ყველგან არის დაარსებული თემკომები, მაგრამ ამჟამად წამოჭრილია მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები, რომლებსაც პლენუმმა სათანადო პასუხი უნდა გასცეს.

გარდა ამისა პლენუმის დღის წესრიგში სდგას სხვა საკითხებიც, რომლებსაც ის გაარჩევს და დასახავს გზებს საკავშირო მუშაობის გასაღრმავებლად და გასაფართოვებლად მომავალში.

ალი.

ბიუროების არჩევნები საწარმოო უჯრედებში

(ლენინის რაიონი)

ლენინის რაიონში საწარმოო უჯრედების ბიუროთა ხელახალი არჩევნები დაიწყო 12 აპრილს და 17-ს უკვე დამთავრდა. არჩევნები მოხდა 17 უჯრედში, რომლებშიც 1303 პარტიის წევრი და 474 კანდიდატი ირიცხება. ბიუროების ხელახალ არჩევნებს დაესწრო 922 წევრი და 312 კანდიდატი. ამ რიგად, არჩევნებზე დამსწრეთა საშუალო პროცენტი უდრის 68-ს.

პარტიის თბილისის კომიტეტის დირექტივები უჯრედების მიერ სავსებით იქნა გატარებული ცხოვრებაში. უჯრედების მდივნების საანგარიშო მოხსენებათა გარდა, 4 უჯრედში მოსმენილ იქნა სამეურნეო ორგანოში მომუშავე ამხანაგების და ადგილკომების ფრაქციის ანგარიში. 7 უჯრედში მოსმენილ იქნა მოხსენება ა. ლ. კომკავშირის უჯრედის მუშაობაზე. მოხსენებებში აღნიშნული იყო როგორც მიღწევები,აგრეთვე ნაკლიც. არადამაკმაყოფილებელი იყო 2 მდივანის მოხსენება. უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კრებებზე პარტიის წევრები და კანდიდატები გაცილებით უფრო ცხოველ მონაწილეობას იღებდენ კამათში, ვიდრე წინა არჩევნებზე. ასე მაგალითად კამათში მონაწილეობა მიიღო 185 ამხანაგმა, ამრიგათ თვითეულ უჯრედის სხდომაზე საშუალოდ კამათში მონაწილეობა პარტიის 11 წევრმა და კანდიდატმა მიიღო. მომხსენებლებს საშუალოთ 13 შეკითხვა მისცეს.

ხელახალი არჩევნები ერთი დღის განმავლობაში დამთავრდა სამ უჯრედში, ხოლო 14 უჯრედი მოხსენებებს და არჩევნებს ორ დღეს მოუნდა. ყველა უჯრედებში, ერთის გარდა ბიუროებს მომავალი მუშაობისათვის პრაქტიკული დირექტივები მიეცა. უჯრედების მდივნების მუშაობა სუსტად იქნა ცნობილი 2 უჯრედში.

ბიუროების ხელახალი არჩევნები ჩატარებულ იქნა შინაპარტიული დემოკრატიის სრული დაცვით. ახალ ბიუროებში არჩეული 125 წევრი; მათ შორის 6 ქალი, 119 მუშა და 6 მოსამსახურე. ბიუროებში არჩეულია 72 ახალი წევრი. უჯრედების მდივნების შემადგენლობა განახლებულია 30 პროცენტით.

ზიკი.

ეკონომიური ცხოვრება

სამრეწველო საქონელი

ფართლეულობა

უკანასკნელ ხანებში ფართლეულობის ბაზარი საგრძნობლად გაცხოველდა. კარგად ვაჭრობენ როგორც კოოპერაცია, ისე სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოები. კერძო ბაზარზე შემჩნეულია ფასების მნიშვნელოვანი ზრდა. კოოპერატიული და კერძო ბაზრის ფასების განსხვავების გამო თავისუფალ ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა მხოლოდ იმ საქონელზე, რომელიც არ იშოვება კოოპერატივებში.

უკანასკნელ ხანებში საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილებამ მიიღო თეთრეულის დიდი პარტია, მაგრამ მოთხოვნილების ზრდის გამო, იგი მაინც ვერ დააკმაყოფილებს ბაზრის საჭიროებას. ბაზარზე ცოტაა აგრეთვე საზაფხულო ქსოვილები, განსაკუთრებით ტილო, რომელიც თითქმის არ იშოვება.

ბაზარზე ცოტა შემოდის აგრეთვე ტყავეულის საქონელი. განსაკუთრებით ცოტაა საქონელი კერძო ბაზარზე, რომელიც თითქმის სრულებით არ იღებს საქონელს მოსკოვიდან.

სამშენებლო მასალები და საღებავები

თბილისის ბაზარზე უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნილება ცემენტზე, რომლის შემოტანა შემცირდა. მოთხოვნილების გადიდება გამოწვეულია სამშენებლო სეზონის დაწყებით. მსხვილი მომხმარებლები უზრუნველყოფილი არიან საკონტრაქტო გარიგებებით, რომლების ძალით ცემენტის შემოტანა საკმაოდ რეგულიარულად სწარმოებს. კერძო ბაზარზე ცემენტი ცოტა შემოდის. იყიდება იგი 15—16 მანეთად ბოჭკა. ტაუზის ცემენტი ჩვენს ბაზარზე უკანასკნელ ხანებში სრულებით აღარ შემოდის.

ბაზარზე შემჩნეული იყო აგრეთვე ცარცის ნაკლებობა, რომელსაც ეხლა აღარ აქვს ადგილი, რადგან ლითონის ტრესტმა უკანასკნელ ხანებში შემოიტანა ცარცის დიდი პარტია, რომელიც იყიდება 2 მანეთად ფუთი, წინეთ კი ღირდა 6 მანეთი. მოსალოდნელია ფასების უფრო შემცირება.

რაც შეეხება საღებავებს, მოთხოვნილება მათზე თითქმის სრულიად კმაყოფილდება და ფასებიც ნორმალურია. გამონაკლისს შეადგენს ცინკის სათეთრებელი, რომელიც ცინკის ნაკლებობის გამო საგრძნობლად გაძვირდა და იყიდება 24—27 მანეთად ფუთი, წინეთ კი ღირდა 18—20 მანეთი. კერძო მაღაზიებში სათეთრებელის ფასი აღწევს 30—32 მანეთამდე. მეტად გაძვირდა ტყვიის სურინჯიც, რომლის ფასი 20 მანეთიდან ავიდა 40 მანეთამდე.

დიდი მოთხოვნილებაა აგრეთვე ანილინის საღებავებზეც, რომლის მთავარი გამყიდველია ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო.

ჩვენი მრეწველობა

ქუთაისის მაუდის ქარხნის ამუშავება

აპრილის დამდეგს ორი კვირით შეჩერებულ იქნა ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მუშაობა, რადგან ფაბრიკა შეკეთებას საჭიროებდა. ამ ხნის განმავლობაში ფაბრიკის შესაკეთებლად საკუთარი ძალებით ჩატარებული იქნა შემდეგი მუშაობა: საფუძვლიანად შეკეთებულ იქნა ელექტრო-ძრავი, აწყობილი და დადგმული იქნა მანქანები და მოხდა საამქროების გადაჯგუფება. რემონტის და საამქროების გადაჯგუფების დამთავრების შემდეგ შესაძლებელი ხდება მესამე აპარატის დადგმა, რის შემდეგაც ფაბრიკის ნაყოფიერება დღეში 1.200 მეტრით გადიდდება. ფაბრიკაში იმუშავებს სულ შენგერის სისტემის 20 დაზგა. ფაბრიკის ადმინისტრაცია დაკვრთ წესით ატარებს დანართი ხარჯების შემცირებას. შეიქმნა ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა მაგარი შტატი, რომელშიდაც შედის 179 კაცი. მუშებისათვის აგებული და მოწყობილი იქნა აბანო, გაიხსნა ამბულატორია და სასადილო.

ბათომის ბიდონის ქარხანა

ბათომის ბიდონის ქარხნის მთელი წარმოება მექანიზაცია ქმნილია. მუშა სდებს დაზგაში თუნუქის თეთრ ფურცელს და ერთს წუთს შემდეგ ბიდონი უკვე მზად არის. შემდეგ ხდება მხოლოდ ბიდონის ფსკერის დაკავშირება ტყვიით და რკალით.

მექანიზაცია ქმნილია აგრეთვე ნავთის ჩასხმა ბიდონებში. ერთგვარი აპარატით ერთბაშად ივსება 40 ბიდონი. ჩასასხმელ ნახვრეტში თუნუქის თავსაცობის დახურვის შემდეგ, ნავთით სავსე ბიდონები იგზავნება საწყობში.

დღე-ღამეში ქარხანა ამზადებს უკვე 5000 ცალს ბიდონს. ჯერ-ჯერობით ქარხანაში მუშაობს 70 კაცი. აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველოსა (რომლის უწყების ქვეშ იმყოფება საბიდონო ქარხანა) და ნავთის სინდიკატებს შორის დადებულია ხელშეკრულება. რომლის ძალით საბიდონო ქარხანამ უნდა დაუმზადოს სინდიკატს თვიურად 100 ათასი ცალი ბიდონი, ყოველგვარ მასალას—თუნუქს, კალას, ტყვიას და მავთულს ქარხანას აწვდის ნავთ სინდიკატი. თვითეული ცალი ბიდონის დამზადებაში სინდიკატი იხდის 8 კაპიკს. ამგვარად დღე-ღამეში ქარხანა ამზადებს 400 მანეთის ბიდონს

ნავთსადგურებში

ბათომის ნავთსადგური

ა.-კ. სანავთსადგურო განყოფილება მიმდინარე წელს აფართოებს ბათომის ნავთსადგურს. ამ მიზნით ბათომის ნავთსადგურის სამმართველოს დავალებული აქვს დაამზადოს სამშენებლო მასალა ნავთსაყუდის გასაფართოებლად. განზრახულია მასალად გამოყენებული იქნეს ახლო მდებარე კლდის კარერები. ნავთსადგურის სამმართველო ამ ჟამად იკვლევს ამ კარერებს და არკვევს აგრეთვე მასალის დამზადების პირობებს. სამშენებლო მუშაობის საწარმოებლად განზრახულია შეძენილ იქნეს ბარჟა. შეძენილ იქნება აგრეთვე სეპარატორიებიანი ბარჟა ნავთის მზიდველ გემებიდან ზედმეტი წყლის ამოსაღებად. განზრახულია კიდევ ნავთსადგურის ტერიტორიის გარშემო რკინა—ცინობანი ბაჯრის შემოვლება. მიმდინარე წლის განმავლობაში უცხოეთის სამგზავრო გემების სადგომთან აშენებული იქნება პავილიონი მგზავრებისათვის.

ფოთის ნავთსადგური

ფოთის ნავთსადგურის გასაუმჯობესებლად სანავთსადგურო განყოფილების მიერ გამომუშავებულია მთელი რიგი ღონისძიებანი. პირველ ყოვლისა გაფართოებული იქნება 430 მეტრით ჩრდილოეთის ნავთსადგური. ამ ღონისძიებაში მიღწეული იქნება გემების უფრო მოხერხებული შემოსვლა ნავთსადგურში. განზრახულია აგრეთვე შეძენილ იქნეს ერთი ბუქსირი ღრმა ფოკერიანი ოკეანის დიდი გემების უხიფათოდ გასაყვან-შემოსაყვანად. ნავთსადგურის სამშენებლო გეგმაში შედის აგრეთვე სიმინდის და პურის პროდუქტების საწყობი ბელლების აგება-მოწყობა, რადგან წინანდელი ხის ბელლები იმდენად დაძველდენ, რომ საწყობებად აღარ გამოდგებიან. ამავე სამშენებლო პერიოდში ფოთის ნავთსადგურის მუშებისათვის აგებული იქნება ბინები 1.400 კვად. მეტრი საცხოვრებელი მოედნით. საფუძვლიანად შეკეთებული იქნება აგრეთვე ამხ. ელიავას სახელობის ქარხანა, რომელიც აწარმოებს გემების და სხვა მცურავ ეკიპაჟების შეკეთებას.

აფხაზეთის ნავთსადგურები

აფხაზეთის ნავსადგურების გასაუმჯობესებლად განზრახულია შემდეგი სამუშაოები: ტვირთმზიდი გემების ნავთსაყუდის გადიდება ოჩემჩირეში. განზრახულია შემცირებული იქნეს აგრეთვე მეტის-მეტად დიდი დანართი ხარჯები, რომელიც გამოწვეულია რეიდზე გემების განტვირთვით და დატვირთვით. განზრახულია აგრეთვე ახალი ტვირთმზიდი გემების ნავსაყუდის მოწყობა სარეისო გემების შესაჩერებლად სოხუმში.

ყველა ეს სამუშაოები საქართველოს სამივე ნავთსადგურებში შესრულებული იქნება 1926-27 წლის განმავლობაში.

საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი 1925—26 წლისათვის

(საუბარი საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისართან— ბრიუხანოვთან)

„ეკონომიჩესკაია ჟიზნის“ თანამშრომელთან საუბარში საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარმა ამხ. ბრიუხანოვმა შემდეგნაირად დაახასიათა საბჭოთა კავშირის 1925-26 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი 1925-26 წლისათვის უდრის 4.039 მილიონ მანეთს, მაშინ როცა ორი წლის წინად ის შეადგენდა მხოლოდ 2.300 მილიონ მანეთს. 1923-24 წელს ხარჯების დაახლოვებით 8 პროცენტი იფარებოდა ქაღალდის ფულის ხარჯზე; 1925-26 წლის ბიუჯეტში შემოსავალი არამც თუ სავსებით ჰფარავს გასავალს,არამედ აღემატება კიდეც 117 მილ. მანეთით, რომელიც შეადგენს თავისუფალ სახელმწიფო რეზერვს. **ეს რეზერვი ჩვენი საფინანსო პოლიტიკის უდიდესი მიღწევაა და მოწმობს იმას, თუ რამდენათ გავცილდით რევოლიუციონურ აღმშენებლობის პირველი წლების დეფიციტიან ბიუჯეტებს.** ის არა მარტო უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის სისწორით შესრულებას, არამედ უზრუნველჰყოფს შავი დღისათვის.

1925-26 წლის ბიუჯეტის შემოსავლის თითქმის ნახევარს—1.880 მილ. მანეთს იძლევა სხვადასხვა სახის გადასახადები; დანარჩენი 2.159 მილიონი მან. მიღებულ იქნება არა საგადასახადო შემოსავლიდან (რომელსაც უმთავრესად ეკუთვნის სამეურნეო შემოსავალი)და სახელმწიფო შემოსავლიდან—სახელმწიფო სესხებიდან და ვერცხლის მანეთის მოჭრიდან. ამგვარათ, ჩვენი ბიუჯეტის მთავარ შემოსავალს შეადგენს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის შემოსავალი.

პირდაპირი გადასახადები და ბაჟები იძლევა 753 მილიონ მანეთს, ხოლო არაპირდაპირი გადასახადები—1.127 მილიონ მანეთს. ჩვენს საგადასახადო პოლიტიკაში გატარებულია კლასობრივი პრინციპი. სოფლის ღარიბ მოსახლეობის დაახლოვებით 20 პროცენტი განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან. ქალაქებში მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც სამუშაო ხელფასს იღებენ განსაზღვრულ მინიმუმამდე, განთავისუფლებული არიან შემოსავლის კვალობითი გადასახადისაგან. პირიქით, მოსახლეობის შეძლებული ნაწილი უფრო საფუძვლიანად იბეგრება.

რაც შეეხება **არაპირდაპირ გადასახადებს**, აქციზებს და საბაჟო გადასახადებს, აქ წარსული წლის ბიუჯეტთან შედარებით შემოსავალი თითქმის ორჯერ გაიზარდა. ეს აიხსნება მით, რომ მოსახლეობის სყიდვითი უნარის ზრდის გამო იზრდება აქციზი და ბაჟდადებულ საქონელს მოხმარება. მაგრამ არაპირდაპირ დაბეგვრის სფეროში ჩვენ სხვადასხვა გადასახადს ვაწესებთ საქონლის ჯგუფებზე მათ მომხმარებელ მოსახლეობის კლასობრივ შემადგენლობის მიხედვით. ძვირფას საქონელზე, რომელიც არ არის ყველასთვის ხელმისაწვდომი, ჩვენ ვაწესებთ გაცილებით უფრო დიდ გადასახადს, ვინემ იმ პროდუქტებზე, რომლებსაც ხმარობს მშრომელი მოსახლეობა. საერთოდ, **დაბეგვრის არსებული სისტემის დროს საბჭოთა მოქალაქენი დაახლოვებით იხდიან იმ გადასახადების 70 პროცენტს, რომელთაც ისინი იხდიდნენ მეფის მთავრობის დროს,** ხოლო სოფლის მოსახლეობა იხდის სამჯერ უფრო ნაკლებს, ვინემ ქალაქის მოსახლეობა.

საგადასახადო შემოსავალი 1925-26 წლის ბიუჯეტში თითქმის 2 მილიარდ მანეთს შეადგენს. პირველი ადგილი უჭირავს ტრანსპორტის შემოსავალს, რომელიც უდრის 1.345 მილ. მანეთს; სახელმწიფო ქონებათა და წარმოებათა შემოსავალი უდრის 161 მილ. მანეთს; ფოსტა-ტელეგრაფის 153 მილ. მანეთს; ტყის—140 მილ. მან.; ბანკების—53 მილ. მანეთს და სხვ. **არასაგადასახადო შემოსავალი** წლის განმავლობაში დაახლოვებით 1½-ჯერ გაიზარდა და ეს ფაქტი მოწმობს, რომ ჩვენ მეურნეობას ვუძღვებით უფრო კარგათ, ვინემ ვუძღვებოდით წინად და სახალხო მეურნეობა გვაძლევს მეტ შემოსავალს, ვინემ გვაძლევდა ახლო წარსულში. გზათა სახალხო კომისარიატი უკვე ასრულებს ომის წინა დროის მუშაობის 85 პროცენტს, ხოლო ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატმა გაუსწრო ომის წინა დროის დონეს. გზათა სახალხო კომისარიატი და ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატი სავსებით ჰფარავენ ყველა თავის ხარჯებს და სახელმწიფოს წმინდა მოგების სახით 29 მილ. მანეთს აძლევენ.

სახელმწიფო მრეწველობის და ვაჭრობის შემოსავალი წლის განმავლობაში 50 პროცენტით გაიზარდა; ბანკების შემოსავალი იმავე პერიოდში გაიზარდა 2½-ჯერ, ტყეების შემოსავალი—1½-ჯერ და სხვ. არასაგადასახადო შემოსავლის ასეთი მნიშვნელოვანი ზრდის დროს, საგანგებო შემოსავალი შეადგენს სულ 178 მილიონ მანეთს, აქედან 30 მილიონი მოდის ლითონის მანეთის მოჭრაზე, ხოლო 120 მილ. მანეთი შემოდის სესხებიდან.

სახელმწიფო ვალების საერთო ჯამი სესხების სახით შეადგენს 440 მილიონ მანეთს ე. ი. ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის დაახლოვებით 10 პროცენტს. ეს თანხა, რომელიც გროშებით შეკრებილია გლეხებსა, მუშებს და მოსამსახურეებში, საბჭოთა კავშირის მოვაჭრეებსა და მრეწველებში, მაჩვენებელია იმის, თუ როგორი ნდობა მოიპოვა სახელმწიფო სესხმა მოსახლეობის ფართო მასებში.

მეფის მთავრობის დავალიანება, რომელიც ომამდე 8,8 მილიარდ მანეთს შეადგენდა, უმთავრესად გამოწვეული იყო სამხედრო ხარჯებით, მაშინ როცა **საბჭოთა მთავრობის სესხები მხოლოდ და მხოლოდ სახალხო მეურნეობის აღდგენას ხმარდება.**

ბიუჯეტის გასავლის ნაწილი შემოსავლის ნაწილის გამოხატულებაა. თუ შემოსავლის ნაწილში შემოსავლის უდიდესი წილი სამეურნეო შემოსავალს ეკუთვნის, გასავლის ნაწილში მთელი ხარჯების 51½% სამეურნეო საჭიროებებს ხმარდება. სამხედრო დაცვისათვის ჩვენ ვხარჯავთ ჩვენი ბიუჯეტის 16%-ს. აღსანიშნავია, რომ ის ხარჯი 4½-ჯერ ნაკლებია მეფის მთავრობის სამხედრო ხარჯებზე. ამავე დროს სახალხო განათლებისათვის ჩვენ ვხარჯავთ 650 მილიონ მანეთს, ე. ი. იმაზე მეტს, რაც იხარჯება წითელი არმიისა და ფლოტის შესანახად. ჯანმრთელობაზე ჩვენ ვხარჯავთ 400 მილიონ მანეთამდე. მცხოვრებთა თითო სულზე ეს შეადგენს 2 მან. და 50 კაპ., მაშინ როდესაც მეფის რუსეთის უკანასკნელ წლებში ჯანმრთელობის საქმეზე იხარჯებოდა 1 მანეთი თითო სულზე.

სამეურნეო ხარჯების (რომლის საერთო ჯამი გზათა და ფოსტის კომისარიატის საექსპლოატაციო ხარჯებთან ერთად, უდრის 1.976 მილიონ მანეთს) მნიშვნელოვანი ნაწილი ახალ აღმშენებლობას ხმარდება. გზათა სახ. კომისარიატის ხარჯებიდან (1.329 მილიონი მან.), რომელიც სრულიად იფარება მისივე შემოსავლით, ახალ სამუშაოებს ხმარდება 200 მილიონ მანეთზე მეტი.

მრეწველობისა, ელექტროფიკაციისა და საბინაო აღმშენებლობისათვის გადადებულია 335 მილიონ მან. მეტი. მრეწველობის ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი მიდის ჩვენი მძიმე მრეწველობის აღსადგენად და საბინაო აღმშენებლობის საჭიროებისათვის.

სასოფლო-მეურნეობის საჭიროებისათვის მიმდინარე წელში გადადებულია 157 მილიონი მან., ამასთანავე გლეხის მეურნეობის სამეურნეო საჭიროებათათვის დაიხარჯება 151 მილიონი მან., მაშინ როდესაც შარშან მასზე დაიხარჯა 80 მილიონი მანეთი. 7 მილიონ მანეთამდე დაიხარჯება მცირე მოსავლის რაიონებზე და 77 მილიონამდე მან.—სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის განვითარებაზე; ამასთანავე, ამ ჯამიდან გამოყოფილია 10 მილიონიანი განსაკუთრებული ფონდი სოფლის ღარიბ მოსახლეობისათვის შეღავათიან კრედიტის მისაცემად.

აუცილებელია აგრეთვე აღინიშნოს, რომ 1925-26 წლის ბიუჯეტში პირველადაა გამოსახული ადგილობრივ ბიუჯეტების დახმარება.

თუ ჩვენი სახელმწიფოებრივ ცხოვრების პირველ ხანებში ადგილობრივ მეურნეობის საჭიროებებს სათანადო ყურადღება ვერ ექცეოდა, ეხლა ამ საჭიროებების დაკმაყოფილება პირველ რიგში სდგას. 1925-26 წელში ადგილობრივი ბიუჯეტები მიიღებენ 338 მილიონ მანეთს, რომელიც დიდ როლს ითამაშებს ჩვენი ადგილობრივი მეურნეობის მოსაწესრიგებლად.

ზემო აღნიშნული ციფრები და ფაქტები მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირის მთლიანი სახელმწიფოებრივი ბიუჯეტის **როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილი შედგენილია პარტიის უკანასკნელ ყრილობის დირექტივების მიხედვით და ეთანხმება სახელმწიფოებრივ და სამეურნეო აღმშენებლობის ამოცანებს.**

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

ფორმალური რევიზიიდან არსებითი რევიზიისაკენ

მფლანგველობის, ხელგაშლილობის, მითვისება-მტაცებლობის და სხვა სახის ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრის საქმეში ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა სარევიზიო საკონტროლო მუშაობას. სისტემატიური კონტროლი და სარევიზიო მუშაობის გეგმიანობა არა თუ ააშკარავებს უკვე ჩადენილ ბოროტმოქმედებას ან დაუდევრობას, არამედ აფრთხილებს სხვებს რაიმე დანაშაულის ჩადენისაგან. იქ, სადაც სარევიზიო ორგანო თავის სიმაღლეზე დგას, გაფლანგვა-მითვისებას და უმომჭირნეობას ადგილი არა აქვს.

მაგრამ საქმე მარტო მუშაობის შემოწმება-გადასინჯვაში როდია. ამასთან ერთად საჭიროა აგრეთვე მუშაობის არსებითად შესწავლა ამა თუ იმ ღონისძიებათა, რომელიც მიღებულია ხელმძღვანელ ორგანოს მიერ, პრაქტიკულ აუცილებლობის შემოწმება, მისი მიზანშეწონილობის გამორკვევა.

ჩვენი დღევანდელი რევიზია და კონტროლი კი, უმთავრეს შემთხვევაში, ფორმალური რევიზიის ორგანოებია. ესე იგი, ისინი სინჯავენ საბუთებს, ამოწმებენ მათ სინამდვილეს თუ სიყალბეს და მხოლოდ ამით კმაყოფილდებიან.

მომავალში რევიზია - კონტროლის ასეთი წესი უნდა შეიცვალოს, თუ ჩვენ გვინდა, რომ ამ მუშაობამ გაცილებით მეტი ნაყოფი მოიტანოს, ვიდრე მას დღეს მოაქვს.

ფორმალური რევიზიიდან არსებითი რევიზიისაკენ—აი რა უნდა დავისახოთ ჩვენ ეხლა მიზნათ. რასაკვირველია, სარევიზიო ორგანოს მითითება, რჩევა-დარიგებას არ ექნება კატეგორიული ხასიათი დაწესებულება-წარმოების ხელმძღვანელ ორგანოსათვის. სარევიზიო ორგანო ამ შემთხვევაში უნდა წარმოადგენდეს მუშაობით დამხმარე, ხელის შემწყობ და არა მარტო შემმოწმებელ-დამსჯელ ორგანოს.

რაც უფრო ადრე შეითვისებენ და განახორციელებენ ამ აზრს სამეურნეო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სარევიზიო ორგანოები, მით უფრო კარგია გეგმაშეზომილ მუშაობისათვის, მით უფრო წინ წავალთ ჩვენ მომჭირნეობის რეჟიმის გზით.

ვ. მ—ლი.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

საპირველმაისო ხარჯების შემცირება

სხვა მორიგ ლოზუნგებ შორის პირველ მაისის ლოზუნგებში მომჭირნეობის რეჟიმს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ამიტომ თავისთავად გასაგებია, რომ ეს ლოზუნგი უნდა შეხებოდა აგრეთვე საპირველმაისო ხარჯების შემცირებასაც. როგორც ვიცით, ამ მხრივ სადღესასწაულო განწყობილებით გატაცებულნი დაწესებულება - პროფკავშირები ზოგჯერ მეტის-მეტ ხელგაშლილობას იჩენდნენ.

ამიტომ საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რამდენათ შეეხო მომჭირნეობის რეჟიმი უკანასკნელ პირველ მაისის საორგანიზაციო ხარჯებს და რაში გამოიხატა ამ რეჟიმის გატარების მიღწევები. გაზეთ „კოოპერატივნაია ჟიზნ“-ში მოყვანილია ეს ცნობები მოსკოვის რამდენიმე მნიშვნელოვან დაწესებულებათა შესახებ.

„სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ,სწერს გაზეთი,დახარჯა მხოლოდ 87 მ., შარშანდელი 600 მანეთის მაგიერ; ნავთის სინდიკატმა 50 მ.,—850 მ. მაგიერ; შირის ტრესტში წელს საპირველმაისო ხარჯები სრულიად არ ყოფილა, შარშან დაიხარჯა 800 მან.; „მოსსუკნოში“ ხარჯები არ ყოფილა, შარშან დაიხარჯა 250 მან.“; შარშან, პირველმაისის სადღესასწაულოთ საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა კულტფონდის ხარჯზე გაიღო 1.700 მან., წელს 1 მაისის უქმობა დაჯდა მხოლოდ 200 მან.; შინაგან საქმეთა კომისარიატის ადგილკომმა წელს დახარჯა 96 მანეთამდე..., შარშან კი 400 მანეთი“.

„კოოპერატივნაია ჟიზნ“-ში მოყვანილი ცნობები მეტად საგულისხმოა პრაქტიკულ მიღწევათა აღნუსხვის მხრივ მომჭირნეობის რეჟიმის გატარების საქმეში, კერძოთ კი სადღესასწაულო ხარჯების შემცირებაში.

ზედმეტი არ იქნება, რომ ჩვენი დაწესებულება პროფკავშირებიც მოახდენდენ წლევანდელ საპირველმაისო ხარჯების შარშანდელთან შედარებას. უნდა გვახსოვდეს, რომ პრაქტიკულ მიღწევათა თვითეულ შემთხვევის აღნუსხვას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიის რეჟიმის გატარებისათვის.

ტრაქტორისტების გამგზავრება.

ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტმა საზღვარგარეთიდან მიიღო 70 ტრაქტორი, რომლებიც დანაწილებულია 5 რაზმად. ტრაქტორების ბაზა მოწყობილია განჯაში, სადაც გაგზავნილია 16 ტრაქტორისტი.

პირველი რაზმი 10 ტრაქტორით გაიგზავნა სარდარაბადში, მეორე—12 ტრაქტორით შულავერში, მესამე—15 ტრაქტორით ლიაკში, მეოთხე—10 ტრაქტორით უჯარაში და მეხუთე—6 ტრაქტორით სად. ზუბოვკაში.

ამას გარდა არაზდალის საბჭოთა მეურნეობასთან ცდების წარმოების მიზნით მოწყობილია სატრაქტორო უჯრედი ერთი ტრაქტორით.

ა.-კ. საბამბო კომიტეტში მიღებულია ცნობა, რომ ეს ტრაქტორები უკვე შეუდგენ მუშაობას. ამჟამად ტრაქტორები მუშაობენ მიწების მოხვნაზე, რის შემდეგაც ისინი გამოყენებული იქნებიან ტვირთების გადასატანათ, თივის მოსაგროვებლად, მიწების მოსარწყავად და სხვა.

ა.-კ. საბამბო კომიტეტს განზრახული აქვს ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საჩვენებლად გამოიტანოს რამოდენიმე დამხმარე ტრაქტორი.

სარდარაბადის რაიონში ერთი დესეტინა მიწის მოხვნა აქამდე ღირდა 40 მანეთი, ტრაქტორების გაგზავნის შემდეგ კი მიწების მოსახნავი ქირა ძალიან შემცირდა.

გუშინ ა.-კ. საბამბო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებასთან არსებულ სატრაქტორო სექციას ესტუმრა ფორდის 6 წარმომადგენელი-ტრაქტორისტი, რომლებიც ამ დღეებში ჩამოვიდნენ თბილისში.

მათ წინადადება მისცეს ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტს, რომ ჩამოივლიან მებამბეობის ყველა რაიონებს, დაათვალიერებენ მათ და ტექნიკურ დახმარებას აღმოუჩენენ ჩვენს ტრაქტორისტებს.

მოლაპარაკება დადებითად გადაწყდა და ფორდის წარმომადგენლები ა.-კ. საბამბო კომიტეტის სატრაქტორო სექციის გამგე ამხ. შუბუევთან ერთად დღეს გაემგზავრებიან შულავერში, საიდანაც დაიწყებენ მებამბეობის ყველა რაიონების დათვალიერებას.

ფორდის წარმომადგენლები საჭირო ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ ადგილებზე მომუშავე ჩვენს ტრაქტორისტებს.

* * *

შემნახველ სალაროების კამპანია

შუა აპრილიდან ამიერ-კავკასიასა და კერძოდ საქართველოში მიმდინარეობს შემნახველ სალაროების კამპანია, რომელიც გაგრძელდება მაისის ბოლოვამდე, ამ ხნის განმავლობაში წარმოებებში იმართება მუშა-მოსამსახურეთა კრებები, რომელზედაც შემნახველ სალაროების მნიშვნელობის შესახებ მოხსენებას აკეთებენ საფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენელნი. უკანასკნელ დრომდე თბილისს და ქალაქ გარეთ მოეწყო 20-მდე ასეთი კრება. მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა შემნახველ კასების იდეას თანაგრძნობით ხვდება, საერთოდ საერთოდ კამპანია წარმატებით მიმდინარეობს. კამპანიის საბოლოო შედეგების გამოყვანა ჯერ ადრეა, მაგრამ შეკრებილია სათანადო ცნობები, რომელნიც მოწმობენ შემნახველ სალაროების ოპერაციების ზრდას.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ კრებების დროს მუშები უფრო მეტს აქტიობას იჩენენ, ვიდრე მოსამსახურეები. ყველა კრებებზე მუშები იძლევიან მეტად მნიშვნელოვან და საინტერესო შეკითხვებს (პროცენტების რაოდენობის, ანაბარების შეტანა-გამოტანის, ვადის ხანგრძლივობის შესახებ და სხვა), ჯერ-ჯერობით შემნახველი სალაროების კამპანიაში ჩაბმული არ არის გლეხობა, რომლის ანაბარების ჯამი სალაროებში უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს.

ამის დასახასიათებლად, თუ რამდენათ მოიკიდა ფეხი შემნახველ სალაროების იდეამ ჩვენს მუშებში, საკმაოა შემდეგი ციფრების მოყვანა: თებერვალში მთელს ამიერ-კავკასიაში იყო 317 შემნახველი სალარო (ამ რიცხვში არ შედის სახელმწიფო ბანკები და რკინისგზების სალაროები); შემნახველთა რიცხვი უდრიდა—8.975 კაცს. ანაბარების ჯამი—664.221 მანეთს, პირველ აპრილისათვის სალაროების რიცხვი ავიდა 348-მდე, შემნახველთა რიცხვი—

* * *

სოც.-დაზღვევა აჭარისტანში

მიმდინარე წლის მეორე მეოთხედისთვის აჭარისტანის დამზღვევ სალაროს აღრიცხვაზე ჰყავს აყვანილი 139 წარმოება-დაწესებულება, რომლებშიაც დაზღვეულია 9,188 მუშა-მოსამსახურე. მათ შორის 1.597 ქალია.

მარტის განმავლობაში აჭარისტანის დამზღვევმა სალარომ დროებით შრომის უნარ დაკარგულებს აუნაზღაურა 9.883 გაცდენილი დღე, რის გამო გაცემული იქნა 21.223 მან. და 95 კ.

აპრილის პირველ რიცხვებისათვის აჭარისტანის დამზღვევ სალაროებს აღრიცხვაზე ყავდათ აყვანილი 139 შრომით დასახიჩრებული, რომელთა შორის 33 ქალია.

ამავე რიცხვებისთვის დამზღვევ სალაროს ხარჯზე იმყოფებოდა 577 დაზღვეული უმუშევარი, რომელთაც ეძლევათ დახმარება.

პირველ აპრილისათვის დამზღვევ სალაროს ხარჯზე იმყოფებოდა ქვრივ-ობოლთა 50 ოჯახი.

მარტის განმავლობაში გაიცა 3.611 მ. და 70 კ. სარჩო დახმარება; 1.625 სამშობიარო და 1.425 მანეთი სამარხი ფული.

ზაჰესის ენერგიის მოლოდინში

მელითონეთა კავშირის გამგეობამ წინადადება მისცა კავშირის სამუშაო აპარატს, რათა ამ უკანასკნელმა შუამდგომლობა აღძრას სათანადო ორგანოებში ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს მუშების გადამზადების შესახებ; მათი გადამზადება დაკავშირებულია ზაჰესის ენერგიაზე გადასვლასთან.

ამ საკითხის სასწრაფოთ მოგვარების აუცილებლობის გამო საჭიროთ იქნა ცნობილი ელექტრონზე მომუშავეთა განსაზღვრული რაოდენობის გაგზავნა პრაქტიკულ სამეცადინოდ ბაქოში; ამავე დროს მოგვარებული იქნეს საკითხი მათი თეორეტიული მომზადების მხრივ.

მომჭირნეობის რეჟიმისათვის მებრძოლ საგანგებო კომისიაში

შესდგა საქ. კომპარტიის საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან არსებულ მომჭირნეობისათვის მებრძოლ საგანგებო კომისიის სხდომა. სხდომამ დაადგინა კომისია დაყოფილ იქნეს შემდეგ ჯგუფებად:

1) საწარმოო, ამხ. კიკნაძის, სვანიძის, ელიკაშვილის და ხარაზიანის შემადგენლობით.

2) სავაჭრო-კოოპერატიული და სახალხო კომისარიატების, ამხ. ლოლობერიძის, ბერიას, ჯიოევის და გოდაბრელიძის შემადგენლობით და 3) სატრანსპორტო ამხ. რონზანის, სვანიძის, და ლეჟავას შემადგენლობით.

ჯგუფებს დაევალათ დაუყოვნებლივ შეუდგენ მუშაობას, დაამყარონ კავშირი დაწესებულებებთან არსებულ კომისიებთან, სათანადო დირექტივები მისცენ მათ და ამ უკანასკნელთა მიერ ჩატარებულ მუშაობისა და მიღწევების შესახებ აცნობონ ცენტრალურ კომისიას.

აგრეთვე საჭიროთ იქნა ცნობილი დაწესებულებებთან არსებულ კომისიების მოხსენებათა რიგ-რიგობით მოსმენა.

გ.

ქრონიკა

თბილისის თამბაქოს ქარხნები

როზა ლიუქსენბურგის თამბაქოს ქარხანაში კამპანია მომჭირნეობის რეჟიმის დასამყარებლათ ტარდება უკვე თებერვლის განმავლობაში—აპრილის პირველ რიცხვებიდან უკანასკნელ დრომდე, მომჭირნეობის რეჟიმი ქარხანაში გაჰყავს არა მარტო ადმინისტრაციას, არამედ მუშათა ორგანიზაციებსაც, საწარმოო თათბირებს და საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტს. ეკონომიის რეჟიმმა ფაბრიკაში უკვე თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო, გასავალი ხარჯების ეკონომია ხდება, სადაც კი ეს მოსახერხებელია. პირველ რიგში ეკონომიის რეჟიმი შეეხო საკანცელარიო ხარჯებს. მაგ. წინა თვეებთან შედარებით აპრილში საკანცელარიო ხარჯები 17 პროცენტით იქნა შემოკლებული.

გაუქმებულ იქნა აგრეთვე ზედმეტი სამუშაოები ბუღალტერიის დარგში. ამ დარგში ზედმეტი სამუშაოები აღარ არის საჭირო, რადგან ხელფასის გადახდის ვადათ დაწესებულ იქნა ყოველი თვის 5 და 20 რიცხვები.

აპრილის შუა რიცხვებში საწარმოო თათბირმა დაადგინა—შემოღებულ იქნეს იმ მექანიკოს მუშების დაჯილდოება, ვინც მომჭირნეთ მოიხმარს მანქანის სხვადასხვა ნაწილებს.

უკანასკნელ დრომდე მიუხედავათ სამანქანო ნაწილების კრიზისისა, სამანქანო ნაწილები აღურიცხავად იხარჯებოდა.

საკარტონაჟო ფაბრიკა „ინტერნაციონალი“

ჯერ კიდევ მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიის დაწყებამდე, საკარტონაჟო ფაბრიკა „ინტერნაციონალი“ შეუდგა საგასავლო ხარჯების შემცირებას შეძლებისდაგვარად. კამპანიის დაწყების შემდეგ ფაბრიკამ კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობა მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლად. პირველ ყოვლისა ფაბრიკის გამგეობამ გააუქმა საკარტონაჟო ნაწარმოების ასასაღებლად დაწესებული წარმომადგენლობა. ამჟამად ეს საქმე დაკისრებული აქვს ქარხნის კანტორის აპარატს.

უკანასკნელ დრომდე კარტონის გასაფენად იხმარებოდა დასველებული კარტონი; ახლა იგი შეცვლილი იქნა ტომრის ტილოთი.

ამ ღონისძიებით წლიურად მომჭირნებული იქნება 3 ათასი მანეთი.

აპრილამდე საამქროებში საპაპიროსე კოლოფების დაჭრა სწარმოებდა ფეხსაცმლის ტყავის გამოსაჭრელი დანებით, ამჟამად კი სწარმოებს კალაპოტების გამოსაჭრელ დანებით. ამ ცვლილებამ ნაყოფიერება ქარხანაში 70 პროცენტით გაადიდა.

არის კიდევ მთელი რიგი წვრილმანი დარგები, რომლებსაც შეეხო მომჭირნეობის რეჟიმი. ფაბრიკაში გრძელდება მუშაობა არასაწარმოო ხარჯების შესამცირებლად.

თბილისის აღმასკომში

გუშინწინ თბილისის აღმასკომში შესდგა მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელი კომისიის სხდომა.

სხდომაზე გამოტანილ იქნა მთელი რიგი დადგენილებებისა, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი: ყველა წარმოებებთან და განყოფილებებთან დაარსდებიან მომჭირნეობის უჯრედები, რომლებშიაც შევლენ ადმინისტრაციის, წარმოების მუშების, კომუჯრედის, საუწყებო კონტროლის და სხვა დარგების წარმომადგენლები.

თვითეული ასეთი უჯრედი თავის მუშაობის შესახებ ანგარიშებს ჩააბარებს აღმასკომთან არსებულ მომჭირნეობის ცენტრალურ კომისიას.

კომისიის მუშაობის სახელმძღვანელო ინსტრუქციის გამომუშავება დაევალა ამხ. ვარძიელს.

მიწათმოქ. კომისარიატში

მიწათ მოქმედების კომისარიატთან დაარსებულია კომისია ეკონომიის რეჟიმის ცხოვრებაში გასატარებლად. თავის პირველ სხდომაზე კომისიამ გამოარკვია ეკონომიის რეჟიმის ცხოვრებაში გატარებასთან დაკავშირებული საკითხები და გამოიმუშავა პრაქტიკულ ღონისძიებათა მთელი რიგი მიწათმოქმედების აპარატის გაუმჯობესებისათვის როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. კომისიის მიერ შემუშავებულია აგრეთვე ღონისძიებანი ზედნართი ხარჯების შესამცირებლად.

თამბაქოს ტრესტში

ს. მ. უ. ს. არსებულ მომჭირნეობისათვის მებრძოლ ცენტრალურ კომისიაში 17 მაისს ამხ. ჯანაშიას მონაწილეობით შესდგა თამბაქოს ტრესტის დირექციის სხდომა თამბაქოს ქარხნების დირექტორებთან და პროფკავშირების წარმომადგენლებთან ერთად.

თათბირმა მიიღო კონკრეტიული ღონისძიებანი ხარჯების შესამცირებლად. შემცირებულია 40 კაცით შტატები, რაც იძლევა 2.000 მანეთზე მეტ ეკონომიას. შემოკლებულია აგრეთვე სხვა ხარჯებიც 3.600 მანეთით.

თათბირმა აღიარა, რომ თამბაქოს დამამზადებელ ორგანოების საორგანიზაციო ხარჯები (10%) ძალიან გაზრდილია და წინადადება მისცა სათანადო ორგანოებს შეამცირონ ეს ხარჯები 5 პროცენტამდე. ამ ხარჯების შემცირება თამბაქოს ტრესტს აძლევს 100.000 მანეთის ეკონომიას.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა 4 ყრილობა

ამხ. სკულტინის მოხსენება

კულტურული მუშაობა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის წევრებს შორის სწარმოებდა, უმთავრესად, კლუბ „მუშათა პრესა“-ში და ადგილკომებთან; ამ უკანასკნელებთან არსებული კულტკომისიები დროგამოშვებით უშვებდენ კედლის გაზეთებს, აწარმოებდენ ჩაწერას კლუბთან არსებულ სხვადასხვა წრეებში და სხვა.

გასული წლის ზაფხულზე კულტკომისიის მიერ ჩატარებული იქნა სექციის წევრების 5 ექსკურსია და მოწყობილი ფეხბურთელთა გუნდი. ნოემბრიდან დაიწყო წრეების მოწყობა; განზრახული წრეებიდან შესაძლებელი გახდა მხოლოდ ოთხი სექციის მოწყობა: სტენოგრაფიის, ქართული ენის, პროფმოძრაობის და შახმატის წრეები. ამ წრეებიდან უფრო ცოცხალი აღმოჩნდა სტენოგრაფიის და ქართული ენის წრეები.

დეკემბერში მოხდა ადგილკომების კულტკომისიების გადარჩევა, რის შემდეგაც მასიური კულტმუშაობა უფრო გაცხოველდა. ჩატარებული იქნა კინო-ლექციები, მოეწყო წითელი სტადიონის ორგთეატრის საღამო და სხვა. დეკემბერშივე შემუშავებული იქნა მუშაობის სამი თვის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იყო სხვადასხვა წრეების მოწყობა.

მიმდინარე წელში კლუბთან მოეწყო დრამატიული წრე, სიმებიანი ორკესტრი, ბიბლიოთეკა და სხვა. ზაფხულის დაწყებიდან განზრახულია ჩვენი სექციის წევრების ექსკურსიების მოწყობა სხვადასხვა ადგილებში. ამას გარდა განზრახულია მასიური კულტმუშაობის სხვა დარგების გაძლიერება.

კავშირის ცენტრ. გამგეობის მუშაობა

ამხ. კვიცარიძის მოხსენება

კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაობას შესამჩნევად აფერხებს ის გარემოება, რომ ჩვენი კავშირის წევრებს შორის ჯერ კიდევ მოსპობილი არ არის პროფუცოდინარობა. მუშაობის გაცხოველების მიზნით ცენტრალურმა გამგეობამ გამოსცა სათანადო ლიტერატურა და დაგზავნა ადგილებზე; ამ ლიტერატურის გავრცელების საშუალებით ჩვენ ვფიქრობთ შევამციროთ პროფუცოდინარობა, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს ცენტრალური გამგეობის მუშაობას.

ჩვენს მუშაობაში ყველაზე უფრო მწვავე საკითხი განათლების მუშაკთა შრომის ხელფასია. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია ტექნიკური პერსონალი. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად მიღებულია სათანადო ზომები. კავშირი მონაწილეობას იღებს განათლების სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო მუშაობაში, სადაც ჩვენ ვიცავთ ხელფასის უნიფიკაციის პრინციპს.

ამას წინად ჩვენ განათლების კომისარიატთან დავდევით გენერალური ხელშეკრულება; ჩავატარეთ კამპანია ამ ხელშეკრულების გასაცნობად და სხვა.

რაც შეეხება ცენტრალური გამგეობის და ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალურ ბიუროს ურთიერთობას, უნდა ითქვას, რომ ცენტრში ეს ურთიერთობა მოგვარებულია და სწარმოებს შეთანხმებული მუშაობა, ადგილებზე ეს ურთიერთობა ვერ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენი კავშირის სამაზრო განყოფილების გამგეები დატვირთული არიან მუშაობით და ვერ ახერხებენ სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიონ სექციის მუშაობას ადგილებზე.

კამათი

ამხ. კვიცარიძის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი ცენტრალურ ბიუროს და ცენტრალურ გამგეობის მოხსენებების გარშემო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. წულაძემ, მალაშხიამ, გიულუმიანმა, სოლოვეიჩიკმა, გასპაროვმა, გაბუნიამ, კიკნაძემ, ჯაფარიძემ და თვალაძემ.

* * *

ქუთაისის მუზეუმი

ქუთაისის საეთნოგრაფიო-საისტორიო მუზეუმი დღიდან თავისი დაარსებისა, განუწყვეტლათ ღებულობს პროვინციიდან სამუზეუმო ნივთებს. ნივთები სხვადასხვა ხასიათისაა. ამ უკანასკნელ დღეებში მუზეუმმა ცალკე კარადაში (ვიტრინა) მოათავსა ლეჩხუმის და რაჭის მაზრებიდან მიღებული ბრინჯაოს ხანის ნივთები, რომელნიც განირჩევიან თავისი შემადგენლობით ბალდათ - ზეკარში და სხვაგან აღმოჩენილ ნივთებისაგან მით, რომ ამ ნივთთა შორის ურევია ისეთებიც, რომელთა დანიშნულება ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. მუზეუმში გაიხსნა ახალი კარადა ქუთაისის მაზრაში აღმოჩენილ ქვის ხანის იარაღებისათვის რომლებიც აღმოჩენილია: ოდასკურაში, ბანოჯაში, გოდოგანში და ნაწილი დ. ჩხარში. ეს იარაღებია: ნაჯახები, დანები, სადგისები, საფხეკი, ხერხი ორ გვერდიანი, საზეგავები, სახვრეტი და ზოგი გამოურკვეველ დანიშნულების იარაღები.

საყურადღებოა ახალ შეძენილ ნივთებს შორის გაქვავებული [illegible] ფრინველის გამონახულობით. სიდიდით სირაქლემას კვერცხზე ორჯერ მეტი (აღმოჩენილია ხარაგოულის რაიონში).

რკინის ხანის იარაღთა შორის ყურადღებას იქცევს რკინის შვილდი რკინისავე ისრით (სიგრძე ერთი მეტრი), აღმოჩენილია გამოჩინებულის თემში. გოდოგნის თემში ამოთხრილია რკინის ისარი ანკესის მსგავსი წვერით.

მუზეუმის საბიბლიოთეკო განყოფილება დღითი-დღე იზრდება, როგორც ახალი გამოცემებით, ისე ძველი არქეოლოგიური ხასიათის ნაწერებით. ამ დღეებში მუზეუმმა ჩაიბარა ილია ხონელის ბიბლიოთეკა, სადაც არის ზოგიერთი საყურადღებო ხელთნაწერები. აგრეთვე მუზეუმმა მიიღო შეწირულებათ სერგო და ლუკა ხახტაძეების ბიბლიოთეკა.

მუზეუმის საეკლესიო განყოფილებაში დაგროვდა დიდძალი საეკლესიო ნივთები.

მუზეუმი აწყობს პედაგოგიურ განყოფილებას, რომელიც გაიხსნება ამ მოკლე ხანში. სპედ. მუზეუმში გამოფენილი იქნება უცხოეთში ნახული ძველი ისტორიული ნივთების რეპროდუქციები და საქართველოს სხვადასხვა კუთხის დამახასიათებელი სამუშაო იარაღები და ხელსაწყოები.

მუზეუმი მდიდარია ნუმიზმატიკური განყოფილებით.

მუზეუმი დიდძალ ხალხს იზიდავს, როგორც ქალაქიდან, ისე სოფლებიდანაც, მნახველთა რიცხვი (საშუალოთ) თვეში 2-დან—3 ათასამდეა, მუზეუმის კეთილმოწყობასა და დაარსებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ტრიფონ ჯაფარიძეს (ეხლა გამგეა მუზეუმის). მას განზრახვა აქვს პროვინციაში მოახდინოს გათხრები არქეოლოგიური მიზნით, თუ ნივთიერი პირობები ხელს შეუწყობს იქნება. მუზეუმს განზრახული აქვს გამოსცეს ხალხური სიტყვიერების ნაშთები.

მუზეუმში აღსანიშნავია ამ ბოლო ხანში შემოსული ქართული ჩუქურთმის ხელობა ურთხელის ხეზე, ხელობა როგორც საეკლესიო, ისე საერო ხასიათისაც.

* * *

როგორ გაჩნდა ხანძარი ფანერის ფაბრიკაში

სპეციალურმა კომისიამ, რომელიც გამოყოფილი იქნა კოლმანის და ამხ-ბის ფანერის ფაბრიკაში გაჩენილ ხანძარის მიზეზების გამოსარკვევად, დაამტკიცა, რომ ხანძარი გაჩნდა ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობის გამო.

მუშაობის გათავების შემდეგ ფანერის სახარშავ ღუმელში ცეცხლი არ ყოფილა საბოლოოდ ჩაქრობილი; ცეცხლი რატომღაც გადავიდა და მოედო იქვე ახლო დადგმულ მაზუთიან ბიდონს.

ერთმა მუშამ, რომელიც შემთხვევით დარჩა ქარხანაში, შენიშნა ცეცხლი და გაიქცა მის ჩასაქრობად, მაგრამ ღუმელთან მისვლამდე მაზუთიანი ბიდონი აფეთქდა.

შეშინებული მუშა გაიქცა ცეცხლის მქრობელ რაზმის მეორე ნაწილში, და სანამ ცეცხლის მქრობელები მოვიდოდნენ აფეთქდა კიდევ ორი ზეთიანი კასრა და ფაბრიკის მთელი შენობა ცეცხლში გაეხვია.

დასახმარებლად გამოწვეული იქნა კიდევ ცეცხლის მქრობელი რაზმის ორი ნაწილი.

ცეცხლის ჩაქრობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საღამოს 9 საათზე.

ცეცხლისმქრობელი რაზმის ახალი მანქანები ვერ იქნა გამოყენებული წყალის ნაკლებობის გამო; რაზმელები იძულებული იყვნენ წყალი წამოეღოთ სადგურის წყალსადენიდან.

ხანძარით მიყენებული ზარალი უდრის 40.000 მანეთს.

1—I ნ. 1309 | გამგეობის წევრი ი. | დილის და სხვა დღეებში. | ნ. 1318 | გართულებ. ამის 7—6. | 25—11 | ხელშე. ნ. გ. | 2503

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

კოოპერატივის გაძარცვა

ქუთაისი, 18 მაისი. 11 მაისს ღამით ლანირ-ჭაგანის თემში გაძარცვეს კოოპერატივი. გატაცებულია 450 მანეთის საქონელი. ქურდი შეიპყრეს.

ფართალი გლეხობას

ქუთაისი, 18 მაისი. ცეკავშირის ქუთაისის განყოფილებამ **მიიღო 2 რონოდა ფართალი გლეხობისათვის.** ფართალი განაწილებული იქნება დასავლეთ საქართველოს კოოპერატივებს შორის.

სასოფლო კოოპერაცია

ქუთაისი, 18 მაისი. ნიგოითის ერთიან სამომხმარებლო საზოგადოებაში პირველ ოქტომბერს ითვლებოდა 459 წევრი; 1 მაისისათვის წევრთა რიცხვი 523-მდე გაიზარდა. საპაიო კაპიტალი 258 მანეთიდან 1,556 მანეთამდე გაიზარდა. სამომხმარებლო საზოგადოებას აქვს 6 სავაჭრო და 3 საწარმოო პუნქტი.

ლანჩხუთის ერთიან სამომხმარებლო საზოგადოებაში გასული წლის 1 ოქტომბერს 995 წევრი ითვლებოდა, ამ ჟამად წევრთა რიცხვი 1,117-დე გაიზარდა. საპაიო კაპიტალი 1,215 მანეთიდან 2,277 მანეთამდე გადიდდა.

წერაკუმსი

ქუთაისი, 18 მაისი. სუფსის რაიონში წერა-კითხვის უცოდინარობა 80 პროცენტით არის ალმოფხვრილი. ოზურგეთის მაზრაში წერა-კითხვის უცოდინარობა მთელი 100 პროცენტით არის ალმოფხვრილი.

კოოპერატივის გაქურდვა

ოზურგეთი, 18 მაისი. 15 მაისს ღამით გაქურდეს ოზურგეთის სამომხმარებლო საზოგადოების საფართლო განყოფილება.

დაახლოებით გატაცებულია 800 მანეთის საქონელი.

ტყის კვირეული

ოზურგეთი, 18 მაისი. მაზრაში ტარდება ტყის კვირეული. კამპანიის დროს ხდება ტყის მეურნეობის რაციონალური წესების განმარტება გლეხობისათვის.

ცემენტი ზაჰესისათვის

ფოთი, 18 მაისი. მოვიდა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემი „ფომინი“, რომელმაც ზაჰესისათვის მოიტანა 868 ტონა ცემენტი.

მეზღვაურთა კლუბში

ფოთი, 18 მაისი. მეზღვაურთა ინტერნაციონალურ კლუბში გაიხსნა ახალი კინო.

ძირტკბილას ექსპორტი

ფოთი, 18 მაისი. მოელიან უცხოთის გემს, რომელიც წაიღებს ძირტკბილას ამერიკაში. დამზადებულია 2.500 ტონა ძირტკბილა.

ნათესების მდგომარეობა

ახალსენაკი, 18 მაისი. სიმინდის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ხანგრძლივი წვიმის გამო, მინდვრების მეტი ნაწილი დაუთესავია. ვენახების მდგომარეობა საშუალოა. თხილის მოსავალი კარგი უნდა იქნეს.

მდინარე ცხენის-წყალის ადიდების გამო დაზარალდა ნათესები 60 დესეტინის სივრცეზე.

სვანეთის გზები

მესტია, 18 მაისი. სვანეთის მოსახლეობა ენერგიულად შეუდგა გზების გაყვანას. გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს მესტია-ლენტეხის რაიონში.

ამ დღეებში მუშაობა დაიწყება სხვა თემებშიაც.

მოსავალი სვანეთში

მესტია, 18 მაისი. უკანასკნელ დღეებში ამინდი ხელს უწყობს ნათესებს. მოსავალს კარგი პირი უჩანს.

რაიონში აგრონომიული დახმარება არ არის.

ძლიერი სეტყვა

თელავი, 18 მაისი. 14 მაისს, დღის 4 საათზე თელავში მოვიდა სეტყვა, რომელმაც დაახლოებით 10 წუთს გასტანა. სეტყვამ დააზარალა თელავი და სოფლები შალაური, კურდღელაური, ნასომხაური და ზეგანაფშა.

სეტყვამ დიდი ზარალი გამოიწვია.

წერილები

დაპირებათა განაღდების მოლოდინში

(წერილი გურიიდან)

ბახმაროს 40 წლის არსებობის ისტორია აქვს. დღემდე ეს კურორტი მოუწყობელია.

ჯერ კიდევ 1920 წელს ბახმაროზე ამოვიდა საკურორტო კომისია, რომელმაც შეისწავლა აგარაკი და გადასწყვიტა ბახმაროს კურორტად გამოცხადება, მაგრამ ყველამ იცის რა მოვლა-პატრონობას უწევდენ მენშევიკები კურორტებს.

უპატრონობის გამო ასწლოვანი უზარმაზარი ნაძვის ხეები იღუპებიან; ხეების ახალი აღმოცენება არ ხდება, რადგან ტყეებში ჯოგს აძოებენ. თუ ესე გაგრძელდა, ბახმაროს ნაძვებიანი კალთებში ტიტველ ხრიოკებათ გადაიქცევიან.

ბახმაროს სანიტარული მდგომარეობა ყოველწლიურათ სამწუხარო იყო და ამჟამადაც უცვლელად რჩება, რადგან მის მიდამოებში დიდი ჯოგი იყრის თავს. პირუტყვები მოაგარაკეების ბინების ქვეშ ითევენ ღამეს.

ასეთი მდგომარეობა გაგრძელდება მანამ, სანამ კურორტი არ შეიღობება.

ბახმაროზე მგზავრობა წამება იყო და არის, რადგან აგარაკს არა აქვს ისეთი გზა, რომლითაც მშვიდობიანი მგზავრობა შეიძლებოდეს. თემების ინიციატივით დაწყებულია ოთხი სხვადასხვა გზა. 1) ვაკიჯვარის, 2) ასკანის, 3) ხიდისთავის და 4) ხევ-ერკეთის). მაგრამ არც ერთ თემს არ ძალუძს გააკეთოს შესაფერი გზა. თითეული მათგანი სცდილობს გზის გაკეთება სახელმწიფოს მოახვიოს თავზე. მიზანშეწონილობა მოითხოვს უგეგმოთ არც ერთი კაპიკი არ იქნეს გაღებული.

სახელმწიფო გზა გამოკვლეულია ინჟენერ კენეცკის, ამაშუკელის და სხვების მიერ. გზა მიდის ოზურგეთიდან ბახვის წყლის მიმართულებით. აქ მთავრობის მიერ ეს გზა შეტანილია 5 წლიან სამუშაო გეგმაში იხილეთ ჯანმრ. კომ-ტის „მოამბე“ № 1—3—1925 წ. რომელშიაც მოთავსებულია შემდეგი ცნობა: „აგ. ბახმაროს აქვს ერთად-ერთი გზა, ოზურგეთიდგან ბახვის წყლის მიმართულებით, რომლის სიგრძე ოზურგეთიდგან უდრის 42 ვერსს, გზის გრუნტი მაგარია—და გამოსადეგი, ყოველგვარი საჭირო მასალა გზისათვის იქვე არის, გზის განაპირა უბნები მდიდარია ხე-ტყით და ხვადასხვა ძვირფასი მადნეულობით, გზა ჯდება—191.000 მანეთი, აქედგან 80.000 მანეთის შავ სამუშაოს ასრულებს თითონ გლეხობა“.

1922 წელს ბახმაროზე ამოვიდა სამეცნიერო ექსპედიცია პროფესორ ღლადაშვილის და გოგიტიძის მეთაურობით, რომელმაც სამი თვის განმავლობაში აწარმოეს დაკვირვებანი ბახმაროს შესასწავლათ და მიიღეს უამრავი საბუთები იმისა, რომ აგარაკი ბახმარო არის საუცხოვო კურორტი მთელ საქართველოში.

ამ გამოკვლევის შემდეგ, აგარაკი ბახმარო აღიარებული იქნა სახელმწიფო კურორტათ. მაგრამ სამწუხაროთ საქმეს ამანაც ვერ უშველა და აგარაკი დარჩა ისევ უნუგეშო მდგომარეობაში.

გაზ. „კომუნისტი“-ს წარსული წლის № 289-ში მოთავსებული ცნობა შემდ. სათაურით: „ღონისძიებანი აგარაკების მოსაწყობათ“, რომელშიაც სწერია: „საქართველოს კურორტების მოსაწყობათ გადადებულია 1. 200.000 მანეთი და პირველ რიგში გაუმჯობესებული იქნება აბასთუმანი და ბახმარო“. ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმაც მიიღო ცნობა, საქ. მთავრობის მიერ ბახმაროს გზისათვის გადადებული ფულების რაოდენობის შესახებ. სამწუხაროთ ყველა ეს დადგენილებანი, დაპირებანი, ცნობები—დავიწყებას მიეცა; ბახმაროს მდგომარეობა ისეთივე რჩება, როგორიც იყო. აგარაკ ბახმაროს დღემდის ვერ გაუჩნდა ისეთი პატრონი, რომ ის აგარაკისათვის დაემგზავსებია, მის კეთილმოწყობაზე, მოვლა-პატრონობაზე ეზრუნა.

კ. უჯმაჯურიძე.

„ლოთი-შფოთი“ კაჭარავა

(ს. ჯგალი, ზუგდიდის მაზრა).

კაჭარავა მორიგე მასწავლებელი იყო. ამიტომ დილა ადრიანათ მოვიდა სკოლაში. მიიხედ-მოიხედა და, რაკი არავინ მოსულიყო, იფიქრა: „მეზობლისას შევივლი, ცოტა კუჭს მოვიმაგრებ, იქნებ ყელის გასასველებელი რაიმე ვიშოვნო და წამსვე მოვბრუნდები სკოლაში“-ო.

სთქვა და, რომ გადაწყვეტილება არ დაერღვია, ქუდი იქვე ჩამოკიდა და ისე, შინაურულად, მამა-შვილურად ეწვია მეზობელს უქუდოთ და უყაბალახოთ. მაგრამ ქუდი რას უშველის კაცს, თუ თავი არ უვარგა.

სტუმარ-მასპინძელი ლაპარაკს შეჰყვენ. სკოლაში ყველამ თავი მოიყარა. არა სჩანს მხოლოდ კაჭარავა. მისი ქუდი ობლად ეკიდა კედელზე და მნახველზე გულშემზარავ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

ბევრი ეძებეს დაკარგული პედაგოგი, მაგრამ ვერსად ნახეს. დღის ორი საათი იქნებოდა, როცა გაისმა საუცხოვო „ოუჩილა“. კაჭარავას მოძახილი იქაურობას იკლებდა. მიხვდენ მოწაფეებიც, სადაც „მორიგეობდა“ კაჭარავა. უეცრათ, საიდანღაც მოქეიფე პედაგოგის დედაც გაჩნდა.

გაცეცხლებული დედა წკეპლით მივარდა შვილთან და ქვეყნის დასანახავათ ცემა-ტყეპით ჩაატარა სახლისაკენ ღვინით გალეშილი კაჭარავა. მეორე დღეს, თითქოს, აქ არაფერიაო, არხეინად გამობრძანდა სამსახურში კაჭარავა.

ამ შემთხვევამ მას ჭკუა ვერ ასწავლა. კაჭარავას მთელ ჯგალში გაუვარდა მოქეიფე, დარდიმანდი ყმაწვილის სახელი. მასაც ხომ ეს უნდოდა.

ამიტომ ნუნუას მოყვარულ პედაგოგმა განიზრახა ერთხელ კიდევ გაენავარდებინა თავისებურათ. ასეთაც მოხდა. ბედზე ვიღაც შორეული ნაცნობი გარდაიცვალა. კაჭარავაც გამოთვრა, გამოილეშა და გადავიდა მუშტ-კრივზე. მივარდა გლეხ იაკო კვარაცხელიას და ის იყო უნდა შემოეკრა, რომ საქმეში სხვები ჩაერივნენ და ხელები გაუკავეს გამხეცებულ კაჭარავას.

„გამიშვით, მე ვუჩვენებ მაგ მათხოვრის შვილს, მაგას, ვინცა ვარ მე,—ყვიროდა სიბრაზისაგან ხმაჩახლეჩილი კაჭარავა,—მე ვასწავლი მაგ „მუჟიკს“, როგორ უნდა მეპყრობოდეს თავად კოსტა ჩიქოვანის შვილისშვილს“-ო.

ასეთია კაჭარავას პედაგოგიური მოღვაწეობა სოფელ ჯგალში. გასაკვირი ისაა, რატომ აქამდე ყურადღებას არ აქცევს ამ გარემოებას ზუგდიდის განათლების განყოფილება. ამ „გმირს“ ხომ იქაც საკმაოდ კარგად იცნობენ?

ვავა.

გამოგზავნეთ მოძრავი საექიმო რაზმები

(წერილი ლეჩხუმიდან).

ზოგჯერ, როცა ვინმე თავის ტკივილს სჩივა, ოხუნჯობით ეტყვიან ხოლმე: „თავს რას სჩივი, კაცო, შენ იყავი კარგათ“-ო. მაგრამ, როცა კბილის ტკივილს შესჩივლებ კაცს, თუ კი მას ერთხელ მაინც გამოუცდია ეს „სიამოვნება“, მაშინვე თანაგრძნობის ნიშნათ ათასგვარ საშუალებებს გასწავლის.

ეს პირში არაყი დაიგუბე, ეს ძლიერ წურბელი მოიჯინე, ეს ყბა აიხვიე და, რა ვიცი, კიდევ რამდენი სხვა საშუალება არსებობს კბილის ტკივილის შინაურ მკურნალობისათვის. მაგრამ სოფელში ხშირად კბილს დიდხან არც კი იტკივებენ. ერთ-ორ დღეს ალლის ავადმყოფი ტკივილს და, თუ არავითარ შინაურ წამალმა არ უშველა, მარწუხი და მისი ჯანი.

ყველა სოფელშია ერთი ან ორი ექიმბაში მეკბილეები, რომლებიც, გარდა გაზმარწუხისა, არავითარ საშუალებას არ სცნობენ კბილის ტკივილის წინააღმდეგ. სასყიდელსაც სამაგიეროთ ცოტას იღებენ. ჯერ ერთი ექიმბაშს კბილის ამოღება სამადლო საქმეთ მიაჩნია და ასე ფიქრობს, რომ ყოველივე ეს ღვთის დავთარში იწერება, მეორეც ამოძრობილ კბილს ის ავადმყოფს არ უბრუნებს, თავისთვის აგროვებს ცალკე პარკუსაში, რომ სათვალავი არ შეეშალოს, რაც უფრო დიდი პარკუსა უკიდია ექიმბაშს კბილებით, მით უფრო თავი მოაქვს მას სხვების წინაშე.

ასეთია სოფლად კბილის „მკურნალობის“ საქმე, მაგრამ არც დაბა-ქალაქებშია ხშირათ უკეთესი მდგომარეობა. აქაც თავისებური ექიმბაშები არსებობენ. ესენი გახლავთ დალაქები, რომლებიც ზოგჯერ მარტო კბილის ექიმობით როდი კმაყოფილდებიან? ისინი ქირურგიულ ოპერაციებსაც ახდენენ, შინაგან სნეულებასაც მკურნალობენ და წვერებსაც პარსავენ, რასაკვირველია.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, რამდენათაც ვიცით, ჰყავს მოძრავი თვალის და კბილის სამკურნალო პუნქტები. საჭიროა ამ პუნქტების განსაკუთრებით ისეთ რაიონებში გამოგზავნა, სადაც ექიმები და ფერშლები ნაკლებათ მოიპოვება და სადაც ზამთრობით შეფერხებულია მიმოსვლა.

ასეთი მაზრებია რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი. არ ვიცი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ადგილებში რა მდგომარეობაა. ამ მხრივ, ხოლო ამ სამ მაზრაში გლეხკაცობა კბილისა და თვალის ტკივილის მხრივ მეტად შეუწუხებულია. არის თემები, სადაც წარმოდგენაც კი არა აქვთ კბილის მკურნალობაზე.

ზაფხული მოახლოვებულია. ვნახოთ, რამდენ მტკივან კბილს და თვალს გადაარჩენენ ჯანსახკომის მოძრავი რაზმები.

კოპიტი.

მუშაობა გაჩაღდა.

(გორის მაზრა).

წაღვერის აღმასკომი გაზაფხულიდანვე შეუდგა 1½ ვერსის მანძილიდან წყაროს გამოყვანას. გაჭრილია თხრილი და ჩაწყობილია მილები. მუშაობა უნდა დამთავრდეს მაისის დამლევს. ამრიგათ, იქვე ადგილას ამოჩუხჩუხდება წყალი. აგრეთვე მუშაობა სწარმოებს გზებისა და ქუჩების გამშვენიერება-გასაფართოვებლად.

აღმასკომმა გააკეთა ბაზრის ახალი ხიდი და აგო 6 ახალი სავაჭრო შენობა. სწარმოებს კიდევ მუშაობა სავაჭროების ასაგებად, რომლების რიცხვიც აყვანილ უნდა იქნეს 30-მდე.

სოფ. ცემში გაჭრილია წყაროსათვის თხრილი. კეთდება ცემენტის მილები, და სულ რამოდენიმე კვირაში მუშაობა დამთავრებული იქნება. ამავე სოფელში სწარმოებს გზებისა და ქუჩების შეკეთება. არც დანარჩენი სოფლებია უყურადღებოდ მიტოვებული. სოფ. ტიმოთეს-უბანში და სხვა სოფლებშიაც სწარმოებს გზების შეკეთება.

სოფ. წაღვერში აღმასკომმა დაიწყო კოოპერატივის და აღმასკომის შენობების აგება; ფურნე, რომელიც მდებარეობს კოოპერატივის ადგილზე, ამ დღეებში გადატანილ იქნება ბაზრის მოედანზე.

სოფ. სადგერში კეთდება გზა ერთი ვერსის მანძილზე, რომელსაც უნდა დაეყაროს დამტვრეული ქვა.

აღმშენებლობაში ჩაბმული არიან ყველა გლეხები, რომლებიც ამ მუშაობაში ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას.

გორელი.

სას.-სამ. გამოფენისათვის

გამოფენის გახსნა გადაიდო

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გახსნა, რომელიც უნდა მომხდარიყო 23 მაისისათვის, მომწყობ კომიტეტის ცნობით, რამოდენიმე დღით გადაიდო. გამოფენის მომწყობ კომიტეტმა საბოლოოდ გამოარკვია იმ ფირმების რიცხვი და ვინაობა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ გამოფენაში.

გამოფენაზე ცალკე სახელმწიფოების მიხედვით მონაწილეობას მიიღებენ:

გერმანიიდან	55 ფირმა
ამერიკიდან	24 „
იტალიიდან	10 „
ჩეხო-სლოვაკიიდან . .	10 „
შვეციიდან	8 „
ფინეთიდან	2 „
ინგლისიდან	2 „

ამ ფირმებს გარდა, გერმანული და ავსტრიული ფირმები გამოფენაში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის ფირმებთან ერთად. ასეთი შერეული ფირმებია: „რუსავსტორგი“, „რუსგერტორგი“ და სხ.

გამოფენის ადგილას დათესილია ქერი და შვრია, რომელზედაც ფირმები აწარმოებენ საცდელ-საჩვენებელ მუშაობას.

ფირმების უმრავლესობამ უკვე გამოგზავნა ექსპონატები.

გართობები

სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე თბილისში მოწყობილი იქნება გასართობების მთელი რიგი. ყოველდღე დაუკრავს სიმფონიური და სამხედრო ორკესტრი. მოწყობილი იქნება აგრეთვე კინოც. გამოფენის კომიტეტის მიერ მიღებულია ზომები გამოფენის დათვალიერების გასაადვილებლად. გამოფენის გახსნასთან ერთად თავისუფლების მოედნიდან ივლიან ტრამვაის სპეციალური რონოდები მთელი დღის განმავლობაში.

მეტრიული სისტემა

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოსთან არსებულმა ზომა-წონის პალატის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა და დაამტკიცა ამიერ-კავკასიაში მეტრიული სისტემის გატარების გეგმა, რომელიც შემუშავებულია საუწყებათაშორისო კომისიის მიერ. ამის გამო ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

— მეტრიული სისტემის გატარებას ამიერ-კავკასიაში ხელს უშლის მრავალი დაბრკოლებები; მათ შორის უმთავრესია შემოკლებული ვადა. საბჭოთა კავშირში მეტრიული სისტემის გატარება დაიწყო 1923 წელში, ამიერ-კავკასიაში კი—მხოლოდ მიმდინარე წელში.

მეტრიული სისტემის გატარების დაწყებამდე სათანადო ორგანო აწარმოებდა ზომა-წონის საზოგადოების იძულებით გაყიდვას, რომელმაც მოსახლეობას უფრო პირი აბრუნებია ახალ ღონისძიებისაგან. მეტრიული სისტემის გატარებას ზოგიერთ ოპერაცი ელებული იქნება ოთხი წლის განმავლობაში.

შესაძლებელია, რომ გეგმის მთლიანად შესრულების ვადა რამოდენიმედ გაგრძელდეს, რადგან მეტრიული სისტემის გატარეას ზოგიერთ ოპერაციებში ართულებს მთელი რიგი გარეშე გარემოებები. ასე, მაგალითად, აუცილებელია დაბრკოლებები მეღვინეობაში მეტრიული სისტემის შემოღების დროს, რადგან ამისათვის საჭიროა ახალი ჭურჭლეულობა, რომლის დამზადება დიდ თანხებსა და დროს მოითხოვს.

მიუხედავათ ამისა საუწყებათაშორისო კომისია მტკიცედ გაატარებს შემუშავებულ გეგმას; პირველ რიგში მეტრიული სისტემა შემოღებული იქნება იმ წარმოება-დაწესებულებებში, სადაც მუშაობის პირობების მიხედვით ეს ყველაზე უფრო ადვილია.

შრომის მოწესრიგება

დასაზღვევი ანაბარების გამოანგარიშებისათვის

სოციალური დაზღვევისათვის ანარიცხების რაოდენობის გამოანგარიშების დროს ხშირად იღებდენ ანგარიშში დამატებებს, რომელიც ეძლეოდათ მივლინებაში გაგზავნილ მუშა-მოსამსახურეებს. ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატმა გამოუშვა განმარტება, რომელიც „სუტოჩნის“ ნაცვლად ეძლევათ სისტემატიური მგზავრობისათვის (სამსახურის საქმეების გამო) მუშა-მოსამსახურეებს, ითვლება არა შრომის ხელფასათ, არამედ გაწეული ხარჯების ანაზღაურებად. ამიტომ საშუალო ხელფასის გამოანგარიშების დროს დამატება ანგარიშში არ უნდა იქნეს მიღებული და გამოყოფილ უნდა იქნეს ძირითადი ხელფასიდგან. დასაზღვევი ანაბარების შეკრეფის დროს დაწესებულებანი არ არიან ვალდებულნი იხადონ ანარიცხები დამატებიდან და დამზღვევმა ორგანოებმა დახმარების რაოდენობის გამოანგარიშების დროს ანგარიშში უნდა მიიღონ მხოლოდ ძირითადი შრომის ხელფასი ყოველგვარ დამატების გარეშე.

შეღავათები უმუშევართა კოლექტივებისათვის

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის განკარგულებით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიაზე ვრცელდება დადგენილება, რომლის ძალით უმუშევრებისათვის სოციალური დაზღვევის ანაბარების შეტანისაგან განთავისუფლებული არიან ყველა ის წარმოებანი და დაწესებულებები, რომელნიც ეწევიან საზოგადოებრივ სამუშაოებს შრომის ბირჟის კომიტეტების ძალებით, ამგვარათვე ანაბარების შეტანისაგან თავისუფალი არიან შრომის ბირჟის კომიტეტების მიერ უმუშევრებთაგან მოწყობილი წარმოებანი და უმუშევართა კოლექტივები.

შრომის ინსტიტუტი

შრომის ცენტრალურმა ინსტიტუტმა დაადგინა უახლოეს თვეებში გახსნას ა.-კ. რესპუბლიკების მთავარ ცენტრებში შრომის ინსტიტუტის ფილიალები.

ამ დადგენილების გამო ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა სამეურნეო ორგანოებს და საგეგმო კომისიებს, გამოარკვიონ სისწორით, რა კვალიფიკაციის და რამდენ მუშა ხელს საჭიროებენ. ამგვარად შრომის ინსტიტუტის ფილიალების გახსნა ჩვენში სწყვეტს საკითხს ერთი მხრივ შრომის ნაყოფიერების შემდეგი გადიდების და მეორე მხრივ კვალიფიციური მუშა ხელის მომზადების შესახებ. ამასთანავე სადღეისო „ლოზუნგი“ მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ მჭიდროდ არის დაკავშირებული შრომის ინსტიტუტის მოწყობასთან.

მაგ. მე-6 რიგი მუშის მომზადებას ჩვენს საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებში სჭირია—3-4 წელიწადი, ე. ი. თვითეულ შეგირდზე ამ ხნის განმავლობაში იხარჯება —1,5—2 ათასი მანეთი. შრომის ინსტიტუტი კი ამავე კვალიფიკაციის მუშას ამზადებს 3-4 თვის განმავლობაში, ე. ი. თვითეულ შეგირდზე იხარჯება 200-300 მან.

როგორც მოსკოვის პრესაში იყო აღნიშნული ინსტიტუტ დასრულებული მუშები უფრო ნაყოფიერებას იჩენენ წარმოებაში, ვიდრე საქარხნო-საფაბრიკო სკოლებიდან გამოსული ახალგაზრდები.

შრომის ინსტიტუტის განყოფილების გახსნა სწყვეტს აგრეთვე უმუშევრობის საკითხსაც, რადგან შრომის ინსტიტუტში გასაწრთვნელ კანდიდატები პირველ რიგში აყვანილი იქნებიან უმუშევართა წრიდან. კვალიფიკაციის მიღების შემდეგ, რასაკვირველია, ადვილი იქნება მათთვის სამუშაოს გამონახვა.

ამიერ-კავკასიის გარდა, შრომის ინსტიტუტის განყოფილებები იხსნება ყველა დიდ სამრეწველო ცენტრებში—დონის როსტოვში, ეკატერინოსლავში, ბრიანსკში და სხვაგან.

სვანეთის გზები

კვირას, 16 მაისს, სვანეთში გაემგზავრა N მესანგრე ათასეული.

ათასეული შეუდგება სვანეთის სოფლებს შორის გზების გაყვანას, ძველი გზების შეკეთებას და სხვა.

გარდა ასეთი ხასიათის სააღმშენებლო საქმიანობისა, წითელ-არმიელები აწარმოებენ აგრეთვე კულტურულ მუშაობასაც.

მაძიებელი აპარატი

სისხლის სამართლის ცენტრალურმა მაძიებელმა მილიციამ გამოიმუშავა მთელი რიგი ზომებისა საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ხასიათის დანაშაულობებთან ბრძოლის შესახებ.

ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული რესპუბლიკის ფარგლებში მომხდარ ბოროტმოქმედებების და დანაშაულობების აღრიცხვას. ამისათვის მაზრებში მილიციის სამმართველოებთან მოწყობილია სისხლის - სამართლის მილიციის ნაწილები. დაარსებულია, ადგილებზე დანაშაულობების სარეგისტრაციო ბიუროები, აქტიური მუშაობის ნაწილები, საიდუმლო ნაწილი და სხ.

ამ ნაწილებს გაეგზავნათ დაწვრილებითი ინსტრუქციები და მოეთხოვათ დაწვრილებით მიაწოდონ ცენტრს ცნობები რესპუბლიკაში მომხდარი სისხლის - დანაშაულობების შესახებ.

საგარაკო სეზონისათვის

ზღვის პირის აგარაკები

აჭარისტანის ზღვის პირად მდებარე აგარაკებზე საზაფხულო საგარაკო სეზონი უკვე დაიწყო. მთავარმა საკურორტო სამმართველომ ქობულეთის სანატორიუმს მისცა საიჯარო სარგებლობის უფლებით. ავადმყოფები სანატორიუმში მიღებულ იქნებიან სრულ კმაყოფაზე. ეს უკანასკნელი გულისხმობს კვებას, მოვლას, სანატორიულ და საექიმო დახმარებას, თეთრეულის მიწოდებას, გამზადებულ ლოგინს და სხ.

სანატორიუმში ავადმყოფების კვების საქმე სათანადო სიმაღლეზე არის დაყენებული. საექიმო-მედიკური დახმარება ავადმყოფებს სანატორიუმში ეძლევათ მკურნალობის ყველა ახალი მეთოდებით. სანატორიუმში სამუშაოდ მოწვეულნი არიან კონსულტანტი-სპეციალისტები. სანატორიუმში ყოფნისათვის პროფკავშირის წევრებისათვის მთელ სეზონის განმავლობაში ხდებათ 140 მანეთი. ზღვისპირად გაშვებულ ბულვარში მოწყობილია ზღვის თბილი წყლის ვანები; აქვე მოწყობილია ტალახით სამკურნალო, სადაც იხმარება ახტალის სამკურნალო ტალახი.

15 მაისს ამავე ბულვარში გაიხსნა ზღვის საზაფხულო საბანაო პატარა კაბინეტებით მზის ვანების მისაღებად.

საზაფხულო-საგარაკო სეზონი იწყება აგრეთვე აფხაზეთის ზღვისპირად მდებარე აგარაკებზე. ახალ ათონის საბჭოთა მეურნეობამ „ფსირცხამ“ დაასრულა ყოფილი სამონასტრო შენობის გადაკეთება. ყოფილი მონასტერი გადაკეთებულ იქნა 250 ოთახად; ამჟამად სწარმოებს ოთახების მოწყობა. კურორტზე მოაგარაკეთა ჩასვლა უკვე დაიწყო.

მოსახლეობა თბილისში

ამჟამად თბილისში ითვლება 280.000 მცხოვრები. აქედან ქართველები შეადგენენ 37 პროცენტს, სომხები—35,7%, რუსები—15,4%, თურქები—1% და სხვა ეროვნებები—10,9 პროცენტს.

ოცდაათი წლის წინათ კი თბილისში მოსახლეობის შემდეგი სურათი იყო: სულ მოსახლეობის რიცხვი უდრიდა—146.164 მცხოვრებს. აქედან ქართველები იყვნენ 27,7%, სომხები—32%, რუსები—26,3% და სხვა ეროვნებანი—13,5 პროცენტი.

ამნაირათ, თბილისის მოსახლეობა 30 წლის განმავლობაში გაზრდილა თითქმის ორჯერ.

ქრონიკა

ოსმალეთის მცურავი გამოფენა

20 მაისს ბათომში სტამბოლიდან გემ „კარადენისით“, ოსმალეთის მცურავ გამოფენას მოელიან.

გამოფენა დარჩება ბათომში ორი დღე და შემდეგ გაემართება ოდესისაკენ. გზაში შეჩერდება მსხვილ ქალაქებში.

საჰაერო მიმოსვლა

უკრაინის სამოქალაქო ფრენოსნობის ჰაეროპლანი „დორნიე-კომეტა“ გუშინწინ საღამოს ბაქოდან თბილისში ჩამოფრინდა, გუშინ დილით ჰაეროპლანი კვლავ გაფრინდა უკან მგზავრებით და ფოსტით.

მტკვრის დონე

გუშინ მტკვრის დონე კვლავ დავარდა 2 მეტრ და 40 სანტიმეტრამდე, რაც აიხსნება წვიმების შეწყვეტით.

ტყის დღე

ტყის დღე, რომელიც თბილისში უნდა გამართულიყო 16 მაისს, უამინდობის გამო გადაიდო 23 მაისისათვის.

საქონლის ჭირის გამო

თბილისის აღმასკომის თაოსნობით შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა გამოიძიოს და პასუხისგებაში მისცეს ის პირები, რომელთა მეოხებით დაიხოცა მცხეთაში აცრილი საქონელი.

კომისიაში შედიან: მუშათა და გლეხთა ინსპექციის, თბილისის აღმასკომის და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები.

კომისიაში თბილისის აღმასკომიდან დაინიშნა ამხ. ლადო სუხიშვილი.

წითელი ჯვრის სამდღეული.

4, 5 და 6 ივნისს წითელი ჯვარი საქ. ცაკის ნებართვის თანახმად, თავის საშუალებათა გასაძლიერებლად მთელ საქართველოში გამართავს სამდღეულს.

ავტომობილების ხმარება.

ამიერ-კავკ. რკ. გზათა უფროსის ამხ. ივანოვის ბრძანებით, ეკონომიის რეჟიმის მიზნით გზათა სამმართველოს სამსახურისათვის დატოვებულია მხოლოდ 2 ავტომობილი. დანარჩენთა ხმარება გაუქმებულია.

თბ. აღმასკომში

— **ქალაქის ელსადგურები**, იმუშავებენ 1927 წ. 1 იანვრამდე. იანვრის შემდეგ კი ისინი ზაჰესის ამუშავების გამო დაიხურებიან.

— **დახმარება.** თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა მაზრაში სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ გლეხებს გაუწიოს დახმარება სესხის მიცემით სასოფლო-სამეურნეო ბანკის მეშვეობით. ამ მიზნით აღმასკომმა ბანკის განკარგულებაში გადასდო საჭირო თანხა.

— **შეღავათი. თბ.** აღმასკომმა დაავალა კომუნალური და სხვა ქალაქის გადასახადებში მისცეს შეღავათი 25 პროც. რაოდენობით ქალთა დამხმარე კომისიას, უმუშევართა კოლექტივებს და ბავშვთა დამხმარე საზოგადოებებს.

— **ტრამვაის** სამმართველო ამ დღეებში მოსკოვიდან მიიღებს ტრამვაის 20 ახალ რონოდას.

სოციალური უზრუნველყოფა

ინვალიდების ნადები. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით 1926 წლის 1 იანვრისთვის საქართველოში არსებობდა ინვალიდების 71 ნადი (არტელი). გაწმენდის შემდეგ ნადების რიცხვი განახევრდა. ამ ჟამად მთელ რესპუბლიკაში არსებობს და მოქმედებს მარტო 38 ნადი, უმთავრესათ საწარმოო ხასიათის.

— **ერთდროული დახმარება.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით, საქართველოს ღარიბებს და გაჭირვებულებს იანვარში, თებერვალში და მარტში მიეცა ერთდროული დახმარების სახით 8.359 მანეთი.

სოციალური დაზღვევა

— **დახმარება.** სალარომ ავლაბრის, ორთაჭალის და სადგურის რაიონულ პუნქტებიდან გასცა 92.578 მანეთი.

— **სამარხი ფული.** სალარომ აპრილში გასცა 7.702 მან. სამარხი დახმარების სახით.

მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატში

საქ. მიწათ-მოქმედების კომისარიატი შეუდგა მთელი თავის ქონების ღირებულების გამოკვლევას, მათ შორის მამულების, საცდელი მინდვრების, სასოფლო-სამეურნეო სადგურების და სხ. ამ მიზნით დაარსა კომისიები. ამ კომისიების მუშაობა მალე დამთავრდება.

— **მიწათ-მოწყობა.** მთელ საქართველოში მიწათმოწყობაზე ამჟამად მუშაობს 82 მიწის მზომელი.

— **დაჯილდოება.** მიწათ-მოქმედ. სახ. კომისარიატმა სამხრეთ - ოსეთში საუკეთესო მოვლილ საქონლის მეპატრონე გლეხებზე ჯილდოების გაცემით გადასდო 485 მან.

კოოპერაცია

— **პარკი.** ა.-კ. კოოპერატიული კავშირი წელს უცხოეთში გასასაღებლათ დაამზადებს 10 ათას ფუთ ხმელ პარკს.

— **აფხაზეთში** კოოპერატიული კავშირი ამზადებს 25 ათას ფუთ თამბაქოს.

სხვადასხვა

— **თბ.** არსებულ თამბაქოს ქარხნებმა აპრილში გამოიმუშავეს 132 ნახ. მილიონი ცალი პაპიროსი და 6.916 კილო თამბაქო.

კრებები და მოხსენებები

— **დამცველთა კოლეგიაში** 23 მაისს, დღის 10 საათ. შესდგება კოლეგიის წევრთა წლიური კრება, რომელზედაც მოხდება კოლეგიის ახალი პრეზიდიუმის არჩევა.

— **ყრილობა.** ჯანმრთელობის კომისარიატმა უკვე გაგზავნა თავისი წარმომადგენლები მოსკოვში თერაპევტების საკავშირო ყრილობაზე, რომელიც გაიხსნება 23 მაისს.

შემთხვევები

დაჭრა. 17 მაისს, დღის 8 საათზე, ებრაელების სასაფლაოზე ასან ალი-ოღლიმ დანით დასჭრა მოქ. გასან ალი-ოღლი. ბოროტმოქმედი მიმალულია.

— ამავე დღეს ბოტანიკური ქ. № 17 პაულია ასკაროვამ წვეტიან ქვით რამდენიმე ადგილას დასჭრა კული მამედ-ზადე. დამნაშავე შეიპყრეს.

— **სიმთვრალის** დროს რიყის ქუჩაზე 17 მაისს საღამოს მიხეილ სოსიანმა დანით თავში დასჭრა სარქის ფურსიანცი. სოსიანი შეიპყრეს.

— **შეპყრობა.** აღბულაღის თემში შეიპყრეს მძარცველები არტემ არუშანოვი, სამსონ შატვაროვი და არუთინ დავიდოვი.

— **ქურდობისათვის** შეიპყრეს დიმიტრი ჯაგაევი.

— **მკვლელების შეპყრობა.** შეიპყრეს ვინმე ნასიმოვი და ვართანოვი 11 მაისს ვერის ხიდან გალია მასკალიდის მოკვლისათვის.

— **ქურდობა.** 17 მაისს რკინის რიგი № 9 გაქურდეს ადამოვის სასადილო.

— 18 მაისს პირველ რაიკომის სალაროდან მოიპარეს 1.200 მანეთი და სხვადასხვა ფასიანი ქაღალდები.

— 17 მაისს დიდუბის ქ. № 12 გაქურდეს მოქ. თრაგოვის სავაჭრო.

ბოროტმოქმედება ა.-კ. შინა ვაჭრობის კომისარიატში

— ამ დღეებში უგზო-უკვლოდ დაიკარგა ა.-კ. შინა ვაჭრობის კომისარიატის ბუხჰალტერი ბოგაჩენკო. კომისარიატში მოხდენილმა რევიზიამ აღმოაჩინა სალაროს—13.000 მანეთი დანაკლისი. გამოძიება სწარმოებს.

ხელოვნების ქრონიკა

— **პროლეტ. მწერალთა კავშირში.** დღეს, 19 მაისს საღამოს 6 საათზე, ს. კ. პ. ც. კ. ბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება პროლეტ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. სავალდებულოა დასწრება შემდეგი ამხანაგებისთვის: ს. თოდრია, ვართანიანი, ა. მაშაშვილი, იონა ვაკელი, ს. ეული, შ. დუდუჩავა, იურინი, ნავთლუღელი, რადიანი, გ. მუშიშვილი, პაპავა, მაჭავარიანი, ნ. ზომლეთელი და ხუხუნაიშვილი.

— **„ლიტერატურული ბოჰემა“.** კვირას, 23 მაისს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში (გრიბოედოვის ქ. 8) პოეტი ი. გრიშაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“.

— **ი. ევდოშვილის საღამო** ხუთშაბათს 20 მაისს საღამოს 8 საათზე ხელოვნების სასახლეში შესდგება მწერალთა კავშირის საბჭოს საჯარო სხდომა პოეტ იროდიონ ევდოშვილის გარდაცვალებიდან ათი წლის შესრულების გამო, მოხსენებას ევდოშვილის შემოქმედებაზე წაიკითხავს ვახტანგ კოტეტიშვილი. მოგონებებს წაიკითხავენ სანდრო შანშიაშვილი, ია ეკალაძე და ნიკო ქურდღელაშვილი (ნარკანი).

— **თანამედროვე რევოლიუციონური თეატრი-სტუდია** გამართავს თავის პირველ საჩვენებელ საღამო-წარმოდგენას მაისის ბოლო რიცხვებში სახ. აკადემიურ ოპერის თეატრში.

— **საბჭოთა მუშაკების კლუბში** ჟორესის (ყოფ. კირკის) ქუჩაზე დღეს უფასო კინო. მიდის სურათი „წარსულის საშინელებანი“.

— **მოსკოვის სამხატვრო თეატრმა** დაამთავრა გასტროლები თბილისში. დასი მიამგზავრება ბაქოში.

— **„მნათობი“.** ჟურნალ „მნათობი“-ს მორიგი ნომერი (№ 4) გამოვა ამ დღეებში.

— **სიმფონიური კონცერტები.** საზაფხულო სიმფონიური კონცერტები გაიმართება მუშათა ცენტრალურ კლუბში, მუშათა ახალ კლუბში, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში. დირიჟორად მოწვეულია დამსახურებული არტისტი სტოლერმანი.

— **სატირის თეატრი.** 20 მაისიდან რუსთაველის თეატრში იწყება მოსკოვის სატირის თეატრის გასტროლები.

— **„რამ“.** ახლო ხანში გამოვა რევოლიუციონურ ახალი მწერლობის „რამ“-ის კოლექტივის ყოველთვიური ჟურნალის პირველი ნომერი.

მუშათა ცხოვრება

საკლუბო მუშაობა ჭიათურაში

საკლუბო მუშაობა ჭიათურის მუშებს შორის მეტად უნუგეშო იყო. ეს ადგილობრივ პროფესიონალურ მომუშავეებს არ შეიძლება მიეწეროს, რადგან ამ ნაკლულევანების მიზეზად მეტ ნაწილად გარეშე პირობები ითვლებოდენ. უკანასკნელ ხანებში ჭიათურის მუშათა ცენტრალურ კლუბის გახსნისთანავე საკლუბო მუშაობა გაცხოველდა, დაარსდა სხვა სხვა წრეები, მუსიკალური, მომღერალთა და სხ. გადადგმულია ნაბიჯი, რომ მაღაროებთან (ჭიათურაში) ორი კლუბი აშენდეს.

ამ კლუბების აშენებას მუშათა ფართო მასებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება. ამით საშუალება მიეცემათ მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკლუბო მუშაობაში. ვერ ვიტყვით, რომ მუშებს ახლაც არ სურდეთ საკლუბო მუშაობის აქტიური წევრად გახდომა, მართალია, მათ ეს ყველაფერი სურთ, მაგრამ გარეშე პირობები ხელს არ უწყობენ. აქ მაღაროები საგრძნობლად არიან ერთი-მეორეზე დაცილებული. დაღლილ მუშას დასვენების შემდეგ კლუბში მუშაობის დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს, იგი ამას ვერ შესძლებს, რადგან ძალაუნებურად ცენტრალური კლუბის სიშორე დააზარებს წასვლას.

ქ. ჭიათურაში საკლუბო მუშაობას, როგორც ზევით იყო აღნიშნული, სათანადო ყურადღება ექცევა. სამთა-მადნო კავშირის ცენტრალური გამგეობა თავის მხრივ კლუბის შესანახად ყოველთვიურად 1000 მანეთს იღებს.

დაარსებული არის მოძრავი სამკითხველოები, რომლებიც დროგამოშვებით დაცილებულ მაღაროებში იგზავნებიან.

ფართო მუშათა მასებში დიდ ინტერეს იწვევს კინო-სურათები.

კლუბს შეძენილი აქვს კინო-აპარატი, სურათებს აჩვენებენ აგრეთვე მაღაროებშიც.

პიონერთა კოლექტივებისათვის ყოველთვიურადაა გადადებული 300 მან.

პროფკორი.

ჩვენი შემფ.-საკონფ. კომისიის მუშაობა მოისუსტებს

ხშირია ასეთი შემთხვევა, რომ ამა თუ იმ ადგილკომთან არსებულ შ.-ს.-კაში შემავალ ადმინისტრაციის წარმომადგენლები დიდ ჯიუტობას იჩენენ—მუშათა მოთხოვნილებების ანუ განცხადების გარჩევისდროს. ამის გამო მუშათა წარმომადგენლებს დიდი ბრძოლა უხდებათ ადმინისტრაციასთან სიმართლის დასაცავად. მაგრამ ადმინისტრაცია მუშათა ფრაქციას არ უთანხმდება ამა თუ იმ საკითხში, ამით იძულებული ხდება სიმართლის დასაცავად მუშათა წარმომადგენლებმა თავისი შეხედულება გამოიტანონ ოქმებში. ეს იწვევს ორაზროობას დაუსრულებელ კონფლიქტის სახით.

საქმე უნდა განიხილოს უმაღლესმა საკონფლიქტო ორგანოებმა. ამით საქმე რთულდება.

ეს კი აგრე არ უნდა ხდებოდეს. როგორც მუშათა მხარეები, ისე ადმინისტრაცია, უნდა ჩაწვდეს მუშის მოთხოვნილებას, უნდა აწონ-დაწონოს ის, გაზომოს, სწორია თუ არა მუშის მოთხოვნა და შემდეგ შეგნებული თვალსაზრისით გადაჭრას ესა თუ ის საკითხი, რაც ძალზე შეამცირებს კონფლიქტებს და უთავბოლო ჯიუტობასაც ბოლოს მოუღებს.

ზემოხსენებულ მდგომარეობას აქვს ადგილი რკ. გზის საშემოსავლო ნაწილის და ნავთ-სადენის ადგილკომთან არსებულ „შ. ს. კ.“ მუშაობაში.

დღიდან გადარჩევისა „შ.-ს.-კ.“ ჰქონდა სულ 7-დი სხდომა. ამ სხდომებზე გაირჩა 22 საკითხი: 10 საკითხი მუშების სასარგებლოდ, 5 საკითხი ადმინისტრაციის და 7 საკითხი კონფლიქტის წესით უნდა გადაეცეს უმაღლეს ორგანოებს.

წყარო.

უგეგმო მუშაობას ბოლო უნდა მოეღოს.

(ლეჩხუმის აღმასკომის საყურადღებოდ).

გაზეთებში ხშირად ვკითხულობთ ცნობებს იმის შესახებ, რომ ესა და ეს დაწესებულება დაავადებულია ბიუროკრატიული სენით, საჭიროა ბრძოლა და სხვა.

ამ სენს ვერც ლეჩხუმის ზოგიერთი საბჭოთა დაწესებულებები ასცდა. ჩამოვთვლი სათითაოდ ყველა დაწესებულებებს, სადაც ბიუროკრატიზმს და თვითნებობას აქვს ადგილი.

ავილოთ საავადმყოფო. როგორც ვიცით, საავადმყოფო უნდა ექვემდებარებოდეს ჯანმრთელობის განყოფილების ყოველგვარ განკარგულებებს, მაგრამ სინამდვილეში საავადმყოფოს გამგე არ ემორჩილება ჯანმრთელობის გამგის კანონიერ განკარგულებას. ეს, ჩემის აზრით, მიეწერება უგეგმობას და საქმისადმი არ დაინტერესებას. ისედაც გაჭირვებულ მაზრაში უგეგმო მუშაობა კი დიდ ზიანს მოგვიტანს.

საჭიროა ყურადღება მიექცეს იმასაც, რომ საავადმყოფოს გამგე პროფკავშირთან შეუთანხმებლად ნიშნავს საავადმყოფოს ეკონომს.

შევეხოთ განათლების დარგს. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ განათლების დარგის მუშაობა მაზრაში მოიკოჭლებს. ეს, რა თქმა უნდა, მარტო ერთი კაცის ბრალი არ არის, მხოლოდ აქაც ემჩნევა განყოფილების გამგეს თვითნებობა და ბიუროკრატობა.

აი მაგალითიც: პროფესიონალური კავშირი პარტკომთან შეთანხმებით ადგენს—ესა და ეს პირი დაშვებულ იქნეს მასწავლებლადო. ამონაწერი ეგზავნება განინსპექტორს, რომელმაც ამ ორგანოების დადგენილება განზე აგდო: „ხელები რომ მომჭრათ, მე მაინც ჩემსას ვიზამ“-ო. ასეთია გაგოშიძის (ყოფილი მღვდელია) ლოზუნგი. ამაზე მეტი თავაშვებულება განა შეიძლება? განათლების კომისარიატს ნუ თუ არ შეუძლია მოგვაშოროს ეს ყოვლად უსაქმო და ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ელემენტი?

ვფიქრობ, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიექცევა.

გადავიდეთ სამფინგანზე. 150.000 მანეთის ბიუჯეტი აქვს მაზრას, მეტი არა, ისიც დეფიციტიანია. მთელი ამ ბიუჯეტის მწარმოებლად ფინგანში ისეა შტატი გაბერილი, რომ თვით საქ. ფინსახკომში არ არის ამდენი.

ეხლა ვიკითხოთ, მუშაობენ ესენი თუ არა?

არა. მთელ სამუშაო საათებში ტყულა არიან—უმეტეს შემთხვევებში გარდა 5 კაცის (გამგე, ადგ. ბიუჯ. გამგე და ორიც კიდევ), დანარჩენები კი დასეირნობენ, მიადგებიან ტელეფონს და იძახიან: სადგური? რომელი საათია?, სამსახური კი უკვე გათავდა. აი ასეთი მუშაობაა ფინგანში. პირდაპირ კაცს გული გიკვდება, რომ შეხედავ ამდენ უსაქმო ხალხს.

საკითხავია იქნება საქმე არ არის და ამიტომ არიან ტყვილად? თუ ეს ასეა, მაშინ შტატი შევამოკლოთ და თუ საქმე აქვთ და არ აკეთებენ პასუხი მოეთხოვოთ. ყოველ შემთხვევაში საჭიროა პროფდისციპლინის განმტკიცება. დაბოლოს მაზრაღმასკომს ურჩევდი, რომ მაგრად მოკიდოს ხელი ჯანმრთელობის და განათლების დარგში მომუშავე პირებს სამსახურის ნორმალურად ასრულებისათვის. ფინორგანოებისათვის მუშაობის გასაჯანსაღებლად საჭიროა პროფდისციპლინის განმტკიცება.

და განათლების კომისარიატმა კი უნდა მოგვცეს განათლების განყოფილების გამგეთ ერთი პარტიული და საქმის მცოდნე მუშაკი.

თვითნებობას კი ბოლო უნდა მოეღოს.

ვარამი.

ალაგმეთ ეს ავარები

დღე ისე არ გავა, რომ ღვინით გალეშილი ავარები არ იკლებდენ სადგურის ახლო-მახლო მცხოვრებლებს. აქ მუდამ არის ჩხუბი აურ-ზაური, ხალხის შეჯგუფება, წესრიგის დარღვევა და სხ. მილიციელნი რბილად ეპყრობიან მოხსენებულ ამხანაგებს. ისინი ხალხის დამშლასაც ვეღარ აჩერებენ.

საჭიროა ამ ავარა ხალხის წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნეს მიღებული.

12 მაისს ამ ქუჩაზე ტყუილ უბრალოდ სცემეს ერთ ახალგაზრდას, აურ-ზაური ასტეხეს ამ ავარებმა.

მუშკორი წყარო.

ს. კ. პ. ცეკას სტამბაში

17 მაისს შესდგა ცეკას სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებას დაესწრო მუშა-მოსამსახურეთა უმეტესი ნაწილი. კრებას აგრეთვე დაესწრენ მბეჭდავთა კავშირის ცენტ. გამგეობის წარმომადგენლები ამხ. კ. ფანცულაია და პ. ნუცუბიძე. კრება გახსნა ამხ. კოკილაშვილმა. კრების გახსნის შემდეგ არჩეული იქნენ თავმჯდომარედ ამხ. უშ. ჯაში და მდივნად ამხ. ახალკაცი.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) ადგილკომის პას.-მგ. მდივნის ამხ. კოკილაშვილის ანგარიში ადგილკომის 6 თვის მუშაობის შესახებ, 2) სარევიზიო კომისიის ანგარიში და 3) ადგილკომისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

პირველ სიტყვას იღებს ამხ. კოკილაშვილი და აკეთებს მოხსენებას ქარხკომის მუშაობის შესახებ. მომხსენებელი ახასიათებს იმ გარემოებას, თუ როგორ უხდებოდა ადგილკომს მუშაობა საანგარიშო ხნის განმავლობაში და აღნიშნავს, რომ დღემდე ადგილკომს უხდებოდა ძალიან ცუდ პირობებში მუშაობა, რაც მიეწერება უფულობას. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ცეკას სტამბა როგორც ახალი ჯერ კიდევ ვერ არის სრულიად მოწყობილი როგორც სამუშაოთი, აგრეთვე სასტამბო მანქანებით, ამისათვის მოისუსტებდა მუშაობა უფრო შრომის დაცვაში და კულტურულ დარგში. მუშკოოპის წევრებად არის თითქმის 95 პროცენტი სტამბის მუშებისა.

ადგილკომს ამ ხნის განმავლობაში ჰქონია 9 სხდომა და გარჩეულა 32 საკითხი.

საკონფლიქტო კომისიას 3 სხდომა, გარჩეულა 62 საკითხი. ამ საკითხებში საკონფლიქტო შემფასებელ კომისიას დაუკმაყოფილებია 55 ამხანაგი.

შეკითხვებში მონაწილეობა მიიღო კრების საგრძნობმა ნაწილმა, რასაც სათანადო პასუხი გასცა მომხსენებელმა. მოხსენების შემდეგ იქნა მიღებული სათანადო რეზოლიუცია.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა სარევიზიო კომისიის წევრმა ამხ. გოგიშვილმა და აღნიშნა, რომ როგორც ფინანსიური, ისე სხვა მუშაობის გეგმიანობა არის მიზანშეწონილი და დამაკმაყოფილებელი. ორივე მოხსენების შემდეგ კრებამ აირჩია ახალი ფაბ-ქარხ-ადგილკომი შემდეგი შემადგენლობით: შუბაშვილი, გორგიაშვილი, კოკილაშვილი, დანელია, ნადარეიშვილი, ურუშაძე, ფანცულაია, პ. ახალკაცი, ღლონტი და ყაზაროვი.

ასოთ-ამწყობი დალაქიანი.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **ვინ დაიცავს ჩვენს უფლებებს?!** სადგ. წინანდალში არის სადგურის ყაზარმა, სადაც მუშაობს 12 მუშა. მუშებს უხდებათ შპალების ზიდვა ერთი დამტვრეული რონოდით. რონოდა კი ხშირად ვარდება ლიანდაგიდან. მუშებს რამოდენჯერმე უხდებათ შპალების რონოდებიდან გადმოტვირთვა-დატვირთვა და საშინელ მდგომარეობაში იმყოფებიან. შრომა უნაყოფოდ იკარგება და მუშებიც საშინლად იტანჯებიან. საჭიროა შეკეთდეს რონოდები და გზის ლიანდაგი.

შრომის ინსპექტორო და რკინის გზ. სამმართველო, ეს თქვენი საქმეა!

მუშკორი კარგი.

— **ნიაღვარი გვღუპავს.** პირველ უბანში, გაკაზე არის ე. წ. ვაკის ბაღი. ეს ბაღი ეკუთვნის აღმასკომს. აქ მუშაობენ სოფლიდან ჩამოსული გლეხები—მებაღეები. აქ მუშაობა ძალზე ძნელია. ბაღის გვერდზე მდებარე მარჯვენა მაღლობებიდან წვიმის დროს ბაღში ჩამოდის ნიაღვარი, რომელიც ღვარავს ნამუშევარს, იკარგება შრომა, იხარჯება ფულები, იტანჯებიან მუშები. ამას კი ყურადღებას არავინ აქცევს.

აღმასკომო მიიღე ზომები, დაიცავი განადგურებისაგან ბაღი და მუშების ინტერესებიც დაიცავით!

ა. გ—კიძე.

— **შეიბრალეთ მგზავრები.** სად. საჯევახოში ასეთი ამბები ხდება: მიუხედავად იმისა, რომ აქ დიდძალი ხალხი იყრის თავს სამოგზაუროდ, აქაური სალარო ბილეთებს მათზე არ ყიდის ისეთ რაოდენობით, რამდენიც საჭიროა. მგზავრები რჩებიან სადგურში უბინაოდ და საშინლად იტანჯებიან. ბინა აქ სრულებით არ მოიპოება. ბილეთებს აღნიშნულ სადგურზე არ ჰყიდიან მაშინაც, როდესაც მატარებელში ადგილები თავისუფალია. ეს გარემოება დიდ აურ-ზაურს და უსიამოვნებას ქმნის სადგურზე.

საჭიროა ბოლო მოეღოს ამ ვაკხანალიას.

მუშკორი კ—ნი.

პროფკავშირებში

ჩვენი კავშირის საზაფხულო კლუბი

15 მაისს გაიხსნა საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კავშირის საზაფხულო კლუბი (კირკის ქ. № 3).

თუმცა ამ საღამოს კარგი ამინდი არ იყო, მაგრამ კლუბის გახსნას მაინც საზოგადოება ბლომად დაესწრო.

კლუბის გასახსნელად გამართულ საზეიმო კრებას მოკლე, მაგრამ შინაარსიანი სიტყვით მიმართა კავშირის პას. მგებ. მდივანმა ამხ. ღლონტმა, რომელმაც მოკლეთ აღნიშნა კლუბის დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა და იმედი გამოსთქვა, რომ აქტიური მუშაობით ჩვენი კლუბის მუშაობა სათანადოთ გაძლიერდება.

ამხ. ღლონტის სიტყვის შემდეგ კლუბის საზეიმო გახსნას საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების სახელით ესალმება ამხ. ქშონძერი, რომელიც მოუწოდებს დამსწრე მუშა-მოსამსახურეთ მიიღონ კლუბის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა და გააჩაღონ მასში ნამდვილი კულტურული კერა.

ვრცელი სიტყვით გამოდის კავშირის კულტგანყოფილების გამგე ამხ. ორჯონიკიძე, რომელიც უფრო მეტ ხანს ჩერდება კავშირების კულტმუშაობაზე და საკლუბო მუშაობაზე კერძოთ. ამხ. ორჯონიკიძე იმედს გამოსთქვამს, რომ ჩვენი კლუბი მართლაც გაამართლებს თავის დანიშნულებას საკავშირო მასის აქტიური და მხურვალე მონაწილეობით.

საზეიმო გახსნის დამთავრების შემდეგ, სცენაზე გამოდის და თავისი გამოსვლით განსაკუთრებული აღფრთოვანება შეაქვს დამსწრეებში კავშირის ც. გ. არსებულ მომღერალთა გუნდს.

ამ გუნდის ისტორია დიდი არ არის. სულ რაღაც 2 ნახ. თვეა არსებობს იგი, მაგრამ მას უკვე დიდი მომზადება და ენერგიულობა ეტყობა. გუნდს უკვე მზად აქვს საკმაოდ შემუშავებული რეპერტუარი.

სიმღერების შესრულებამდე დამსწრეებს მიესალმა გუნდის ლოტბარი ამხ. კალანდაძე, რომელმაც იმედი გამოსთქვა, რომ როგორც კავშირის ც. გამგეობის, ისე მთლიანად საკავშირო ორგანიზაციათა დახმარებით, გუნდი მართლაც გაამართლებს მასზე დაკისრებულ საქმეს და გახდება მუშათა ფართო მასის ერთ სიამოვნების მომგვრელ ორგანიზაციად.

ამხ. კალანდაძის სიტყვის შემდეგ გუნდმა შეასრულა რამოდენიმე ქართულ-რუსული სიმღერები, რითაც დამსწრე საზოგადოებაში დიდი სიამოვნება გამოიწვია.

ფრიად შინაარსიანი პროგრამებით გამოვიდენ საღამოზე, კავშირთან არსებული „ლურჯი ხალათი“-ს ქართული და რუსული კოლექტივები. კოლექტივებს კარგი მასალები აქვთ დამუშავებული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართული კოლექტივის მუშაობის გაუმჯობესება ე. წ. „წითელი საცერის“ სახელწოდებით. ეს კოლექტივი პირველად მოისუსტებდა, მაგრამ ახლა მას უკვე საკმაო მომზადება აქვს.

ძლიერ შინაარსიანი იყო რუსული კოლექტივის „წითელი მცოცხავი“-ს ცოცხალი გაზეთის ნომერი „საერთაშორისო ცირკი“.

საერთოდ კლუბის გახსნას სადღესასწაულო ელფერი ედო. კლუბის ბაღი და მოწყობილობა თბილისში ერთ საუკეთესოდ ითვლება საზაფხულოდ და მასში კულტ-განმანათლებელი მუშაობა შეგვიძლიან კარგად დავაყენოთ თუ ჩვენი საკავშირო მასა, მასში ერთგულ მონაწილეობას მიიღებს.

კავშირის წევრი.

გორის მაზრის პროფკავშირების საქმიანობა

მაზრის პროფბიუროს და ცალკე პროფკავშირების მუშაობა მიმდინარე საანგარიშო ხნის განმავლობაში გამოიხატება შემდეგში:

სამპროფბიუროში

ა) სამპროფბიუროს ხაზით მოწვეული და ჩატარებული იქნა გამგეობის სხდომები—15, რომელზედაც გარჩეულია 128 საკითხები, მოწვეული იქნა კონფერენციები და პლენუმი—1.

ბ) **საბ. მუშაკთა კავშირის ხაზით:** გამგეობის სხდომები—21, სადაც გარჩეულია 247 საკითხი; საერთო კრებები—3, გარჩეულია 13 საკითხები, მოწვეული იქნა კონფერენცია—1, პლენუმი—3.

გ) **მედსანშრომის კავ-ს ხაზით:** გამგეობის სხდომები იყო—22; გარჩეულია საკითხები 280; საერთო კრებები—7; გარჩეულია საკითხები—33, მოწვეულ იქნა პლენუმი—3, კონფერენცია—1.

დ) **მიწა-ტყის კავ-ს ხაზით:** გამგეობის სხდომები—12, გარჩეულია საკითხები—74; საერთო კრებები—2, გარჩეულია საკითხები—6; კონფერენცია—1; პლენუმი—1.

ე) **აღმშენებელთა კავ-ს ხაზით:** გამგეობის სხდომები—17, გარჩეულია საკითხები—125; კონფერენცია—1.

ვ) **განათლების კავშირის ხაზით:** გამგეობის სხდომები—112, გარჩეულია საკითხები 134; საერთო კრებები—3, გარჩეულია საკითხები 13; კონფერენცია—1; პლენუმი—4.

ზ) **სახალხო კვების კავ-ს ხაზით:** გამგეობის სხდომები—10, გარჩეულია საკითხები 47; საერთო კრებები—3, გარჩეულია საკითხები 8; კონფერენცია—1.

ი) **კომუნალურ მეურნ. კავ-ს ხაზით:** გამგეობის სხდომები—27, განხილულია საკითხები 180; საერთო კრებები—7, გარჩეულია საკითხები 34; კონფერენცია—1; პლენუმი—1.

ეს ცნობები ნათლად გვიჩვენებს გორის მაზრის პროფკავშირების მუშაობას. ამასთანავე თითქმის არც ერთი სხდომა არ შემდგარა ისეთი, სადაც არ დასმულიყოს საკითხი ხელფასის დავალიანების შესახებ როგორც ცალკე კავშირები, ისე პროფბიუროში. ყველა ესენი ყოველივე ზომებს ხმარობდენ ხელფასის დავალიანების ლიკვიდაციისათვის, ამის საუკეთესო საბუთია ოქმის ასლები და მიმართვები, რომლებიც ამ საკითხზედ ეგზავნებოდათ ცენტრალურ გამგეობებს და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს. აგრეთვე ის ფაქტიც, რომ არც ერთი კავშირთა რესპუბლიკანურ ყრილობებზე ისე არ ჩაუვლია, რომ ადგილებს ეს საკითხი სპეციალურად არ დაესვათ ყრილობაზედ.

1) კავშირები ღებულობენ კულტფონდის %% ანარიცხებს 2%-ის რაოდენობით;

2) 1926 წლის 1-ლ იანვრიდან გაშვებულია სრულიად უფასოდ წარმოდგენა—3; (იაფ-ფასიანი) 10 კაპ.-დან 30 კაპ-მდე. ერთი წარმოდგენა. კინო-სურათი უფასოთ გაშვებულა 3-ჯერ.

გარდა ამისა, მოწყობილია პროფწრე ოთხი, სადაც სწარმოებს მეცადინეობა; ერთი პოლიტ-წრე, რომელმაც გამართა ორი სალიტერატურო საღამო, მოწყობილია არის მოჭადრაკეთა წრე. კლუბს აქვს საბილიარდო, არსებობს აგრეთვე წიგნთ-საცავ-სამკითხველო, რითაც კავშირის წევრები სარგებლობენ სრულიად უსასყიდლოთ.

მიზეზები იმისა, თუ მეტი რატომ არ კეთდება, შემდეგია: 1) სათანადო შენობის უქონლობა კლუბისათვის და საერთოდ ბინის კრიზისი გორის მაზრაში, 2) ელექტრონის განათების უქონლობა, ვინაიდან კეთდებოდა ახალი ელსადგური, 3) კულტ-კომისიის დავალიანება, რაც უდრიდა 1-ლ იანვრისათვის ორი ათას მანეთს.

რაც შეეხება მე-5-ე პროფკავშირთა ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენების ჩატარებას, პროფ-ბიუროს ჰქონდა გადაწყვეტილი ჩატარებია მოხსენებები, როდესაც მიიღებდა სათანადო გადამუშავებულ თეზისებს, რისთვისაც ყველა რაიონებზე უკვე მიმაგრებული არიან ამხანაგები.

ახალგაზრდათა შორის მუშაობა არ იყო გამოყოფილი კავშირებიდან, კრებები იწვევოდა ცალკ-ცალკე ქარხნებში და წარმოებებში. მოწვეული იყო ერთი გაერთიანებული კრება ქალაქის მასშტაბით.

გორის სამპროფბიურო.

წითელ ჯარში

მორიგი გაწვევა.

15 მაისიდან დაიწყო 1903 წელში დაბადებულ ახალგაზრდების გაწვევა ტერნაწილებში.

ახალგაწვეულნი ცხადდებიან უკლებლივ. არც ერთ ნაწილში არა აქვს ადგილი დეზერტირობას და გამოუცხადებლობას. არის გამონაკლისი, როდესაც ახალგაწვეული წასულია სამუშაოდ შორ ადგილას.

ყაზარმაში მისვლისას, ახალგაწვეულნი დაჰყოფენ მოკლე ხანს კარანტინში და შემდეგ გადავლენ საცხოვრებლად ყაზარმაში, სადაც შეუდგებიან მეცადინეობას.

პროგრამა პოლიტიკურ და სამხედრო დარგში გავლილი უნდა იქნეს ორთვენახევრის განმავლობაში.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ გამოყოფილი არიან მასწავლებლები უფპოლიტშემადგენლობიდან და ძველ მსახურ წითელარმიელთაგან.

პოლიტგანყოფილების მიერ დაგზავნილია საჭირო სახელმძღვანელო მასალები და წიგნები.

მიმდინარე გაწვევამ მოგვცა დიდი რიცხვი ეროვნულ უმცირესობის წითელარმიელთა. მათთან სამეცადინოთ გამოყოფილი არიან ენის მცოდნე პოლიტხელნი.

პარალელურად სამხედრო და პოლიტმეცადინეობისა ახალგაწვეულებთან იწარმოებს სემინარული მეცადინეობა მოსამზადებლად სამხედრო ქუთხეების და ქოხსამკითხველოების გამგეების. სათანადო პროგრამები უკვე დაგზავნილია ადგილებზე.

ე—ზ.

საბანაკოდ გასვლის წინ

უკვე დამთავრებულია საზაფხულო ბინების მოწყობა. ჯარის ნაწილები ნაწილობრივ გავიდნენ ბანაკად. 1-ლ ივნისისთვის დამთავრებული იქნება ბანაკად გასვლა, რის შემდეგაც დაიწყება საზაფხულო სწავლება.

ყველა ნაწილებში, რომლებსაც ეხებათ ბანაკად გასვლა, სწარმოებს მეცადინეობა ბანაკების პირობების და სოფლად მუშაობის შესასწავლად.

ალ.

გასამხედროების ფრონტზე

(ქ ა რ თ ლ ი)

№ ლეგიონის 1-ლ და 2-ე ასეულების მიერ მოწყობილია და ამუშავებული სამხედრო კუთხეები შემდეგ სოფლებში: წითელი ქალაქი, კავთისხევი, მეტეხი, მეჯვრისხევი, ტყვიავი, ვაკა, ქარელი, ქვემო ჭალა.

კუთხეებთან ჩამოყალიბებულია სამხედრო წრეები, რომლებშიაც მეცადინეობას აწარმოებენ ასეულების მეთაურნი.

კუთხეებში საკმაოდ არის სამხედრო ხასიათის მასალა და ლიტერატურა.

შ.

ცოდნის შემოწმება

მაისის ბოლო რიცხვებში დაიწყება საშუალო და უფროსთა სამეთაურო შემადგენლობის პოლიტიკური და საერთო განათლების ცოდნის შემოწმება.

შემოწმებას აწარმოებს სპეციალური კომისია, დანიშნული პოლიტგანყოფილებების მიერ.

შემოწმებას მიზნად აქვს გამოარკვიოს სამეთაურო შემადგენლობის საერთო განვითარების დონე და პირობები, რომლებიც უშლიან ხელს მეცადინეობის მსვლელობას.

სამხედრო სამსახურში გაწვევის ვადის გაგრძელება სოფლის მასწავლებლებისათვის

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა პირველ საფეხურის სოფლის სკოლების შვიდწლედების და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებს გაუგრძელა ჯარში გაწვევის ვადა იმ დრომდი, სანამ ისინი ითვლებიან აღნიშნულ სკოლების მასწავლებლებად.

სამხედრო ქიმია

ქიმიურ გაზებში

ამას წინად თბილისში მოწყობილ ქიმიურ ხრიოლების კამერაში, რომელიც გამართული იყო საბურთალოზე, გატარდა 6.225 სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ახალი წიგნი

იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა მილიციელთათვის ამხ. ნ. ი. გარეკლიძის წიგნი სამხედრო ქიმიაზე. წიგნი პოპულიარული ენითაა დაწერილი და მიზნათ ისახავს მილიციის მომზადებას სამხედრო ქიმიის დარგში.

აირმსპობები

ამჟამად სამხედრო ნაწილებში მიმდინარეობს დაზიანებულ აირმსპობების შეკეთება - მოწყობა.

ფიზკულტურა

ფეხბურთი

„დინამო“—„დურუჯი“

თბილისის საუკეთესო გუნდების—„დინამო“-ს და „დურუჯი“-ს შეჯიბრი, რომელიც არ შესდგა წარსულ კვირას ცუდი ამინდის გამო, გაიმართება კვირას 23 მაისს, საღამოს 5 საათზე ლენინის სახელობის სტადიონზე.

გუნდები გამოდიან გადახალისებული შემადგენლობით.

„დინამო“: ცომაია, თედეევი, პიტერსკი, გონელი, ანიკინი, ბლანკმანი, ვახტანგ ამბოკაძე, იზიუმსკი, გალპერინი, ჟორდანია და ელ. ცომაია.

„დურუჯი“: პაპკოვი, ფრუიძე, ხევსურიანი, ქუთათელაძე, იმნაძე, უიტნიცკი, ნიკო ამბოკაძე (ან ფალავანდიშვილი), გუნია, ისიდორე თურქია და ქებაძე.

თუმცა კალენდარული მატჩები ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ფაქტიურათ ამ ორი გუნდის შეჯიბრი გადასწყვეტს ფეხბურთის მიმდინარე სეზონის პირველობის საკითხს თბილისში.

შემდეგი შეჯიბრები

სეზონის დამთავრებამდე დარჩა კიდევ სამი საინტერესო შეჯიბრი (კვირის შეჯიბრის გარდა): „დინამო“—„არსენალი“, „დინამო“—„პოლიტექნიკუმი“ და „დურუჯი“—„პოლიტექნიკუმი“.

ფეხბურთის გაზაფხულის სეზონის დამთავრება განზრახულია მაისის ბოლო რიცხვებამდე.

ზაფხულზე დაიწყება საქალაქთაშორისო და საერთაშორისო შეჯიბრები. განზრახულია შეჯიბრები მოეწყოს ბათომის, ბაქოს და სხვა ქალაქების ნაკრებ გუნდებთან.

ფეხბურთი ქუთაისში

11 მაისს გაიმართა შეჯიბრი ქუთაისის და სამტრედიის ნაკრებ გუნდებს შორის. შეჯიბრს სჯიდა ამხ. ნ. გვარამაძე რომელიც დასავლეთ საქართველოში ითვლება ერთ ერთ საუკეთესო მსაჯათ.

შეჯიბრი დაიწყო სრულ 5 საათზე მე-3-მე ლეგიონის მოედანზე. ეს შეჯიბრი უნდა ჩაითვალოს მეორედ, ვინაიდან 1-ლი შეჯიბრი მაზრის პირველობაზე დასრულდა: 2:2; და შეჯიბრის დასრულებას სიბნელის გამო დააკლდა 30 წუთი, მეორე შეჯიბრზე ქუთაისის ნაკრები გუნდი არ გამოვიდა თავისი ძირითადი შემადგენლობით მას აკლია ორი საუკეთესო ძალა.

შეჯიბრი დასრულდა 3:1 ქუთ. ნაკრები გუნდის სასარგებლოდ. ამგვარად მაზრის პირველობა აიღო ქუთ. ნაკრებ გუნდმა.

დამსწრე.

სასამართლო

ქალის გაუპატიურება

ამა წლის 25 აპრილს, პეტრე ღოღობერიძე თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე შეხვედრია ნაცნობ ქალს. სამსახურის საქმეების მოსაგვარებლად ღოღობერიძეს უთხოვნია ქალისათვის ეტლით წასვლა ერთად. ქალი დასთანხმებია. ბრალდებულმა ნაცნობი ქალი ეტლით სულ სხვა მიმართულებით წაიყვანა. ქალი ძალობდა, რამოდენიმეჯერ შეეცადა ეტლიდან გადმოხტომას, მაგრამ ღოღობერიძეს ხელიდან ვერ გაუსხლტა. ქალაქს გარეთ ბრალდებულმა ძალდატანებით სქესობრივი კავშირი დაიჭირა მასთან და ხელი შეუწყო მეეტლესაც სქესობრივი ჟინის გარყვნილი სახით დაკმაყოფილებაში.

სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ღოღობერიძე და მეეტლე **სიპცოვი.**

წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულებმა თავი არ სცნეს დამნაშავეთ.

მოწმეთა ჩვენებით და ექსპერტების დასკვნით, ზემოთაღნიშნული გარემოება დადასტურდა.

ამის გამო ღოღობერიძე და სიპცოვა პასუხისგებაშია მიცემული და მათი საქმე ამ ახლო მომავალში გაირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში.

გარყვნილობისათვის

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლოში გაირჩა **ვასილ ზარიძის** საქმე.

ზარიძეს ბრალდებოდა მიხეილ ი-თან სქესობრივი კავშირის დაჭერა.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი სცნო დამნაშავეთ.

მოწმეთა დაკითხვის და ექსპერტების დასკვნის მოსმენის შემდეგ, სასამართლომ ბრალდებული ზარიძე სცნო დამნაშავეთ და მიუსაჯა მას ექვსი თვის თავისუფლების აღკვეთა.

თავდამსხმელები

1925 წ. ოქტომბრის თვეში ბრალდებულები: **მათე ფერაძე, შალვა ჯავახიძე, შალვა სამსონაძე, პავლე თოფურიანი და იპატე ფერაძე** თავს დაესხენ ეფრემ ბლიაძის, დათა ფერაძის და დარბაიძის ოჯახებს და გაძარცვეს. არ გასულა დიდი ხანი, რომ ისინი მილიციის მიერ დაპატიმრებული იქნენ. წინასწარი გამოძიების დროს გამოირკვა, რომ ზემოთჩამოთვლილი ბრალდებულნი სისტემატიურად ეწეოდენ გლეხების ოჯახების აწიოკებას და დარბევას. წინასწარი გამოძიება უკვე დასრულდა და საქმე გასარჩევად გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს.

8.000 მან. გაფლანგვა

წინასწარი გამოძიება კოჯორის კოოპერატივის თანამშრომელთა საქმეზე დასრულდა. პასუხისგებაშია მიცემული გამგეობის თავმჯდომარე **შალამბერიძე,** გამგეობის წევრები: **სურმავა** და **გოგელია,** საწყობის გამგე **მახარაძე,** სასადილოს გამგე **ბერიძე,** ნოქარი **გოგელიძე** და ბუხჰალტერი **კანკავა-ფარულავა.** აღნიშნული პირები სისტემატიურად ითვისებდენ სახალხო ფულებს, ნისიათ უშვებდენ საქონლის დიდ რაოდენობას, რაიც წესდებით აკრძალული იყო.

ამ საქმის გამო წარმოებულმა გამოძიებამ დაადასტურა 5.000 მანეთის გაფლანგვა. ბრალდებულების ბოროტმა მოქმედებამ კოჯორის კოოპერატივს მიაყენა 8.000 მანეთის ზარალი.

მეცნიერება და ტეხნიკა

მარსის ახალი მოახლოება.

უკანასკნელად მარსი დედამიწასთან ძალიან ახლო იყო 1924 წ. აგვისტოში.

რომ დრო, რომელიც ესაჭიროება მარსსა და დედამიწას მზის გარშემო შემოსავლელად, ერთნაირი იყვეს, მაშინ ასეთი მოახლოვება ყოველ წელიწადში მოხდებოდა. მაგრამ დედამიწას მზის გარშემო შემოსავლელად ესაჭიროება 365 დღე, მარსს კი—686. ამიტომ, როცა მარსი კვლავ გაივლის პერიგელიში (მზიდან უახლოეს წერტილში), დედამიწა ოდნავ ჩამორჩენილია და ვერ ასწრებს მისვლას იმ წერტილში, სადაც იგი ყველაზე უფრო ახლო იქნება მარსთან.

ფრანგულ ჟურნალის „ასტრონომია“-ს ცნობით, მარსი მიმდინარე წელს პერიგელის გაივლის 26 ოქტომბერს. დედამიწა ამ დროს რამოდენიმე მილიონი კილომეტრით იქნება დაშორებული მარსთან უდიდესი მოახლოვების წერტილს. სანამ დედამიწა მიუახლოვდებოდეს ამ წერტილს, მარსი მოასწრებს განშორებას და მანძილი ორივე პლანეტას შორის თანდათანობით იზრდება. ვინაიდან დედამიწა სწრაფად მოძრაობს, იგი ნოემბრის პირველ რიცხვებში დაეწევა მარსს, მაგრამ მანძილი მათ შორის მაინც დარჩება 70 მილიონი კილომეტრი, ე. ი. 25 მილიონი კილომეტრით მეტი, ვიდრე 1924 წ. აგვისტოში.

ზაფხულის დამლევიდან შუა-ზამთრამდე საბჭოთა კავშირში ხელსაყრელი პირობები იქნება მარსისათვის თვალყურის სადევნებლად.

მზის სისტემის ჰასაკი.

ცნობილი რუსი მეცნიერი კ. ე. ციოლკოვსკი თავის უკანასკნელ შრომაში, რომელიც ეხება მზის ჰასაკს, იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს სისტემა წარმოიშვა არა ხვისიტური ნისლოვანებიდან, როგორც ზოგიერთი მეცნიერები, ფიქრობენ, არამედ უზარმაზარ გაზისტური მზიდან.

ეყრდნობა რა იმ ფაქტს, რომ მზის მიერ თავისი მასის თანდათანობით დაკარგვა იწვევს პლანეტების განშორებას ცენტრალურ მნათობისაგან, ციოლკოვსკიმ გამოიანგარიშა ამ განშორების სიდიდე.

გამოირკვა, რომ დედამიწა წლიურად 39 მილიმეტრით შორდება მზეს, მარსი—38 მილიმეტრით, ურანი და ნეპტუნი 400 და 628 მილიმეტრით. ასეთი სისწრაფის პირობებში ერთი მილიარდი წლის შემდეგ მანძილი დედამიწასა და მზეს შორის მხოლოდ 40 კილომეტრით გაიზრდება. თუ პლანეტები ყოველწლიურად სცილდებიან მზეს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოდესღაც ისინი მზის განუყოფელ ნაწილს შეადგენდენ. ყოველწლიური დაცილების სიდიდე საშუალებას გვაძლევს გამოვიანგარიშოთ, თუ როდის მოხდა პლანეტების გამოყოფა მზიდან. ამგვარად ციოლკოვსკიმ გამოიანგარიშა (მან მხედველობაში მიიღო მიმზიდველობის ძალის სხვადასხვაობა პლანეტასა და მზეს შორის არსებულ მანძილთან შეფარდებით) და ასეთი შედეგები მიიღო: დედამიწა მოსწყდა მზეს 2 ბილიონ 233 მილიარდი წლის წინათ, მარსი—4½ ბილიონი წლის წინათ, იუპიტერი—11½ ბილიონი წლის წინათ, სატურნი—18 ბილიონი, ურანი—25 და ნეპტუნი—31 ბილიონი წლის წინათ.

თუ ნეპტუნის მოწყვეტას მზის სისტემის წარმოშობის დასაწყისად ჩავთვლით, მაშინ ამ სისტემას 31 ბილიონი წ. ისტორია აქვს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

საქართველოს ს. ს. რ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი

ქალაქისა და მაზრის აღმასკომ ების განკარგულებაში ზოგიერთი სახელმწიფო ქონებისა და საწარმოს გადაცემის შესახებ

დადგენილება № 32*)

ქალაქისა და მაზრის აღმასკომების ეკონომიური აღორძინებისა და გაძლიერებისათვის საქ. ს. ს. რ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ: ქვემოთჩამოთვლილი სახელმწიფო ქონება და საწარმონი, რომელიც ამჟამად სხვადასხვა ცენტრალურ დაწესებულებათა განკარგულებაშია, მიმდინარე 1926 წლის ოქტომბრის 1-დან გადაეცეს ქალაქისა და მაზრის შემდეგ აღმასკომებს, სახელდობრ:

1. ახალციხის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს: ახალციხის მაზრის სოფ. ვალის თემში მდებარე სათიბი ადგილი „მაბანზებელი“ სივრცით 480 დეს., რომელიც არის მიწათ - მოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში.

2. დუშეთის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს:

ა) სოფ. მჭადიჯვარის მამული, სივრცით 22 დეს., აქედან ბაღ - ბოსტანი—7 დეს., ვენახი — 1 დეს. და ხილის ბაღი—14 დეს., რომელიც საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის განკარგულებაშია.

ა) სოფ. ოძისის მამული, სივრცით 15 დეს., აქედან სახნავი 8 დეს. და ბაღ-ბოსტანი — 7 დეს., რომელიც საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის განკარგულებაშია.

გ) კრამიტის ქარხანა, რომელიც მდებარეობს ქსნის სადგურის რაიონში.

3. გორის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს: სპირტის სახდელი ქარხანა სოფ. გორში.

4. რაჭის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს: რაჭის მაზრაში მდებარე შემდეგი მამულები, რომლებიც ამჟამად მიწათმოქმედების სახალხო კომსარიატის განკარგულებაში არის:

ა) საძოვარი ადგილი სახაროვანი ბოლო, სოფ. უწერაში, სივრცით 1.414 დეს.;

ბ) სასაძოვარო ადგილი საბაჭრაძეო, სოფ. უწერაში, სივრცით 1.917 დეს.;

გ) საძოვარი ადგილი სოფ. სადმელძაში მდებარე მამული, სივრცით 104 დეს.;

დ) საძოვარი ადგილი ზერისჯვარი, ნაგომარი და სხვ. სოფ. ლიხეთში მდებარე, სივრცით 429 დეს.;

ე) საძოვარი ადგილი საწალიკე, სოფ. ხოტევში, სივრცით 2.095 დეს.;

ვ) საკაოს მთა და ჭალა, სოფ. საკაოში, სივრცით 13.245 დეს. და

ზ) საძოვარი ადგილი — სახვანჭკარო სატილო, სოფ. ხვანჭკარაში, სივრცით 1.078 დეს.

5. სენაკის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს: სენაკის მაზრაში მდებარე საძოვარი ადგილი, „ახხის“ მთის საძოვრების გამოკლებით, სივრცით სულ 6.458 დეს., რომელიც არის მიწათ - მოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში.

6. ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს: ზუგდიდის მაზრის ჯგალისა, აფხუანისა, ჯვარისა, ჭალისა და მუხურის აგარაკებში მდებარე საძოვრები, სივრცით 8.250 დეს., რომელიც არის მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში.

7. ქალაქ ფოთის აღმასრულებელ კომიტეტს: კაპარჭინის, შავი-ღელეს დედაბერას, მალფაყვას და ფიჩორას მდინარეებისა და პალიასტომის ტბის სათევზაო ადგილები, რომელიც არის მიწათ - მოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებში.

8. ქალაქ თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს: საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განკარგულებაში ქონებული შემდეგი საწარმონი:

ა) ლუდის სახდელი ქარხანა;

ბ) კერამიული ქარხანა;

გ) ყინულის საკეთებელი ქარხანა;

დ) სამკერვალო.

9. ქალაქ ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს: კირის საწვავი ქარხანა.

10. ბათომის აღმასრულებელ კომიტეტის კომუნალურ განყოფილებას:

ა) კასრების დასამზადებელი მასალის ქარხანა;

ბ) სახერხი ქარხანა;

გ) ფანერის ქარხანა.

11. ქალაქ ცხინვალის კომუნალურ მეურნეობას: სამხრეთ - ოსეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განკარგულებაში ქონებული შემდეგი საწარმონი:

ა) სახერხი ქარხანა ქ. ცხინვალში;

ბ) ცხინვალის ელსადგური;

გ) გრეხილი ავეჯის ქარხანა;

დ) ცხინვალის აგურხანა;

ე) კრამიტის ქარხანა სოფ. ქურთაში;

ვ) კირის საწვავი ქარხანა სოფ. მსხლებში.

საქართველოს ს. ს. რ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — ს.
პ. ჯუღელი.

საქართველოს ს. ს. რ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. მაისის 15.
ქ. თბილისი—სასახლე.

---

*) ვინაიდან ჩვენი გაზეთის 109 ნომერში მოთავსებულ ამ დადგენილებაში შეცდომები შეიპარა—იბეჭდება ხელმეორედ.

პარტიული კალენდარი

ოთხშაბათს, 19 მაისს, საღამოს სრულ 6 საათზე, მესამე რაიკომის ბინაზე შესდგება საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომის გაფართოვებული პლენუმი-სხდომა საუჯრედო-ბიუროების მდივნებთან და წევრებთან ერთად.

საქართველოს ლენინურ კომკავშირის ცკას პრეზიდიუმის დადგენილებით, დღეს, 19 მაისს, თბილისში წითელი თეატრის შენობაში (ყოფ. სახალხო სახლი), კირკის ქუჩაზე, საღამოს 6 საათზე, მოწვეულია **საქართველოს ლენინურ კომკავშირის ცკას პლენუმი.**

დღის წესრიგში სდგას:

1) მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცკას პლენუმის შედეგების შესახებ.

2) მოხსენებები ადგილებიდან:

ა) საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის პირველი რაიკომის—მთავარ სახელოსნოთა კოლექტივის თანამოხსენებებით.

ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის გალის სამაზრო კომიტეტის თანამოხსენებები.

გ) შორაპნის სამაზრო კომიტეტის.

დ) სიღნაღის სამაზრო კომიტეტის.

ე) ლეჩხუმის სამაზრო კომიტეტის.

3) კომკავშირის საზაფხულო მუშაობის შესახებ (სოფლად და ქალაქად).

4) სათემო სისტემის შესახებ.

5) გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს და „მოლოდოი რაბოჩი“-ს რედაქციების საინფორმაციო მოხსენებები.

6) მიმდინარე საქმეები.

პლენუმის პირველი სხდომა გაიხსნება საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის აქტივთან ერთად. სავალდებულოა ცკას ყველა წევრების და კანდიდატების და აგრეთვე თბილისის ორგანიზაციის აქტივის დასწრება აღნიშნულ ადგილს და აღნიშნულ დროზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. მიხეილ მელაძეს (ავჭალის შუშის დამამზადებელი ქარხანა) გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის გამზ., 24, მესამე სართული, ოთახი № 10) 19-დან 22 მაისამდე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ ამხ. ჩარკვიანთან 2 დღის განმავლობაში.

ილია სერეენიკოვი, ანატოლი ნიკოლოზის ძე ბოგდანოვი, ოსკარ იოსების ძე ავიე, გრიგოლ პლატონის ძე სახარჩუკი, ა. ს. გოგიე.

ხუთშაბათს, 20 მაისს, საღამოს 6 საათზე, თბილისის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი.** დღის წესრიგში სდგას:

1) თბილისის კომიტეტის ბიუჯეტის შესახებ.

2) საუჯრედო ბიუროების ხელახალ არჩევნების შედეგების შესახებ.

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების, რაიკომების ბიუროთა წევრების და საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მსხვილ უჯრედთა მდივნების დასწრება.

მატარებლების მიმოსვლა

გადის თბილისიდან ადგილობრივი დროით			მოდის თბილისში ადგილობრივი დროით		
მატარ.	ს.	წ.	მატარ.	ს.	წ.
№ 1 ლენინგრადში კვირაობით დილის	9	—	№ 2 ლენინგრადიდან პარასკეობით ღამის	10	15
„ 1 მოსკოვში ოთხშაბათობით და შაბათობით დილ.	9	—	„ 2 მოსკოვიდან ორშაბათობით და ხუთშაბათობით ღამის	10	15
„ 3 როსტოვში დილის	11	—	„ 4 როსტოვიდან საღამოს	6	30
„ 5 ბაქოში საღამოს	8	45	„ 6 ბაქოდან დილის	10	30
„ 13 ბაქოში ღამის	12	55	„ 14 ბაქოდან დილის	8	—
„ 4 ბათომში შუაღამის	12	30	„ 3 ბათომიდან დილის	6	40
„ 6. ბათომში დილის	11	30	„ 5 ბათომიდან საღამოს	7	45
„ 14 ბათომში საღამოს	7	5	„ 13 ბათომიდან ნაშუად.	2	50
„ 10 ფოთში საღამოს	9	40	„ 9 ფოთიდან დილის	9	35
„ 3 ჯულფაში შუადღის	12	—	„ 4 ჯულფიდან დილის	7	—
„ 14 ნახიჩევანში ნაშუადღ.	5	—	„ 12 ნახიჩევანიდან შუადღ.	12	15
„ 3 თელავში ღამის	10	—	„ 4 თელავიდან საღამოს	5	25
„ 13 თელავში დილის	2	30	„ 14 თელავიდან დილის	6	35
„ 16 ბორჯომში დილის	7	5	„ 15 ბორჯომიდან ღამის	11	15
„ 18 ბორჯომში ნაშუადღ.	3	—	„ 17 ბორჯომიდან დილის	5	10
„ 20 ბორჯომში ნაშუად.	3	45	„ 19 ბორჯომიდან დილის	7	50
„ 24 გორში უქმე და უქმეების წინა დღეებში ნაშუადღევის	2	5	„ 25 გორიდან უქმე და უქმეების წინა დღეებში ღამის	10	20

ახალციხის ექიმები: ასათიანი, აივაზოვი, მოისეევი, მარუქოვი, მოსესოვი, სვანიძისა, ჯინჭველაძე, ჩილინგარიშვილი, ბრდიშვილი, ლევინა და გოლინკევიჩი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 18 მაისს უეცრად გარდაიცვალა ახალციხის აფთიაქის გამგე, დამსახურებული პროვიზორი

სამსონ გრიგოლის-ძე
ასათიანი 1—1 ნ. ღ.

ღრმად დამწუხრებულნი, დები: მარიამ ცერცვაძისა, და ვალერია მალალურაძისა, სიძეები, იოველ მიხეილისძე მალალურაძე, ვანო სპირიდონისძე ცერცვაძე, ძმები: ბაგრატ და ვალიკო ზურაბისძენი გოგიაშვილები და რძლები კალესტინე და დარიკო გოგიაშვილისა, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ

ლიუბა ზურაბის ასული
გოგიაშვილის

ორმოცი დღის თავის წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი დიდუბის ეკლესიაში დღით ხუთშაბათს, 20-ში, ნაშუადღევის 3 საათ.

ქ. 2512

აპოლლო
ართისტიკო
ლოდეი

სეზონის საუკეთესო სურათი
„დინა მამუ“
ანონსი: ამ დღეებში „მოწყენილი ქუჩა“ ასტი ნილსენის მონაწილეობით.
მხატვრული სურათი
„საროსკიპოს შვილი“
უცხოეთის ეკრანის საუკეთესო ძალების მონაწილეობით.
„დინა მამუ“
ანონსი: ამ დღეებში კინო-თეატრებში პრფასტრ-სოლეი საუკეთესო სურათი
„ჯავშნოსანი პატიომკინი“
0—12 ნ. 1265

ბორჯომის წყალი
ცხადდება დაწესებულებების, სავაჭრო წარმოებების და კერძო პირების საყურადღებოდ, რომ ვინაიდან
კონტრაგენტ კეგაძესთან დადებულ ხელშეკრულებას
ბორჯომის მინერალური წყლის გასაღების შესახებ
ვადა გაუვიდა
ამიერიდან
ბორჯომის წყალს ასაღებს მხოლოდ
ბორჯომის კომბინატი
თბილისის საექსპორტო კანტორის საშუალებით
დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: თბილისი, მთავარი საკურორტო სამმართველო, ბორჯომის მინერალური წყალი, ძნელაძის (ყოფ. საპიორის ქ. № 30
დეპეშებისათვის მისამართი: მთავარი საკურორტო სამმართველო, ბორჯომის მინერალური წყალი.

გაზ. „კომუნისტის“ მთავარი კანტორა

ამით აცხადებს დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ

მოქ. კოსტ. ჯუბაბრია

(საწყობის ყოფ. გამგე) მოხსნილია სამსახურიდან. მასზე გაცემულ ყოველგვარი მოწმობები გაუქმებულია.

„კომუნისტი-“ს მთ. კანტორა.

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
მიღება 2—3 და 6—8 საათ, თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20
50—3

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან 25—18

ექ. ე. მ. მქინარიშვილი
სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან. 25—1

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. ოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი გავსოვიჩი

ამით აცხადებს, რომ 1926 წლის მაისის 22 დღესა, დილის 10 საათზე კლარა ცეტკინის ქუჩაზე, № 196 (ყოფილი ელისაბედის ქუჩა) მის მიერ არის დანიშნული **საჯარო ვაჭრობა** მეორეთ იმ ქონების გასაყიდავათ, რომელიც ეკუთვნის მავთულ-ლურსმანთა ამხანაგობას „ლურსმანი“ და შესდგება ინვენტარისაგან, საქარხნო მოწყობილობისა და იარაღებისაგან, სხვადასხვა მასალებისაგან და ექვსი ერთ სართულიან აგურის შენობისაგან, მოწყობილი მავთულ-ლურსმანთა ქარხნისათვის, რომელი ქონებაც აღწერილია თბილისის კომუნალურ ბანკის გარდახდევინების დასაკმაყოფილებლად თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს 23 მარტის 1926 წლის № 22726 აღმასრულებელ ფურცლისა და შეფასებული ორმოცდა ექვს ათას რვაას მანეთად. მსურველნი, რომელნიც მიიღებენ მონაწილეობას ამა საჯარო ვაჭრობაში, უნდა დაიცვან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-311 და 312 მუხლები. ნ. 1312

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. მიიღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებასაღები) ამოს 7—6.

ექიმი ბ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—17

ექიმი დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძეს ქ. (ყოფ. საპიორის) № 32 25—

დაბრუნდა
ექიმი ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ
ელექტრონის კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათ., ლენინის (ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82 25—1 ქე. 2356

სათვალეების მორგება
უფასოდ
ქიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 12—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63. 25—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან). 25—7

ექიმი არსენ ვადაჭკორია
ლებულობს ქალთა ავადმყოფებს და აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღ. 4—7 ს-დე. (ყოფილი ოლღის) ლენინის ქ. № 3 25—115

ექიმი
ნ. გ. ახვერდოვი.
ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)
ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ. საღამოს 4—7 საათამდე იძის დაღმართი № 15. ყოპირდ

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი
ავადმყოფ. მიიღებს დილით 8—9 საათამდე, საღამოთი 6—7 საათ-დის ყოველ დღე გარდა კვირისა. პლეხანოვის გამზირი (ყოფ. პეხეილის) № 64.

თვალის ექიმი
მაევსკი
პლეხანოვის პროსპექტი
ყოფილი მიხეილის პრ.) № 53 (მთავარი ფოსტის პირდაპირ) მიღება დილის 9-დან 11 საათამდე (დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7-დე 8-მდე. 35—

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 2215 31—

ახალ გამოგონებათა
საქმეში საჭიროა
ამხანაგი
მცირე თანხებით—საქმე ხალხურია და შემოსავლიანი ვერის დაღმართი № 7 აბანოს გვერდით კლდიაშვილის კანტორაში 10—2—5—7.

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 4632 და პირადობის მოწმობა, № 176 ჭოლა ანტონისძე თოდრიას სახელზე, ჩ. გ. 2509

დავკარგე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ - ეკონომიურ ფაკულტეტის მიერ მოცემული მატრიკული № 3512 ბიძინა ზაქარიასძე ჩხიკვაძის სახელზე, ჩ. გ. 2570

დავკარგე საქ. მეცხ. ამხ—ბა „მწყემსი“-ს წევრობის წიგნაკი, სამხედრო ბარათი, პირადობის მოწმობა და ცხენის რეგისტრაციის ქაღალდი შედგენილი ქარუმა ნიკოლოზისძე აბულაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2515

დავკარგე პარტიული ბილეთი კომკავშირის № 60040 ივანე რევაზისძე ბაკურაძის სახელზე, ჩ. გ. 2513

დავკარგე პარტიული წიგნაკი № 491382 იოსებ რევაზისძე ფრიდონაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2511

დავკარგე ტრამვაის წლიური უფასო ბილეთი ვანო წულუკიძის სახელზე, ჩ. გ.

დავკარგე სამხედრო ნუსხა ელისეი ფილიპესძე დანელიას სახელზე, ჩ. გ. 2518

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 6 ფილხაზ არონისძე ჩიჩაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2518

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 1266 ივლიანე ევსევისძე იაკობაშვილის სახელზე ჩ. გ. ქ. 2514

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოება

ბალანსი

1926 წ. 1-ლ იანვრისთვის

აქტივი.

	გირ. სტერ.	გირ. სტერ.
სალარო	1385 : 5 : 11	
სახელდახელო ანგ. ადგილობრივ ბანკებში	26 : 12 : 11	
„ „ უცხოეთის „	353 : 5 : 3	1765 : 4 : 1
ტფილისის კანტორა	685 : 13 : 5	
ფოთის „	15 : 0 : 2	
ანგარიშ-ქვეშ გაცემული თანხები	1525 : 13 : 7	
დასაბრუნებელი თანხები	179 : 8 : 6	2405 : 15 : 8
თამასუქები მიღებული	1063 : 14 : 4	
ფასიანი ქაღალდები	625 : 14 : 8	1689 : 9 0
შავი ქვა მადაროს პირათ	14003 : 14 : 0	
„ „ ჭიათურის რკინისგზის ბაქნებზე	30955 : 6 : 11	
„ „ ფოთის ბაქნებზე	4615 : 9 : 7	
გასარეცხი მადანი	16004 : 1 : 4	65578 : 11 : 10
ნაცხრილები		224311 : 1 : 10
მასალები		5013 : 12 : 11
სესხი აქციების გირაოს ქვეშ	478 : 13 : 7	
სხვადასხვა პირები (მოვალეები)	40558 : 17 : 6	
საზოგადოება „ჩემო“	9374 : 3 : 10	50411 : 14 : 11
გარდამავალი თანხები		16110 : 10 : 6
უძრავი ქონება	809715 : 5 : 3	
მოძრავი ქონება	2567 : 9 : 4	
მექანიკური მოწყობილობანი	16723 : 19 : 3	
მადაროების მოწყობა-გამართვა	11078 : 2 : 7	
ქარხნების შეკეთება	4245 : 9 : 5	844330 : 5 : 10
მისავალი გზები ჭიათურის რაიონში		265 : 3 : 11
ბალანსი		1211881 : 10 : 6

პასივი.

	გირ. სტერ.	გირ. სტერ.
ძირითადი თანხა	1079514 : 13 : 7	
სათადარიგო „	13892 : 11 : 11	
ძირითადი თანხ. გასანაღდებელი ფონდი	3638 : 19 : 6	1097046 : 5 : 0
საგანგებო სახელდახელო ანგარიში	29962 : 10 : 1	
გაცემული თამასუქები	5632 : 6 : 2	35594 : 16 : 3
სხვადასხვა პირები (მევალეები)	28613 : 6 : 5	
საზოგად. „ქართული მარგანეცი“	30964 : 17 : 6	59578 : 3 : 11
გარდამავალი თანხები		15592 : 17 : 6
წ. წ. გადაუხდელი დივიდენდი		2411 : 6 : 5
		1210223 : 9 : 1
1925 წ. წმინდა მოგება		1658 : 1 : 5
		1211881 : 10 : 6

ნ. 1315 გამგეობა

მთავარი ბუხჰალტერი ევ. ა. ებანოიძე.

საჯარო ვაჭრობა

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს, რომ ა/წ. 24 მაისს შუადღის 12 საათზე ჯანსახკომის საფინანსო სამეურნეო ქვეგანყოფილების შენობაში (მესანგრეთა ქ. № 30)

დანიშნულია

შერეული საჯარო ვაჭრობა

ჯ. ს. კ. საავადმყოფოებისათვის დღეში 25—30 ფუთი პურის გამოცხობაზე ერთი წლის განმავლობაში.

განცხადებები უნდა შემოტანილი იქნეს დაბეჭდილ კონვერტებში საფინანსო სამეურნეო ქვეგანყოფილებაში, სადაც ნაჩვენები უნდა იქნეს რაოდენობა ზედნამცხვარისა თითო ფუთ სხვადასხვა ხარისხის ფქვილზე.

განცხადებას დართული უნდა ექნეს ხაზინის ქვითარი მთელი წლიური იჯარის თანხიდან 10 პროც. საწინდარის შეტანის შესახებ, ან გირავნობის ფურცელი უფროს ნოტარიუსიდან ქონების დაგირავების შესახებ.

იჯარის გაცემის დროს ჯანსახკომისარიატი იხელმძღვანელებს არა მარტო შეძლეულ მომატებით არამედ სხვა მოსაზრებებითაც, რომლებიც ხელსაყრელნი იქნება ჯანსახკომისარიატისათვის.

დაწვრილებითი კონდიციების მიღება შეიძლება ყოველდღე ჯ. ს. კ. საფინანსო სამეურნეო ქვეგანყოფილებაში 1—2 საათამდე. ნ. 1311

თბილისის კომუნალური ბანკი

ბალანსი

1926 წ. 1 მაისისათვის

კასა და მიმდინარე ანგარიშები	514.278—80
ღირებულებანი	140.351—82
განაღდება და სპეც. მიმდ. ანგარიშები თამასუქებს ქვეშ	2.714.748—01
სესხი საქონლის გირაოს ქვეშ	1.087.395—17
მიზნობრივი სესხები ა) მოკლევადიანი	1.582.565—19
„ „ ბ) გრძელვადიანი	2.085.706—47
კორესპონდენტები	211.415—95
შემასწორებელი ანგარიშები	90.635—30
ანგარიში სავაჭრო განყოფილებასთან	1.005.582—01
სხვადასხვა დებიტორები	8.131—20
ქონება და მონაწილეობა წარმოებებში	329.846—87
ანგარიშები კანტორებს შორის	1.203.444—83
გასაჩივრებული თამასუქები და საეჭვო ვალები	107.204—96
გადახდილი პროცენტები	109.050—17
მიმდინარე და სხვა ხარჯები	229.657—99
ბალანსი	11.420.014—74

კაპიტალი ა) ძირითადი	2.000.000—00
ბ) სათადარიგო	126.783—19
შთავრ. საგანგებო დანიშნულების სპეც. კაპიტალი	835.240—00
სპეც. კაპიტალი აღმშენებლობისათვის	290.590—62
სპეც. მიმდინარე ანგარიში, უზრუნველყოფილი თამასუქებით	702.551—25
ანაბარები და მიმდინარე ანგარიშები	3.254.062—40
გაუმართლებელი ფულის ბარათების	26.851—73
კორესპონდენტები	1 672.166—63
შემასწორებელი ანგარიშები	620.432—55
სხვადასხვა კრედიტორები	30.350—00
ანგარიშები კანტორებს შორის	1.244.237—27
მომავალი წლის შემოსავალი	8.774—01
მიღებული პროცენტები, კომისიები და სხვ. შემოსავალი	600.613—68
გაუნაწილებელი მოგება	7.361—41
ბალანსი	11.420.014—74

ნ. 1307. გამგეობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68